მასწავლებელი

№4(65) 2020

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
მანანა რატიანი,
მარიკა სიხარულიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
ლევან ალფაიძე, ნინო ჭიაბრიშვილი, მანანა სეხნიაშვილი, თემურ სუყაშვილი, ანა ღვინიანიძე, თამთა დოლიძე, ქეთევან ოსიაშვილი, ნინო ლომიძე, გიტა თვალაბეიშვილი, ნინო კაპანაძე, ნესტან რატიანი, შორენა ტყეშელაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / 3-374

WWW.TPDC.GE

ნატო ინგოროყვა

საინტერესო გამოცდილების თუ გამოწვევის ერთი სასწავლო სემესტრი ახლა უკანაა. იმედია, ახალ სასწავლო წელს საკლასო ოთახებში დავუბრუნდებით. ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ შეცვალა თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიების განვითარებამ ის წესები და წესრიგი, რომლებსაც ადამიანები მიმართავდნენ ურთიერთობების, თანამშრომლობის, პრობლემების გადაჭრის, პროექტების შექმნის, ინფორმაციის გაცვლის, ცოდნის გადაცემის დროს. პირისპირ სწავლებისა და თანამშრომლობის მდგომარეობა, საჭიროების შემთხვევაში და ყოველდღიურობაშიც, შესაძლებელი გახდა ჩანაცვლებულიყო დისტანციური ყოფით და ურთიერთთანამშრომლობით. ცვლილებებმა, ცხადია, დააფიქრა ის ადმიანები, ვინც განათლების სფეროში მუშაობენ. საფიქრალი გახდა, თუ რამდენად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და რამდენად ეფექტურია ის მეთოდები და საშუალებები, რომლებსაც ისინი სწავლების, სწავლისა და მართვისთვის იყენებენ. რამდენად შეიძლება მიაღწიონ სწავლების მთავარ მიზანს, რომელიც მოსწავლის დღევანდელ და სამომავლო საქმიანობასა და კეთილდღეობაში უნდა აისახოს?

ჩვენც ბევრს ვფიქრობთ, როგორ დაგეხმაროთ ისეთი სასწავლო რესურსებით, რომლებსაც, საკლასო ოთახებში დაბრუნებულები, სასწავლო პროცესში გამოიყენებთ.

„არავის აქვს იმის ფუფუნება, რომ „მოახტეს“ ციფრულ ტალღას და თანაბრად „გადაანაწილოს“ ის ხელმძღვანელობის ყველა ასპექტზე. ლიდერი უნდა გახდეს იმ ცვლილების ინიციატორი, რომელიც თქვენ გსურთ განხორციელდეს განათლებაში, თუმცა, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია, ეს ის ცვლილებები იყოს, რომელთაც მოსწავლეები ელიან.“ – ამბობს ერიკ შენინგერი წიგნში „ციფრული მართვა“.

ბევრი რამ არის დამოკიდებული განათლებისა და სკოლების ლიდერებზე. მათ უნდა დაიწყონ სამომავლო ხედვისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესი ისეთი საკლასო ოთახებისა და შენობების შესაქმნელად, რომლებიც უკეთ ასახავენ ჩვენს გარშემო არსებულ სამყაროს და პარალელურად, ხელს უწყობენ მოსწავლეების მიერ ახალი, მძლავრი ტექნოლოგიების გამოყენებას.

დიდ მენეჯერებს ოთხი გასაღები აქვთ: თანამშრომლის შერჩევისას ითვალისწინებენ ნიჭს და არა უბრალოდ გამოცდილებას, ინტელექტს ან გამბედაობას; მოლოდინების განსაზღვრისას ითვალისწინებენ შესაბამის შედეგებს და არა შესაბამის ნაბიჯებს; მოტივირებისას ყურადღებას აქცევენ ღირსებებს და არა ნაკლოვანებებს და თანამშრომლის განვითარებაზე ზრუნვისას ეხმარებიან მას სწორი გზის პოვნაში და არა უბრალოდ კიბის მომდევნო საფეხურზე ასვლაში, – ამბობს **მარკუს ბუკინგემი,** რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს თანამშრომლების პროდუქტიულობის, ხელმძღვანელობისა და მართვის პრაქტიკის შესახებ.

ჩვენ ვეცდებით, სწორი გზის პოვნაში თქვენთან ერთად ვიყოთ და საჭირო და სასარგებლო რესურსები შემოგაშველოთ.



მოსაზრება

ლევან ალფაიძე

4 **სკოლა და მისი მართვა ციფრულ ეპოქაში – ცვალებადი პარადიგმები ცვალებად დროში**

რამდენად იყენებენ სკოლის ლიდერები ხელმისაწვდომ ტექნოლოგიებსა და სოციალურ მედიას ისეთი საქმიანობისთვის, რომელსაც ისედაც კარგად ასრულებდნენ? ვითვალისწინებთ თუ არა გადაწყვეტილების მიღების დროს სამომავლო ძვრებსა და ცვლილებებს, თუ ისევ სტატუს კვოს შენარჩუნებაა უპირატესი?

ნინო ჭიაბრიშვილი

9 **ინტერდისციპლინური სწავლება**

განათლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა თანამედროვე ცხოვრებისთვის ბავშვის მომზადება, სასიცოცხლოდ აუცილებელი კომპეტენციების ფორმირებაა, ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი გზა კი სასწავლო დისციპლინების ინტეგრაციაა.

სასწავლო რესურსი

მანანა სეხნიაშვილი

13 **სოლო ტაქსონომია – სწავლებაზე დაკვირვების შესაძლებლობა**

ტაქსონომიების მოდელები გამოიყენება მოსწავლეთა წინსვლისა და სწავლის შესაფასებლად, მაგრამ, მეორე მხრივ, მასწავლებელმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს, რომ ეს კლასიფიკაციები ხელოვნურია და არ მოიცავს პროცესის ყველა ეტაპს.

ნინო ლომიძე

38 **ზადიანი არგუმენტების შესახებ**

საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირება საჭირო, მნიშვნელოვანი უნარია. თუ გვსურს, დამაჯერებლად, ნათლად, მკაფიოდ, არგუმენტირებულად გამოვხატოთ თვალსაზრისი, აუცილებლად უნდა მოვიშველიოთ არგუმენტები.

ნინო კაპანაძე

46 **აქტივობები სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის სწავლებისათვის**

უპირველესი დავალების პირობის გაცნობა და გაგრძელებაა. მოსწავლე თავიდანვე უნდა გაერკვეს, რა პროდუქტი უნდა შექმნას, რას უნდა მიაქციოს ყურადღება, როგორი უნდა იყოს შინაარსი და ტექნიკური მხარე.

ნესტან რატიანი

50 **სა-ჰირ-ო ლიტერატურა**

დღეს, როცა ადამიანები პანდემიასთან ბრძოლაში ჩაერთნენ, ყველა იმ ასპექტმა წამოიწია წინ, რომლებსაც ლიტერატურა ასახავდა. როგორ ფიქრობთ, აისახება თუ არა თანამედროვე ხელოვნებაში ახალი კორონაინფექცია? ვფიქრობ, აუცილებლად.

27-30 თამარ გეგეშიძე
საზოგადო და საკუთარი

ცირა ბარბაქაძე
ადაპტაცია, ანუ „სხვა გზა“, რომელიც ყოველთვის არსებობს

ზვიად კვარაცხელია
ცდუნება

ნასტასია არაბული
მოგზაურობა სახლიდან მსოფლიოს გარშემო

რეკომენდაცია

35 ქეთევან ოსიაშვილი
სირთულეები პირველკლასელთა დისტანციურ სწავლებაში და მათი დაძლევის გზები

კარგი იქნება, თუ ონლაინ სწავლებისას ბავშვთან ემოციურ ურთიერთობებსაც გარკვეულ დროს დავუთმობთ. იქნებ ეს უფრო მეტის მიმცემი იყოს მისთვის, ვიდრე კიდევ ერთი ახალი ტექსტის წაკითხვა.

გამოცდილება

17 თემურ სუყაშვილი
მოსწავლეების თვალით დანახული დისტანციური სწავლება

საბედნიეროდ, ჩვენს ქვეყანაში ბავშვებს ჯერს არ ეკითხებიან, არ ხდება მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არც მათი მოსმენის კულტურა გვაქვს.

31 თამთა დოლიძე
მშობელი საკლასო ოთახში

არავინ დავობს იმაზე, რომ თანამშრომლობითი ჯაჭვი „მოსწავლე-მშობელი-მასწავლებელი“ სასწავლო პროცესების მართვის მექანიზმის უმნიშვნელოვანესი დეტალია, თუმცა შემიძლია ვთქვა, რომ შუა რგოლთან თანამშრომლობას გარკვეული სირთულეები ახლავს თან.

41 გიტა თვალაბეიშვილი
თამაშით ნასწავლი კითხვა და საშინაო დავალების გამარტივება დამწყები მკითხველისთვის

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება კითხვაა. „კითხვის უნარის განვითარება წიგნიერების საფუძველია, რაც სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს“.

55 შორენა ტყეშელაშვილი
ბავშვებთან საღაპარაკო ბევრი გვაქვს

ადამიანები იშვიათად ვწვდებით სამყაროსა და პიროვნებას შორის არსებულ კავშირს და ზოგჯერ ძალიან გვიჭირს სამყაროში საკუთარი ადგილის პოვნა, საკუთარი თავის დანახვა და შეცნობა იმ კონკრეტულ დროსა და სივრცეში, რომელშიც ვიმყოფებით.

განათლების ფსიქოლოგია

22 ანა ღვინიანიძე
დაკვირვება – დაბრუნება გაუცხოებულთან. როგორ განვავითაროთ დაკვირვების უნარი მოსწავლეებში?

დაკვირვების ბედნიერება ის არის, რომ შეგიძლია, უცნობი რამ აღმოაჩინო. აჩქარებულ სამყაროში, რომელშიც ერთი გამღიზიანებელი საოცარი სისწრაფით ცვლის მეორეს, თითქოს არც დრო გვაქვს და არც ფუფუნება, ჩვენსავე გარემოს დავაკვირდეთ.



ლევან აღფაიძე

სკოლა და მისი მართვა ციფრულ ეპოქაში – ცვალებადი პარადიგმები ცვალებად დროში

თანამედროვე ბავშვებზე, სტუდენტებზე, სასკოლო და, საზოგადოდ, თანამედროვე განათლებაზე ფიქრისას პირველი, რაც ნებისმიერ მასწავლებელსა და მშობელს წარმოუდგება თვალწინ, ალბათ ყურსასმენებიანი, სმარტფონზე თავდახრილი ბავშვია.

დიახ, ეზოში ბურთით თამაშის ან ველოსიპედით სეირნობის ნაცვლად ბავშვები და მოზარდები (და არამხოლოდ) დღეს უმეტესად პერსონალური კომპიუტერის, პლანშეტის ან სმარტფონის ეკრანს შეჰყურებენ და ციფრულ სამყაროში ატარებენ დროის დიდ ნაწილს. მაშასადამე, შეიძლება ვივარაუდოთ (და მერე დავიჯეროთ), რომ სწავლების ობიექტი, მოსწავლე თუ სტუდენტი, უპირატესობას ციფრულ სამყაროს ანიჭებს და მისი ინტერესი, ყურადღება თუ ცნობისმოყვარეობა ციფრული ტექსტის, ნახატისა თუ ვიდეოგამოსახულებისკენაა მიმართული.

ოცდამეერთე საუკუნის ახალგაზრდებისთვის ელექტრონული გამოსახულების სივრცე, ციფრული პლატფორმები თუ ონლაინაქტივობები ჩვეული სამყაროა. ეს ის ადგილია, სადაც ისინი მშობლების და, მით უმეტეს, მასწავლებლების ზედამხედველობისა და კონტროლის გარეშე პოულობენ იმას, რაც აინტერესებთ, იზიდავთ, მოსწონთ, ართობთ.

ხშირად ისმის კითხვები: რა გავლენას ახდენს ბავშვებზე ციფრული ტექნოლოგიები? მავნეა სმარტფონისა თუ კომპიუტერის ეკრანთან ამდენი დროის გატარება თუ არა? რა ვქნათ, როდესაც ელექტრონული მედია ბავშვების საყვარელ მედიუმად იქცევა და სკოლისადმი ინტერესს აკარგვინებს?

კითხვები ალბათ ასე არ უნდა დავსვათ, რადგან შეფასებისას უკეთესი იქნება, დავფიქრდეთ იმაზე, რას ვაფასებთ: პრობლემას, რომლის მასშტაბის, მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების გაცნობიერება გვსურს თუ რეალობას, რომელიც უკვე დადგა, ჩვენ კი გვეხამუშება და არ გვსურს, მივიღოთ?

რას ნიშნავს ბავშვებისთვის ციფრულ ეკრანთან გასატარებელი დროის შეზღუდვა? როგორ იღებენ ასეთ შეზღუდვებს თვითონ ბავშვები?

რატომ იზიდავს ბავშვებს ციფრულ სივრცეში წაკითხული, ნანახი თუ მოსმენილი ასე ძლიერ?

შესაძლებელია ამის გამოყენება სწავლით ბავშვების დასაინტერესებლად?

ეს ის საკითხებია, რომლებიც საინტერესოდ და ვრცლად არის განხილული სპიკერის, განათლების სპეციალისტისა და აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სკოლის ყოფილი დირექტორის ერიკ შენინგერის წიგნში „ციფრული ლიდერობა“.

შენინგერის წიგნი იმდენად საინტერესო აღმოჩნდა მასწავლებლებისა და სასკოლო ადმინისტრატორებისთვის, რომ 2019 წელს მისი მეორე, შევსებული რედაქცია გამოიცა. გთავაზობთ ამონარიდებს ამ წიგნიდან.

წინასიტყვაობა

სუგატა მიტრა,
ნიუკასლის უნივერსიტეტის პროფესორი

წარმოიდგინეთ, რომ გადაწყვიტეთ სკოლის აშენება და მართვა ქალაქში, ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში, ან რომელიმე სოფელში. ახლა ამოცანა ცოტათი გავართულოთ: წარმოიდგინეთ, რომ თქვენი სკოლა ძველი და პატივსაცემი ინსტიტუტია, მაგრამ ხვდებით, რომ საჭიროა მისი რეკონსტრუქცია, რათა ის თანამედროვე მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს.

სულ რაღაც 25 წლის წინ, 90-იანი წლების შუაში, ამ ამოცანის შესრულებაში წარსულის გამოცდილება დაგეხმარებოდათ. იმ დროს უკვე არსებობდა სტანდარტული პროექტები (დიზაინი) საკლასო ოთახებისა და კორიდორებისთვის, რომლებიც ერთმანეთს ზემოთ და ქვემოთ მიმავალი მრავალი კიბით უკავშირდებოდა. არსებობდა სტანდარტული დიზაინი სკოლის სპორტული მოედნებისთვის, ხატვისა და მუსიკის საკლასო ოთახებისთვის და საერთო შეკრებისთვის განკუთვნილი „სააქტო დარბაზებისთვის". იმ დროს ადვილი გახლდათ განსწავლული მასწავლებლების სკოლაში მოზიდვა და მზად იყო სასწავლო კურიკულუმი, რომელსაც შესაბამისი სამინისტრო წერდა. თაობიდან თაობას გადაეცემოდა ის მეთოდებიც, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იყო მოსწავლეთა კარგი მოსწრების შენარჩუნება მეტ-ნაკლებად აპრობირებული, სტანდარტიზებული საგამოცდო ტესტებით.

ამ დროს თითქმის ყველაფერი მზად გვქონდა – რამდენიმე სარეკლამო განცხადება გაზეთში, ნაცნობებში ჩაგდებული სიტყვა... და მშობლებსაც სიხარულით მოჰყავდათ ბავშვები ჩვენს სკოლაში.

მაგრამ ყველაფერი შეიცვალა. დღეს, 2020 წლის დამდეგს, ახალი პროექტის დაწყებამდე ალბათ შეჩერდებით, დაფიქრდებით და, შესაძლოა, საკუთარ თავს ჰკითხოთ: „როგორი შენობა უნდა ჰქონდეს ჩემს სკოლას? საჭიროა საკლასო ოთახები? რა უნდა ხდებოდეს იქ? სპორტული მოედანი მთავარ გზასთან მეტისმეტად ახლოს ხომ არ არის? რა ვუყო ეზოში ჰაერის დაბინძურებას? როგორი მასწავლებლები დამჭირდება? სად ვიპოვო ისინი? საჭიროა ცალ-ცალკე სივრცეები მუსიკისა და ხელოვნებისთვის? როგორი უნდა იყოს შრომის ოთახი? ახლა ყველაფერი ციფრულია, იქნებ მოხერხდეს მათემატიკის გაკვეთილების ჩატარება მუსიკის გაკვეთილისთვის განკუთვნილ ოთახში? რა ვუთხრა მშობლებს და როგორ მოვაგვარო მათთან კონტაქტის საკითხი? რატომ გადაწყვეტენ მშობლები თავიანთი შვილების ჩემს სკოლაში მოყვანას? რისთვის არის, საზოგადოდ, ეს სკოლა განკუთვნილი?"

ბოლო სამასი წლის განმავლობაში ტრადიციული სასკოლო მოდელი სტატიკური მოვლენა გახლდათ; მეტიც, რაც უფრო ძველი იყო სკოლა, მით უფრო სანდო და უკეთესი ჩანდა.

ახლა, როგორც ჩანს, მისთვის ახალი, გააზრებული მოდელის გამოგონებაა საჭირო. ძველი სკოლების რეპუტაცია უკვე აღარ ჭრის. ამ წიგნის ძალა ისაა, რომ მან შესაძლოა ვერ გვითხრას, როგორი უნდა იყოს სკოლის ახალი მოდელი, მაგრამ დაგვეხმარება იმ კითხვების დასმაში, რომლებიც სკოლის საკუთარი მოდელის შესაქმნელად გამოგვადგება.

სწორედ ამ წუთის დადგომისას უნდა წაიკითხოთ ერიკ შენინგერის ეს წიგნი.

ფაქტია, ერიკ შენინგერის წიგნი „ციფრული ლიდერობა" სასკოლო ლიდერებისთვის, დირექტორებისთვის და, სავარაუდოდ, სკოლის შემოქმედი ადამიანებისთვის არის განკუთვნილი. სანამ რამის მართვას დაიწყებთ, ის „რაღაც" უნდა არსებობდეს. იცვლებიან ისინიც, ვისაც უნდა ვასწავლოთ. დღეს მათ (მოსწავლეებს, – ლ.ა.) ყურადღების უფრო მოკლე ინტერვალი აქვთ, მათ თავისუფლად შეუძლიათ რამდენიმე რამეზე ერთდროულად კონცენტრირება. ზოგიერთი მკვლევარი ამბობს, რომ ეს კარგია, სხვები ამას უარყოფითად აფასებენ. ერიკი წიგნის მკითხველს ყველა ამ საკითხში ამოგზაურებს, არ იჭერს რომელიმე მხარეს, მაგრამ გვთავაზობს, ყურადღება მივაქციოთ სხვადასხვა ვერსიას, რომელთა შორისაც არჩევანს გავაკეთებთ.

სწავლება, როგორც იქნა, სწავლით იცვლება. ავტორს ფრთხილად, ნაბიჯ-ნაბიჯ შევყავართ ციფრული სწავლის სამყაროში. იგი აცნობიერებს, რომ ჩვენ, ყველანი, მზად ვართ, მოულოდნელად შევუტიოთ იდეებს ამ სფეროში. მე ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან ყოველდღე მიწევს მუშაობა თვითორგანიზებადი სწავლების საკითხებზე.

> ციფრული ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ცვლილებებს, რომლებიც გულისხმობს უნივერსალურ კავშირს (კავშირის შესაძლებლობას, – ლ.ა.) – ღია წყაროების, ხელოვნური ინტელექტის, რობოტექნიკის, მობილური ტექნოლოგიების შესაძლებლობების, ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას.

როდესაც ლონდონსა და კალკუტაში ელექტრობაზე მომუშავე ტრამვაი გამოჩნდა, ხალხი კითხულობდა: „სად დამალეს ცხენები?“ ეს წიგნი სასწავლო გარემოზე გვესაუბრება. მისი ნაწილი ხილულია, ნაწილი – არა. ციფრული საშუალებები მიმოფანტულია ჩვენი სკოლების ფიზიკურ სივრცეში. ინტერნეტი რეალობაა – იგი არსებობს, მაგრამ სად არის ის? ამჯერად სად დამალეს ცხენები?

საზოგადოების სახეცვლილება ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს გეომეტრიული პროგრესიის კანონებით და ეს ტექნოლოგიების უპრეცედენტო განვითარების გამო ხდება. ამ პროცესმა უკვე შეცვალა წესები, რომლებსაც ადამიანები იყენებდნენ ურთიერთობის, თანამშრომლობის, პრობლემების გადაჭრის, პროექტების შექმნისა და გადაცემული შინაარსის აღქმისა და მოხმარებისათვის.

ამ ცვლილებებმა ყველა, ვინც განათლების სფეროში მუშაობს, დააფიქრა იმაზე, რამდენად ეფექტურია ის მეთოდები და საშუალებები, რომლებსაც ისინი სწავლების, სწავლისა და მართვისთვის იყენებენ, რამდენად შეიძლება მიაღწიონ სწავლების მთავარ და კეთილშობილურ მიზანს, რომელიც მოსწავლის დღევანდელ და სამომავლო წარმატებებში უნდა აისახოს.

სწორედ ეს გახლავთ ის მთავარი მიმართულება, რომელიც სკოლის მუშაობას ეხება. აქცენტი უნდა დაისვას იმ ნიჭიერ და კომპეტენტურ მასწავლებლებზე, რომლებიც წარმატებით გაართმევენ თავს ციფრული სამყაროს მოთხოვნებს.

მეორე მიზანი იქნება მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბება განათლების სფეროში არსებულ ყველა დაინტერესებულ მხარესთან (მშობლები, მოსწავლეები, თემის წევრები) და მათი ორგანული ჩართვა არსებულ პროცესებში. კითხვა კი ასე ჟღერს: ხართ თუ არა მზად ამისთვის?

ტექნოლოგიების დომინანტური როლის ზრდა ჩვენს ცხოვრებაში ადვილი შესამჩნევია ქცევაზე დაკვირვებისას, რაზეც პროფესიონალები, მშობლები, ბავშვები და თვით ბებია-ბაბუებიც კი მიგვითითებენ.

> რამდენად იყენებენ სკოლის ლიდერები ხელმისაწვდომ ტექნოლოგიებსა და სოციალურ მედიას ისეთი საქმიანობისთვის, რომელსაც ისედაც კარგად ასრულებდნენ? ვითვალისწინებთ თუ არა გადაწყვეტილების მიღების დროს სამომავლო ძვრებსა და ცვლილებებს, თუ ისევ სტატუს კვოს შენარჩუნებაა უპირატესი?

2017 წლის დეკემბრისთვის მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 54% ინტერნეტში იყო ჩართული (Internet World Stats, 2018).

ახალი ხელსაწყოები დღეს უფრო სწრაფად ჩნდება, ვიდრე წინათ. გაითვალისწინეს თუ არა სასკოლო სტრუქტურებმა ეს ტენდენცია? უფრო მეტიც, იციან კი [სკოლების] ლიდერებმა ამ ძვრებისა და ტენდენციების შესახებ? და თუ კი, რა გააკეთეს თავიანთ სკოლებში გააზრებული, მდგრადი ცვლილებების განსახორციელებლად? აქ საკითხი ასე დგას: ჩვენ უკეთესები უნდა ვიყოთ და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ვხედავთ ცვლილებებს, რომლებიც ჩვენი სკოლების კედლების მიღმა მიმდინარეობს.

ცვლილება ყოველი ჩვენგანისგან იწყება და ვრცელდება. სიმართლე კი ის გახლავთ, რომ არ არსებობს სრულყოფილი გაკვეთილი, პროექტი, საკლასო ოთახი, ოლქი, მასწავლებელი ან ადმინისტრატორი, თუმცა არსებობს შესაძლებლობა, ყოველდღე უკეთესები გავხდეთ.

სასკოლო ლიდერებისთვის მთავარი გამოწვევა ისაა, რომ მათ უნდა გააცნობიერონ საზოგადოებრივი ცვლილებები და გაითავისონ ისინი. თუ სკოლები არ დათმობენ ვადაგასულ სასკოლო მოდელს, რომელიც ფოკუსირებულია წარმოებისთვის სამუშაო ძალის მომზადებაზე, ისინი შესაძლოა მოსწავლეებისა და საზოგადოებისთვის (და თემისთვის) შეუსაბამო ინსტიტუტებად გადაიქცნენ.რეალობასთან შესაბამისობა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მიზნის მიღწევა.

ეს უკანასკნელი კი შეუძლებელია, თუ პირველს შესაფერისი ყურადღება არ დაეთმო. რატომ არის, რომ ბევრი სკოლა ვერ პასუხობს სწავლების მრავალფეროვან საჭიროებებს?

რამდენად იყენებენ სკოლის ლიდერები ხელმისაწვდომ ტექნოლოგიებსა და სოციალურ მედიას ისეთი საქმიანობისთვის, რომელსაც ისედაც კარგად ასრულებდნენ? ვითვალისწინებთ თუ არა გადაწყვეტილების მიღების დროს სამომავლო ძვრებსა და ცვლილებებს, თუ ისევ სტატუს კვოს შენარჩუნებაა უპირატესი?

რატომ არის, რომ ბევრი ფეხს ითრევს და უფრთხის ცვლილებებს?

თუ ამ კითხვებს სასკოლო ლიდერები მკაფიო პასუხებს არ გასცემენ, ჩვენი განათლების სისტემა კიდევ უფრო მიუახლოვდება შეუსაბამობასა და არაადეკვატურობას.

ციფრული ხელმძღვანელობა, ლიდერობა გულისხმობს აზროვნების წესის, ქცევისა და უნარების ისეთ დინამიკურ კომბინაციას, რომელიც შეცვლის და გააძლიერებს სასკოლო კულტურას მოწინავე ტექნოლოგიების სტრატეგიული გამოყენების გზით. ვინაიდან ეს პროცესი უკვე მიმდინარეობს, ფაქტობრივად ყველა სექტორში გამოჩნდნენ ლიდერები, რომლებიც წარმატებით იყენებენ ინტერაქციული ქსელის (ინგლ. Web – აბლაბუდა, ქსელი, – ლ. ა.) უპირატესობებს, მართავენ ცვლილებებს, გვიჩვენებენ გამჭვირვალობის მაგალითებს, ზრდიან საყოველთაო ჩართულობასა და მონაწილეობას, თანამშრომლობენ, აქცენტს სვამენ [გამოცდილების] გაზიარებაზე, გლობალურ დიალოგსა და სათემო განვითარებაზე.

ასეთმა ლიდერებმა მალევე მიაგნეს ციფრული ტექნოლოგიების უსასრულო შესაძლებლობებს, რომლებიც ტრადიციული ხელმძღვანელობის ასპექტებს (მენეჯმენტი, პროდუქტიულობა, თანამშრომლობა, შეფასება, უკუკავშირი და კომუნიკაცია) აძლიერებს. ამავე დროს ისინი ეძებენ ახალ გზებს ცვლილებებისა და ტრანსფორმაციისთვის. თუმცა ბევრი კვლავ იკამათებს იმაზე, რომ ტრადიციული მართვის სტილი ჯერ კიდევ უპირატესია.

ციფრული ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ცვლილებებს, რომლებიც გულისხმობს უნივერსალურ კავშირს (კავშირის შესაძლებლობას, – ლ.ა.) – ღია წყაროების, ხელოვნური ინტელექტის, რობოტექნიკის, მობილური ტექნოლოგიების შესაძლებლობების, ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას (ე.წ. „პერსონალიზაცია“, – ლ.ა.).

ბევრი ლიდერისთვის ეს ძვრები უკვე დაიწყო – მაგალითად, პირადი მიზნებისა და ამოცანებისთვის ტექნოლოგიების გამოყენებით. თუ აღმოჩნდა, რომ ისინი ღირებულია, შესაძლებელი გახდება ამ ტექნოლოგიების პროფესიული პრაქტიკისთვის გამოყენებაც.

არავის აქვს ფუფუნება, ქიმზე მოევლოს ციფრულ ტალღას და თანაბრად გადაანაწილოს ის ხელმ-



ძღვანელობის ყველა ასპექტზე. ლიდერი უნდა გახდეს იმ ცვლილების ინიციატორი, რომელიც სასურველია განხორციელდეს განათლებაში, თუმცა, ალბათ უფრო მნიშვნელოვანია, ეს ის ცვლილებები იყოს, რომლებსაც მოსწავლეები ელიან.

მზარდი მსოფლიო ციფრული ქსელი და სხვა ტექნოლოგიები ყველას გვაძლევს საშუალებას, გავხადოთ ჩვენი შრომა უფრო ეფექტური (და არა უფრო ძნელი), ხოლო მისი შედეგები – უკეთესი.

შესაბამისად, ციფრული მართვა (ან წინამძღოლობა) შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს: პროცესი, როდესაც ყალიბდება მიმართულებები, რომლებიც გავლენას ახდენს სხვებზე; რომელიც ინფორმაციაზე წვდომის მეშვეობით სათავეს აძლევს მდგრად ცვლილებებს და აყალიბებს ისეთ ურთიერთობებს, როცა შესაძლებელი ხდება სკოლის სამომავლო პერსპექტივისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ცვლილებების განჭვრეტა.

ლიდერებმა უნდა განსაზღვრონ სწავლების საჭიროებები მოსაწავლეთათვის და სკოლის პედაგოგიური პერსონალისთვის, ინფორმაცია, რომელიც სასურველია ყველა დაინტერესებული მხარისთვის და სასკოლო კულტურის ის ელემენტები, რომლებიც თანხვდება როგორც სწავლების მკაცრ სტანდარტებს, ისე საჭირო ცოდნა-კომპეტენციებსაც. სხვაგვარად თუ ვიტყვით, ეს ელემენტები მოქნილი უნდა იყოს ცვლილებებისთვის და გულისხმობდეს შემდეგს:

- ახალ [ციფრულ და ტექნოლოგიურ]გარემოში ფრთხილად შესვლას;
- იმ ადამიანების ყურადღებით მოსმენას და მათგან სწავლას, რომლებიც უკვე არიან ამ გარემოში, ან იქ მუშაობის უფრო ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ;
- ჩართულობას ფაქტების დადგენისა და პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტის პროცესში;
- მდგომარეობის ყურადღებით (და არა სწრაფად) დიაგნოსტირებას;
- ადამიანების საზრუნავის გულწრფელ განხილვას;
- ენთუზიაზმს, სიმართლესა და გულითადობას გარემოებათა ცვლილების დროს;
- მზადყოფნას დახმარების მისაღებად, რამის გამოსწორებისა თუ გაუმჯობესებისთვის;
- ქმედითი გეგმის ქონას პრობლემური საკითხების გამოსწორებისა თუ გაუმჯობესებისთვის.

ნინო ჰიაბრიშვილი

ინტერდისციპლინური სწავლება

ერთი და იმავე საგნის ათი სხვადასხვა მხრიდან სწავლებას უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს, ვიდრე ათი სხვადასხვა საგნის სწავლებას ერთი მხრიდან. ცოდნის რაოდენობა კი არ არის განათლება, არამედ ყოველივე იმის სრულყოფილად გაგება და ოსტატურად გამოყენება, რაც იცი.

ა. დისტერვეგი

განათლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა თანამედროვე ცხოვრებისთვის ბავშვის მომზადება, სასიცოცხლოდ აუცილებელი კომპეტენციების ფორმირებაა, ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი გზა კი სასწავლო დისციპლინების ინტეგრაციაა. სკოლაში ბავშვები ერთმანეთთან ნაკლებად დაკავშირებულ ბევრ საგანს სწავლობენ. როგორ მოახერხებენ ისინი 12-წლიანი სწავლის შემდეგ, დამოუკიდებელი ფრაგმენტებისგან შეიქმნან მთლიანობითი წარმოდგენა სამყაროზე? თუ გავითვალისწინებთ, რომ ბავშვის აღქმა იმ პერიოდში, როცა სკოლაში სწავლას იწყებს, მთლიანობით ხასიათს ატარებს და მოკლებულია შინაგან დანაწევრებულობას, ცალკეულ გაკვეთილებზე ფრაგმენტულად, განცალკევებულად მიწოდებული ცოდნა, ინფორმაცია მას სამყაროზე მთლიანობითი წარმოდგენის შექმნაში ვერ დაეხმარება. ბევრი პედაგოგი ითვალისწინებს ამას და პერიოდულად ატარებს ინტეგრირებულ გაკვეთილს, რომელიც, ბავშვის აზროვნების თავისებურებებიდან გამომდინარე, საკმაოდ კომფორტულ პირობებს უქმნის მას ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად. ასეთი მუშაობის დროს პედაგოგს შეუძლია დაანახოს ბავშვს, რომ ცალკეული სასწავლო საგნები სხვა არაფერია, თუ არა განსხვავებული თვალსაზრისები რეალურად არსებულ შესასწავლ ობიექტებზე. ინტეგრაცია სასწავლო პროცესში სამყაროზე მთლიანობითი წარმოდგენის ფორმირების, მოვლენებისა და პროცესების არსებითი ურთიერთკავშირის გაგების ხელშემწყობი ხდება. თანამედროვე პედაგოგიკის ამოცანაც ხომ ის არის, ბავშვის აღქმაში გააერთიანოს, დაკავშიროს ცალკეულ საგნებში მიღებული ცოდნა, დაეხმაროს მას, შეიქმნას ერთიანი, მთლიანი, ფართო წარმოდგენა სამყაროზე, ბუნებაზე, საზოგადოებასა და საკუთარ ადგილზე ამ სამყაროში. ინტეგრირებულ გაკვეთილზე მოსწავლეს აქვს ღრმა და მრავალფეროვანი ცოდნის შეძენის საშუალება სხვადასხვა საგნიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებისა და მოვლენების სრულიად ახლებურად გააზრების გზით. საგანთაშორისი კავშირების გაბმა სწავლების უმნიშვნელოვანესი პრინციპია თანამედროვე სკოლაში. ის სწავლების უმაღლესი დონეა. სკოლაში კომპლექსური პრობლემების შესწავლისას საგანთაშორისი კავშირების დამყარების ყველაზე ეფექტური გზა ინტეგრირებული გაკვეთილია. ის იძლევა ცოდნის სინთეზის შესაძლებლობას, გვეხმარება, ჩამოვუყალიბოთ ბავშვს ერთი სფეროდან მეორეში ცოდნის გადატანის უნარი, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მოსწავლეებში ანალიტიკური აზროვნებისა და განზოგადების უნარის განვითარებას.

> ინტეგრირებულ გაკვეთილზე მოსწავლეს აქვს ღრმა და მრავალფეროვანი ცოდნის შეძენის საშუალება სხვადასხვა საგნიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებისა და მოვლენების სრულიად ახლებურად გააზრების გზით. საგანთაშორისი კავშირების გაბმა სწავლების უმნიშვნელოვანესი პრინციპია თანამედროვე სკოლაში.

ამ გაკვეთილებზე მიიღწევა სინამდვილის ისეთი მთლიანობითი აღქმა, რომელიც ბავშვს გარემომცველი სამყაროს შემეცნებას უადვილებს.

ინტეგრირებული გაკვეთილი ინტერდისციპლინური სწავლების ყველაზე გავრცელებული ფორმაა. სანამ მისი თავისებურებების განხილვაზე გადავიდოდეთ, ვნახოთ, რა არის ინტერდისციპლინური სწავლება.

ინტერდისციპლინური სწავლება (ის)

არის მეთოდი ან მეთოდთა ნაკრები, რომელიც გამოიყენება კურიკულუმით გათვალისწინებული საგნების საგანთაშორისი სწავლებისთვის. ის ერთგვარად თავს უყრის ცალკეულ დისციპლინებს საერთო თემის, საკითხის ან პრობლემის შესწავლის მიზნით. ხშირად ინტერდისციპლინური სწავლება რამდენიმე სხვა სასწავლო მიდგომის გამოყენებასაც გულისხმობს. შეიძლება გამოვყოთ ამ მოდელისთვის დამახასიათებელი რამდენიმე კომპონენტი: საგნების კომბინაცია, პროექტული სწავლება, მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების და არა მხოლოდ სახელმძღვანელოების გამოყენება, კონცეფციებს შორის კავშირების ხაზგასმა, თემატური ერთეულები, მოქნილი გრაფიკი, მოსწავლეთა მოქნილი დაჯგუფება.

ინტერდისციპლინური სწავლების მრავალი ფორმა და მრავალი დონე არსებობს. ერთი მხრივ, სკოლამ შესაძლოა გამოიყენოს ინტერდისციპლინური გუნდის მიდგომა, რომლის მიხედვითაც, სხვადასხვა საგნის/სფეროს წარმომადგენელი მასწავლებლები ერთ ჯგუფად ერთიანდებიან და მოსწავლეთა კონკრეტულ კლასს კონკრეტულ საკითხს/თემას ასწავლიან. ის-ში უფრო გავრცელებულია ე.წ. თემატური ერთეულის მიდგომა, რომლის დროსაც მოსწავლეები ერთ თემას შეისწავლიან ერთზე მეტი საგნის/დისციპლინის შინაარსის ფარგლებში.

ის-ის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა კურიკულუმის ინტეგრაცია, როცა ხდება კურიკულუმის ერთობლივი დაგეგმვა მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლის მიზნით. ის 4 მთავარ კომპონენტს მოიცავს:

- გამოცდილებების ინტეგრაცია;
- სოციალური ინტეგრაცია;
- ცოდნის ინტეგრაცია;
- ინტეგრაცია როგორც კურიკულუმის დიზაინი.

ეს ფორმა იმით განსხვავდება ის-ის სხვა ფორმებისგან, რომ იწყებს ძირითადი თემით, რომელიც განისაზღვრება მოსწავლეთა შეკითხვების და/ან მათ წინაშე არსებული სოციალური პრობლემების საფუძველზე და არ შემოიფარგლება საგნობრივი საზღვრებით.

ის-ის ღირსებათაგან შეიძლება გამოიყოს რამდენიმე: მასწავლებლებისა და მოსწავლეების (ასევე – მშობლების) ენთუზიაზმი, გაკვეთილებზე დასწრების მაღალი მაჩვენებელი, სტანდარტიზებულ ტესტებში გაუმჯობესებული შედეგები, უფრო დადებითი სამუშაო ატმოსფერო სკოლაში, უფრო ხშირი კონტაქტი მშობლებთან, პედაგოგების მეტი კმაყოფილება სამსახურით, მოსწავლეთა უფრო ჯანსაღი ურთიერთობები, მოსწავლეთა ინტერესების, უნარებისა და გამოცდილების შესატყვისი ტემპით სწავლა. ის ეხმარება მასწავლებელს, უკეთ გამოიყენოს სწავლების დრო და სიღრმისეულად შეასწავლოს საკითხი განსხვავებული სასწავლო რესურსების პერსპექტივიდან და მათი საშუალებით. ის-ის კიდევ ერთი ღირსება ის არის, რომ მასწავლებელს შეუძლია, გამოიყენოს დიფერენცირებული მიდგომა და სწავლება მოსწავლეთა განსხვავებულ საჭიროებებს მოარგოს. ის ავთენტური შეფასების საფუძველსაც იძლევა – მოსწავლეთა ნამუშევარი ინფორმაციის მრავალფეროვან წყაროებზე და მათ მიერ შექმნილი ჰოლისტური პერსპექტივა მრავალმხრივად შეიძლება შეფასდეს.

ინტერდისციპლინური სწავლების დანერგვისთვის საჭიროა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი:

1. პრაქტიკის კვლევის განხორციელება არსებული საჭიროებების, რესურსების, კურიკულუმის, მისი შედეგების და ახალი კურიკულუმის დანერგვის სიკეთეებისა და მოსალოდნელი სირთულეების შესასწავლად. ამის გაკეთება სასურველია სასწავლო წლის დაწყებამდე 6 ან 12 თვით ადრე;
2. ის-ის გეგმის შექმნა;
3. საპილოტე ერთეულის დანერგვა და მონიტორინგი, რომელიც უნდა განხორციელდეს ის-ის დანერგვის მეორე წელს;
4. პერსონალის მიერ შეთავაზებული რეკომენდაციების საფუძველზე საგანთაშორისი ინტეგრაციის დანერგვა.

ის-ის საკვანძო ეტაპია თემის/საკითხის შერჩევა. ის მოსწავ-

განათლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა თანამედროვე ცხოვრებისთვის ბავშვის მომზადება, სასიცოცხლოდ აუცილებელი კომპეტენციების ფორმირებაა, ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი გზა კი სასწავლო დისციპლინების ინტეგრაციაა.

ლეებისთვისაც საინტერესო უნდა იყოს და კურიკულუმსაც შეესაბამებოდეს. შეიძლება, მოსწავლეებს შევთავაზოთ ისეთი საკითხის/თემის შერჩევა, რომელიც მასწავლებლისთვისაც საინტერესო იქნება, რადგან წარმატებული თემატური სწავლება მასწავლებლისგან ხშირად მოითხოვს დამატებით სწავლასა და მომზადებას.

ინტერდისციპლინური საკითხები/თემები, რომლებიც მრავალ აკადემიურ დისციპლინას უკავშირდება, მთელი სასკოლო დღის განმავლობაში შეიძლება იქნეს შენარჩუნებული სხვადასხვა გაკვეთილზე.

მნიშვნელოვანია საკვანძო კითხვების მონიშვნა ინტეგრირებული გაკვეთილისთვის მომზადების პროცესში. საკვანძო კითხვები ღია კითხვებია, რომლებიც ინტელექტუალურად მიმზიდველია მოსწავლეებისთვის და მაღალ სააზროვნო უნარებს მოითხოვს. ეს კითხვები ეხმარება მასწავლებელს, შეარჩიოს თემასთან/საკითხთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტები და კონცეფციები და ძალისხმევა დაგეგმილი მიზნისკენ მიმართოს. მეორე მხრივ, მოსწავლეებისთვის საკვანძო კითხვები ხაზს უსვამს თემასთან/საკითხთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ფაქტებსა და კონცეფციებს. ისინი ასევე მნიშვნელოვანია ანალიზისა და შეფასების პროცესში. საკვანძო კითხვაზე მოსწავლე ვერ უპასუხებს მარტივად – „დიახ“ ან „არა“, „ჭეშმარიტია“ ან „მცდარია“. მან უნდა იმსჯელოს, დაიცვას მოსაზრება, განიხილოს თემასთან დაკავშირებული ასპექტები. საკვანძო საკითხების ირგვლივ ინტეგრირებული მიდგომის შემუშავება მოსწავლისგან მოითხოვს როგორც შინაარსის შესწავლას, ისე კრიტიკული ანალიზის უნარის გამოყენება/განვითარებასაც.

მაგალითად, ჩრდილოეთის ქვეყნების გეოგრაფიის შესწავლისას შეიძლება ბავშვები აქტიურად ჩავრთოთ ჯგუფურ პროექტში სამაგიდო თამაშის შექმნის მიზნით. თამაში კონკრეტული რუკების ბაზაზე უნდა შეიქმნას, ხოლო მისი მიმდინარეობისას ბავშვებმა პასუხი უნდა გასცენ კითხვებს. ამისთვის მათ უნდა შეისწავლონ მასალა, მუყაოს დიდ ნაჭერზე დახატონ რუკა, მოიფიქრონ თამაშის წესები და ბოლოს ითამაშონ.

ყოველმა ჯგუფმა რიგრიგობით უნდა ითამაშოს სხვა ჯგუფის მიერ მოფიქრებული სამაგიდო თამაში. ეს სახალისო, შემოქმედებითი გამოცდილებაა,

რომლის დროსაც ბავშვები შეისწავლიან ყველაფერს, რაც აუცილებელია თამაშისთვის. რაც მთავარია, მათ გაცილებით მეტი ემახსოვრებათ დასახელებული თემებიდან, ვიდრე იმავე საკითხებზე გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.

მეორე მაგალითად შეიძლება გამოვიყენოთ ვებგვერდზე დამყარებული პორტფოლიო. ერთ-ერთი სემესტრის მიმდინარეობისას მოსწავლეები წყვილებში განიხილავენ შესასწავლ საკითხებს. ერთი მათგანი ჰყვება ამ საკითხების შესახებ, ხოლო მეორე მის ნათქვამს ვიდეოზე იწერს. შემდეგ ეს მასალა ვებგვერდზე უნდა ატვირთონ. მსგავსი გამოცდილებაა თემატური ან თავისუფალი ხატვაც. ფოტოები შემდეგ მათ პორტფოლიოში განთავსდება.

ინტეგრირებული გაკვეთილის მომზადება და ჩატარება მოითხოვს განსაზღვრული პრინციპების დაცვას სასურველი ეფექტის მისაღებად და დასახული მიზნების მისაღწევად.

ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების ეტაპებია:

- თემის შერჩევა;
- კოლეგებთან ერთად/ან დამოუკიდებლად გაკვეთილის დაგეგმვა;
- გაკვეთილის ჩასატარებლად საჭირო რესურსების მობილიზება და კლასის მომზადება;
- გაკვეთილის ჩატარება;
- ჩატარებული გაკვეთილის შედეგების ანალიზი.

რა უნდა გავითვალისწინოთ ასეთი გაკვეთილის მომზადებისა და ჩატარების პროცესში?

- ინტეგრირებულ გაკვეთილს, როგორც წესი, ატარებს სხვადასხვა საგნის ორი ან ორზე მეტი მასწავლებელი. თუმცა ასეთი გაკვეთილი შეიძლება ჩაატაროს ერთმა პედაგოგმაც, რომელსაც აქვს საბაზისო ცოდნა და მომზადება შესაბამის საგნებში.
- იმ პედაგოგებს შორის, რომლებიც ერთად ამზადებენ და შემდეგ ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილს, აუცილებლად უნდა არსებობდეს ფსიქოლოგიური თავსებადობა. ურთიერთგაგებისა და მხარდაჭერის გარეშე ასეთი გაკვეთილი ეფექტიანი ვერ იქნება.
- ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარება უფრო მიზანშეწონილია მაშინ, როცა განსაზღვრული მოცულობის სასწავლო მასალა უკვე ათვისებულია იმ საგნებში, რომელთა ინტეგრირებასაც ვაპირებთ.
- ინტეგრირებული გაკვეთილის მომზადებისა და ჩატარების პროცესში თითოეული მასწავლებლის მონაწილეობის წილი დამოკიდებულია სასწავლო მასალის შინაარსზე, მაგრამ ერთ-ერთ მასწავლებელს აუცილებლად მოუწევს წამყვანის როლის შესრულება.
- ინტეგრირებულ გაკვეთილზე მოსწავლეები სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები არიან, ცდილობენ, თავად გააანალიზონ ინფორმაცია გაკვეთილის მომზადებისა და ჩატარების დროს, გამოყოფენ პრობლემას, შეიმუშავებენ დასახული ამოცანების გადაწყვეტის შესაძლო გზებს. მოსწავლის დამოუკიდებლად მუშაობის როლის გაზრდა ერთ-ერთი აუცილებელი და ძირითადი მოთხოვნაა, იქიდან გამომდინარე, რომ ინტეგრაცია აფართოებს შესასწავლი მასალის თემატიკას, წარმოშობს მოვლენების უფრო ღრმა ანალიზისა და განზოგადების აუცილებლობას.
- ინტეგრირებული გაკვეთილი არ გულისხმობს ორი ან მეტი საგნის სასწავლო მასალის მექანიკურ გაერთიანებას. აქ უბრალოდ ახალ ცოდნას კი არ უნდა იღებდეს ბავშვი, არამედ უკვე არსებული ცოდნის ახალ სიტუაციებში გამოყენების შესაძლებლობაც უნდა ეძლეოდეს. ინტეგრირებულ გაკვეთილზე მან უნდა შეძლოს სამყაროს წარმოდგენა ერთ მთლიანობად, რომელშიც ყველა ელემენტი ურთიერთდაკავშირებულია.
- ინტეგრირებული გაკვეთილის ეფექტიანად ჩასატარებლად აუცილებელია განსახილველი და შესასწავლი ობიექტის სწორად განსაზღვრა და გაკვეთილის შინაარსის გულდასმით შერჩევა.
- პედაგოგის პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები, რომლებიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა და მოსწავლეთა შემოქმედებით თანამშრომლობას გაკვეთილის მომზადებისა და ჩატარების პროცესში, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ინტეგრირებული გაკვეთილის ეფექტიანობისთვის.
- მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების გარეშე ნებისმიერი გაკვეთილის, მით უმეტეს - ინტეგრირებულის, ეფექტიანად ჩატარების ალბათობა საკმაოდ მცირეა.

განსაზღვრული პრინციპების დაცვით მომზადებულ და ჩატარებულ ინტეგრირებულ გაკვეთილს მოსწავლეებისთვისაც და მასწავლებლებისთვისაც სარგებლობა და კმაყოფილების განცდა მოაქვს.

P.S. **ინტერდისციპლინური სწავლების მრავალფეროვანი საორიენტაციო ნიმუშების ნახვა შეიძლება თავისი საქმის მოყვარული ნებისმიერი მასწავლებლის გაკვეთილზე, ასევე – მედიაწიგნიერების ვებგვერდზე:**
http://medialiteracy.ge/ge/resources

ელექტრონული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე:
https://el.ge/articles/project_tasks/1

სამოქალაქო განათლების პორტალზე დისტანციური სწავლების ფანჯარაში:
https://civics.ge/library-tag/page/1

მანანა სეხნიაშვილი

სოლო ტაქსონომია – სწავლებაზე დაკვირვების შესაძლებლობა

წლების წინ, სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარების დროს, ერთ-ერთი ფსიქოლოგი, რომელიც უპირობოდ გავიგე და მივიღე, ბენჯამინ ბლუმი იყო. ტრენინგებზეც აქცენტს ყველაზე მეტად ბლუმის საგანმანათლებლო მიზნების ტაქსონომიაზე ვსვამდი.

ბლუმის მიერ შექმნილი ტაქსონომია სასარგებლო იყო გასული საუკუნის შუა პერიოდში საგანმანათლებლო სტანდარტების, არსებული მეთოდების შესაფასებლად და ახალი მეთოდების შესამუშავებლად. მასწავლებლები მას ჯერ კიდევ იყენებენ, რადგან ბლუმის ტაქსონომია დავალებების შემეცნებით სიღრმეზე დაგვაფიქრებს. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ასეთი მარტივი კლასიფიკაციით მოსწავლის აზროვნების შეფასება შეუძლებელია.

თავად ბლუმი არაერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ის არასწორად გაიგეს. მისი კლასიფიკაცია არ მიანიშნებს დეტალურ მიზნებზე, რომლებისთვისაც მხოლოდ სწავლების ერთი მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული (Bloom, 1994). ბლუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მასწავლებელს სასწავლო პროცესში გადაწყვეტილების მიღებისას მეთოდური ტექნიკის ფართო არჩევანი უნდა ჰქონდეს. ტაქსონომიაში მხოლოდ განსაზღვრული მიზნების მაგალითებია მოყვანილი სხვადასხვა დონეზე. მრავალფეროვანი მეთოდებიდან მასწავლებლებმა უნდა აირჩიონ ის, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება ცოდნის გამოყენებაში, უცნობი პრობლემების გადაჭრაში. როცა მასწავლებელი ასეთი მეთოდებით ხელმძღვანელობს, მოსწავლე დაცულია ისეთი საგანმანათლებლო მიდგომისგან, რომელიც მზა მასალას ასწავლის, – მიიჩნევს ბლუმი. სწორედ ამიტომ მომწონს ბლუმის ტაქსონომია.

მას შემდეგ, რაც ბლუმმა და მისმა კოლეგებმა 1956 წელს პირველი ტაქსონომია გამოაქვეყნეს, შეიქმნა 19-ზე მეტი ალტერნატიული სისტემა საგანმანათლებლო მიზნების კლასიფიკაციისთვის (Anderson & Krathowl, 2001). დღეს, სულ მცირე, 30 ასეთი სისტემაა ცნობილი. სასწავლო გეგმის მისაღწევი მიზნების გასაანალიზებლად ყველაზე პოპულარული მაინც ბლუმის ტაქსონომიის განახლებული ვერსიაა.

ამჟამად გამოყენებული ტაქსონომიების შეფასებისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ თითოეული მათგანი განკუთვნილია ერთი კონკრეტული მიზნისთვის, მაგრამ არ არსებობს ერთადერთი სწორი, რომელიც ყველგან გამოდგება. ზოგი ტაქსონომია კარგად ემსახურება სწავლის ახალი სტანდარტების შემუშავებას, ზოგი კი არსებული სტანდარტების შესაფასებლად გამოიყენება (ედმუნდ ვანაგსი).

> ტაქსონომიების მოდელები გამოიყენება მოსწავლეთა წინსვლისა და სწავლის შესაფასებლად, მაგრამ, მეორე მხრივ, მასწავლებელმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს, რომ ეს კლასიფიკაციები ხელოვნურია და არ მოიცავს პროცესის ყველა ეტაპს.

> სოლო მოდელის უპირატესობა ბლუმის ტაქსონომიასთან მიმართებით მოსწავლეთა სწავლის შეფასებაა. ეს უპირატესობა ეხება არა მხოლოდ ცოდნის შეძენას და ქულას, არამედ მოიცავს შეფასების პროცესის თავისებურებებსაც – ყურადღება მახვილდება იმაზე, როგორ სწავლობენ მოსწავლეები და როგორ სწავლობენ მასწავლებლები, რათა დაეხმარონ მოსწავლეებს, პროგრესულად გამოიყენონ უფრო რთული შემეცნებითი პროცესები.

განათლების თეორიებში კონსტრუქტივიზმის იდეების გაჩენასთან ერთად მოსწავლეები უფრო აქტიურად ქმნიან ცოდნას და მონაწილეობენ სასწავლო პროცესში. ეს, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ თითოეულმა მოსწავლემ უნდა მიაღწიოს გარკვეულ პროგრესს, რომლის შეფასებაც ძალზე მნიშვნელოვანია (პიკარდი, 2007). თანამედროვე კვლევები ცხადყოფს, რომ სწავლა საკმაოდ რთული პროცესების ჯაჭვია (დევისი, სუმარა და ლუი-კაპლერი, 2018).

მოსწავლეთა სწავლის შეფასების ბევრად უფრო ცნობილი ტაქსონომიაა სოლო (SOLO) ტაქსონომია, რომელიც 1982 წელს ჯონ ბიგსმა და კევინ კოლისმა შექმნეს. ბიგსის თქმით, „სოლო ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს დაკვირვებული სწავლის შედეგის სტრუქტურას, სწავლის შედეგების კლასიფიკაციის საშუალებაა“.

სოლო ტაქსონომია კიდევ ერთი პოპულარული მოდელია, რომლის მიზანია მოსწავლეთა კოგნიტიური განვითარების დონის განსაზღვრა სწავლის პროცესში (Biggs & Collis, 1982; Biggs, 1992). ეს თეორიული მოდელი მიუთითებს შემეცნების სხვადასხვა – პრესტრუქტურულ, უნისტრუქტურულ, მულტისტრუქტურულ, მიმართებად (რეგულირებად) და გაფართოებულ აბსტრაქტულ დონეებზე. მოდელის ფარგლებში გადაილახა მოსწავლის კოგნიტიური განვითარების დონის დადგენის სირთულე, რომელიც წინა ტაქსონომიების უდიდესი ნაკლი იყო. სოლო მოდელი მეტწილად გამიზნულია სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კოგნიტიური ზრდის შესაფასებლად (Biggs, 1995), მაგრამ ეს საკმარისი არ არის სასწავლო გეგმის შემეცნებითი მოთხოვნების გასაანალიზებლად (Brabrand and Dahl, 2009). სოლო ტაქსონომიის მოდელის საშუალებით შეგვიძლია უკეთესად გავიგოთ, როგორ ესმის მოსწავლეს, რასაც სწავლობს და რა პრობლემებს შეიძლება შეეჯახოს სასწავლო პროცესის დროს. სოლო მოდელი კოგნიტიურ პროცესებს მეტ ყურადღებას აქცევს, ვიდრე მისაღწევ მიზნებსა და შედეგებს. ამ მოდელის გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია, უკეთ გააანალიზოს მოსწავლის პასუხები და გაიგოს, რა სირთულის გადალახვის შედეგად იქნა მიღწეული ან რით გამოიხატება კონკრეტული ინდივიდის აზროვნების პროცესის პროგრესი. გარდა ამისა, მოდელი საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, გამოიყენონ იგივე ტერმინები მოსწავლის დაკვირვებული ქცევის (შესრულების) შესახებ დროის განსაზღვრულ პერიოდში.

ტაქსონომიების მოდელები გამოიყენება მოსწავლეთა წინსვლისა და სწავლის შესაფასებლად, მაგრამ, მეორე მხრივ, მასწავლებელმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს, რომ ეს კლასიფიკაციები ხელოვნურია და არ მოიცავს პროცესის ყველა ეტაპს. თუ შეფასებისა და სწავლის პრაქტიკა უახლესი თეორიების შესაბამისად იცვლება, მაშინ ცვლილებები დაფუძნებული უნდა იყოს სწავლის თეორიულ მოდელებზე, რაც მასწავლებლებს საშუალებას მისცემს, უკეთ გააცნობიერონ მოსწავლეთა მიერ მიღწეული შედეგები და აირჩიონ ყველაზე შესაფერისი მეთოდი (პელეგრინო, ჩუდოვსკი და გლაზერი, 2001). თეორიამ პედაგოგებს უნდა გაუკვალოს გზა თანმიმდევრულობის მისაღწევად სასწავლო გეგმის შინაარსში, შეფასებასა და პედაგოგიკაში (ბიგსი, 1996).

ტაქსონომიის ჩარჩო უნდა განიხილებოდეს სხვადასხვა სფეროს კონტექსტში – არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც მზა რეცეპტი სასწავლო არჩევანისთვის. სასწავლო მიზნების ტაქსონომიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაკლია არასწორი წარმოდგენა, რომელიც მასწავლებლებს ექმნებათ. მაგალითად, რამდენიმე საკვანძო სიტყვა მარტივი დიაგრამების სახით ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მიზნის მისაღწევად საკმარისია, მასწავლებელმა თითოეული ეს ნაბიჯი გაიაროს. თანამედროვე შემეცნებითი და ნევროლოგიური მეცნიერებები კარგად აჩვენებს, რომ სწავლის შესახებ წინა ვარაუდები მცდარია და აზროვნების პროცესები არ არის ისეთი მარტივი, როგორც ტაქსონომიაშია გამოსახული (მაგ., ჰატი, 2016; Illeris, 2018). ტაქსონომია შეიძლება გამოყენებულ იქნეს აზროვნებას, სასწავლო გეგმის გაგებას, სასწავლო მეთოდებსა და შეფასებას შორის არსებული რთული ურთიერთკავშირის დასამყარებლად.

ტაქსონომია შეიძლება გამოყენებულ იქნეს საერთო ტერმინოლოგიის დანერგვისა და საერთო ცნობიერების განვითარებისთვის. შეუძლებელია მისი გამოყენება წამყვან თეორიად, რომელიც განსაზღვრავს, რა და როგორ უნდა ასწავლოს მასწავლებელმა კლასში. „60 წელზე მეტი ხნის წინ ბენჯამინ ბლუმის განზრახვა იყო წესრიგის აღდგენა იმ ქაოსში, რომელიც განათლების სფეროში მეფობდა. განათლების თანამედროვე ქაოსი მხოლოდ იზრდება, ამიტომ ტაქსონომი-

ების გამოყენება კიდევ უფრო უნდა დაფასდეს“ (ანდერსონი, 2001).

სოლო ტაქსონომია უზრუნველყოფს კოგნიტიური სწავლის შედეგების გააზრებას. ეს იერარქიული მოდელი ყოვლისმომცველია (ობიექტური კრიტერიუმებით) და გამოიყენება სხვადასხვა საგანში, დავალებების განსხვავებული ტიპებით (Hattie & Purdie, 1998). მასწავლებლები სარგებლობენ იმით, რომ სოლო წარმოადგენს საკმაოდ მრავალფეროვან მასალას, რომელიც აჩვენებს თანმიმდევრობას ამოცანების შესაბამისად. გარდა ამისა, მოსაზრების ზედაპირული ან ღრმა დონეების დაგეგმვა და შეფასება შესაძლებელია მოსწავლის აზროვნების წარმოდგენის კოდირებით. ვიზუალური სიმბოლოების გამოყენება სოლო ტაქსონომიაში გაგების დონის წარმოსადგენად საშუალებას მოგვცემს შევიტყოთ, „საით უნდა წავიდეთ შემდეგ“. გადაწყვეტილებები და აზროვნების ინტერვენციები მიზნად ისახავს მოსწავლის სწავლის საჭიროებათა დადგენას. ეს კი უზრუნველყოფს უშუალოდ სწავლის შედეგებთან დაკავშირებულ უკუკავშირს.

სოლო მოდელის უპირატესობა ბლუმის ტაქსონომიასთან მიმართებით მოსწავლეთა სწავლის შეფასებაა. ეს უპირატესობა ეხება არა მხოლოდ ცოდნის შეძენას და ქულას, არამედ მოიცავს შეფასების პროცესის თავისებურებებსაც – ყურადღება მახვილდება იმაზე, როგორ სწავლობენ მოსწავლეები და როგორ სწავლობენ მასწავლებლები, რათა დაეხმარონ მოსწავლეებს, პროგრესულად გამოიყენონ უფრო რთული შემეცნებითი პროცესები.

შეფასებამ უნდა მართოს სწავლა. ის არის დინამიკის მაჩვენებელი. მასწავლებლებმა და მოსწავლემ ერთად უნდა იმუშაონ საგნის ან თემის შესახებ საკუთარი ცოდნის გასაუმჯობესებლად. შეფასება უნდა იყოს ავთენტური.

სოლო სტრუქტურა ეხმარება მოსწავლეს საკუთარი აზროვნების ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში; „სწავლის სწავლაში“.

სოლო ტაქსონომია ეხმარება სკოლებს, შეიმუშაონ:

1. სასწავლო პროცესი (სოლო და ძირითადი კომპეტენციები);
2. სკოლებში გამოყენებული სწავლების ენა (სოლო სასწავლო ზმნები);
3. სწავლის მიზნები და სწავლის შედეგები (სოლო დიფერენცირებული სწავლის გამოცდილება);



4. სასწავლო პროცესის თვითშეფასება (სოლო დიფერენცირებული თვითშეფასების რუბრიკები);
5. ინტერვენციები, რომლებიც აძლიერებს სწავლის დროს ღირებულებათა ჩამოყალიბებას (სოლო დიფერენცირებული ჩარევები).

სოლო ტაქსონომია გამოიყენება შემდეგი მიზნებისთვის:

- დიფერენციაციის გეგმის შემუშავება;
- თვითშეფასების რესურსების შემუშავება;
- ინოვაციური სასწავლო გეგმის შედგენა;
- სწავლის პროცესებისა და შედეგების ასახვა;
- ელექტრონული სწავლებისა და აზროვნების სტრატეგიების ინტეგრირება.

სოლო ტაქსონომიის გამოყენება ნამდვილად აძლევს პედაგოგებსა და მოსწავლეებს იმის შესაძლებლობას უფრო ღრმად შეისწავლონ თემატიკა და შეაფასონ სწავლა სასწავლო პროცესში.

მისი ერთ-ერთი დადებითი მხარეა ის, რომ მასწავლებლებს გაუადვილდებათ დონის განსაზღვრა და დაეხმარებიან მოსწავლეებს სასწავლო პროცესის წარმართვაში.

სოლო ტაქსონომიის ხუთი დონე:

პრესტრუქტურული დონე – მოსწავლეს არ ესმის ინფორმაცია, ამიტომ ვერ ახერხებს გაგებას. ამ დონეზე არაფერია ცნობილი დავალების შესახებ;

უნისტრუქტურული დონე – მოსწავლეს ამ დონეზე აქვს მხოლოდ ძირითადი კონცეფცია საგნის ან დავალების შესახებ; მას შეუძლია მარტივი და აშკარა კავშირის დამყარება, მაგრამ ინფორმაციის ფართო მნიშვნელობა არ არის გაგებული;

მულტისტრუქტურული დონე – მოსწავლეს ამ დონეზე შეუძლია გააცნობიეროს საგნის ან დავალების რამდენიმე ასპექტი, მაგრამ თემის გარშემო იდეებსა და ცნებებს შორის კავშირს ვერ ამყარებს. მოსწავლეს შეუძლია მთელი რიგი კავშირების დამყარება, კლასიფიცირება, მაგრამ მთლიანობის მნიშვნელობა არ ესმის. ცნობილია რამდენიმე შესაბამისი დამოუკიდებელი ასპექტი. მოსწავლეს შეუძლია ჩამოთვალოს, განსაზღვროს, აღწეროს, დააკავშიროს, შეუსაბამოს ან შექმნას ალგორითმები. ამ დონის შეფასება, უპირველეს ყოვლისა, რაოდენობრივია;

მიმართებადი დონე – ამ დონეზე მოსწავლეს შეუძლია გააცნობიეროს ნაწილების მნიშვნელობა მთელთან მიმართებით. იდეები და კონცეფციები უკავშირდება ერთმანეთს და ქმნის მთლიანობის თანმიმდევრულ გაგებას. მოსწავლეთა სწავლის შედეგები აჩვენებს შედარების, მიზეზშედეგობრივი აზროვნების, თანმიმდევრულობის, ანალიზის, განზოგადების, ანალოგის პოვნის, გამოყენებისა და კითხვების ფორმულირების უნარებს. ეს ის დონეა, რომელიც საგნის ადეკვატურ გაგებას გულისხმობს;

გაფართოებული აბსტრაქტული – ამ დონეზე მოსწავლეს შეუძლია კავშირების გაბმა არა მარტო მოცემულ საგნობრივ ჭრილში, არამედ მის მიღმაც. შეუძლია განაზოგადოს და გადაიტანოს პრინციპები და კონცეფციები ახალ, განსხვავებულ კონტექსტში; შექმნას ახალი იდეები და კონცეფციები. შეუძლია პროგნოზირება, განზოგადება, შეფასება, თეორიზაცია, ჰიპოთეზირება, შექმნა და ასახვა.

სოლო ტაქსონომიის რეალური უპირატესობები:

- ეს უპირატესობები ეხება არა მხოლოდ საგნების სწავლებასა და ქულას, არამედ მოიცავს შეფასების პროცესის თავისებურებებსაც – ყურადღება მახვილდება იმაზე, როგორ სწავლობენ მოსწავლეები და როგორ ასწავლიან მასწავლებლები, რათა მოსწავლეებს უფრო რთული კოგნიტიური განვითარების პროცესში დაეხმარონ.
- როგორც მასწავლებლები, ისე მოსწავლეებიც ხშირად გადადიან უფრო ღრმა კონსტრუქციებზე და ეს ხდება სოლო ტაქსონომიის დონეზე.
- დონეების ინტერპრეტაცია შესაძლებელია მოსწავლეთა ცოდნის შესაბამისად. ექვსი წლის მოსწავლეს შეიძლება ვასწავლოთ ზოგადი პრინციპები და ჰიპოთეზების წამოყენება, თუმცა აბსტრაქციისა და დეტალიზაციის განსხვავებულ დონეზე. სოლო მეთოდის გამოყენებით, ამგვარი აბსტრაქციების შესაფასებლად გაცილებით მარტივია შეფასების კრიტერიუმების შექმნა.
- ბლუმის ტაქსონომიასთან დაკავშირებული ზოგიერთი გამოცდილებისგან განსხვავებით, სოლო დონის იდენტიფიცირება და კატეგორიზაცია შედარებით ადვილია.

გამოყენებული ინტერნეტგვერდები:

https://znanio.ru/media/obzor_veduschih_obrazovatelnyh_kontseptsij-298402 ;

http://edqualt.tj/ru/

http://pamhook.com/solo-taxonomy/;

https://blogs.edweek.org/edweek/finding_common_ground/2014/02/whats_our_best_taxonomy_blooms_or_solo.html ;

http://www.nwlink.com/~donclark/hrd/Bloom/SOLO_taxonomy.html

თემურ სუყაშვილი

მოსწავლეების თვალით დანახული დისტანციური სწავლება

დასრულდა 2019-2020 სასწავლო წელი, რომლის მეორე სემესტრიც უჩვეულოდ გამორჩეული აღმოჩნდა. გაგვიჩნდა ახალი საზრუნავი – როგორ გავაგრძელოთ ცხოვრება სახლიდან აქტიურად და ნაყოფიერად.

დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა ადიდებულ მდინარეს ჰგავდა. მის ერთ ნაპირზე ვიდექით ჩვენ, მასწავლებლები, მეორე ნაპირზე – მოსწავლეები (მშობლები). ორივე მხარე თანაბრად ცდილობდა თავისი წილი ხიდის გადებას/აშენებას, რათა ბარიერი დაძლეულიყო.

ქართული საგანმანათლებლო სივრცის „ონლაინ ბიბლიოთეკა“ ძალიან მალე შეივსო სასარგებლო რესურსებით. უამრავი წერილი დაიწერა დისტანციური სწავლების პროცესზე, მის დადებით და უარყოფით მხარეებზე, აქტივობებზე, რომელთა გამოყენებაც შეგვეძლო ამგვარ ფორმატში.

როგორც გითხარით, მდინარის მეორე მხარეს იყვნენ ჩვენი მოსწავლეები. მათაც არანაკლები ჯაფა გასწიეს ამ პერიოდში. მით უმეტეს, ისინიც ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე აღმოჩნდნენ ამ პროცესში. განსაკუთრებით მძიმე იყო პირველი ორი კვირა, კრიტიკული პერიოდის გავლის შემდეგ კი შედარებით დალაგდა ყველაფერი, ჩავდექით კალაპოტში და...

გულწრფელად მინდოდა გამეგო, რას ფიქრობდნენ ჩვენი მოსწავლეები დისტანციურ სწავლებაზე, როგორია მათი თვალით დანახული ონლაინსწავლება, საგანმანათლებლო პლატფორმები და ელრესურსები. წერილში შემოგთავაზებთ (ანონიმურობის პრინციპის დაცვით) მათ გულახდილ საუბრებს – „როგორ გაილია 4 თვე დისტანციურ საკლასო ოთახში“.

ჩემი მიზანი მარტივი იყო – მოსწავლეებს მოეხდინათ თვითრეფლექსია, დაფიქრებულიყვნენ იმაზე, რა შეიცვალა მათ ცხოვრებაში დისტანციური სწავლების გააქტიურებით. აქედან გამომდინარე, აქცენტი რამდენიმე მიმართულებაზე დავსვი, კერძოდ:

- დაესახელებინათ დისტანციური სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები;
- გაეზიარებინათ, რა გამოცდილება შეიძინეს დისტანციური სწავლების პროცესში და რომელი დამატებითი პროგრამები შეისწავლეს დროის ამ მონაკვეთში;
- ეფიქრათ, მომავალში დისტანციური სწავლების რომელი კომპონენტის/კომპონენტების გამოყენებაა შესაძლებელი ტრადიციული საგაკვეთილო პროცესის პარალელურად;
- როგორ ხედავენ მომავლის სკოლას.

კითხვარში გავითვალისწინე როგორც რაოდენობრივი ნაწი-

> სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ბავშვებს აზრს არ ეკითხებიან, არ ხდება მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არც მათი მოსმენის კულტურა გვაქვს.

ლი, ასევე მივეცი მოსწავლეებს საკუთარი პოზიციის გამოხატვის საშუალება ღია კითხვების მეშვეობით, შედეგი კი სხვადასხვა გრაფიკულ ორგანაიზერში გავწერე, რომლებიც ქვემოთაა წარმოდგენილი.

საერთო ჯამში, კითხვარი 200-ზე მეტმა მოსწავლემ შეავსო. აქედან 21% დაწყებითი საფეხურისა იყო, 51% – საბაზო საფეხურისა, ხოლო 28% – საშუალო საფეხურისა. კოლეგების დახმარებით, კითხვარი შევავსებინე კახეთის, ქვემო ქართლის, თბილისის, რაჭის, სამეგრელოსა და აჭარის რეგიონების მოსწავლეებსაც. შესაბამისად, მივიღეთ მრავალფეროვანი გეოგრაფიული არეალი.

საინტერესო იყო, ძირითადად რომელი მოწყობილობის საშუალებით ესწრებოდნენ მოსწავლეები ონლაინგაკვეთილებს და ასრულებდნენ დავალებებს. ჩემი დაკვირვებით, უმეტესობა მობილურ ტელეფონს იყენებდა. ეს მცირე კვლევითაც დადასტურდა.

გამოკითხულთა 14% იყენებდა მხოლოდ ლეპტოპს/კომპიუტერს. ჩემი დაკვირვებით, მოსწავლეები, რომლებიც ლეპტოპის/კომპიუტერის საშუალებით იყვნენ ჩართულნი პროცესში, გამოირჩეოდნენ უფრო მაღალი პროდუქტიულობით, ვიდრე მობილური ტელეფონით ჩართული მოსწავლეები, რაც მათ მიერ შესრულებული დავალებებითაც დასტურდება.

მომდევნო კითხვა ეხებოდა მოსწავლეთა ზოგად დამოკიდებულებას სწავლის ამგვარი მეთოდის/საშუალების მიმართ. მათი პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

დისტანციური სწავლებით:



ჩემ მიერ ჩატარებული მინიკვლევის ერთ-ერთი, ყველაზე საინტერესო, ნაწილი იყო დისტანციური სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოკვეთა. T დიაგრამაზე იხილავთ, ძირითადად რაზე გაამახვილეს ყურადღება მოსწავლეებმა. ასევე მინდა გაგიზიარო რამდენიმე გამორჩეული პასუხი.

დადებითი მხარეები

„არ დავრჩით გაკვეთილების გარეშე და არ ჩამოვრჩით პროგრამას“; „გვრჩება ძალიან ბევრი დრო კლასგარეშე ლიტერატურის საკითხავად“; „მაქსიმალურად დაცული ვიყავით COVID-19-ისგან“; „გაკვეთილების ცხრილი უკეთესად იყო მორგებული მოსწავლეებზე“; „არ გვქონდა ზედმეტად გადატვირთული გრაფიკი“; „შესაძლებელია გაკვეთილის ჩაწერა და შემდგომში ნახვა“; „ჩანაწერის ყურების შემდეგ უფრო ადვილად ვაკეთებთ ჩვენთვის მნიშვნელოვან კონსპექტებს“; „გამოჩნდა რეალურად, ვის აინტერესებს სწავლა და ვის არა“; „აკადემიურ წლად არ გამოცხადდა“; „მასწავლებლები ბევრად მომზადებული არიან, ვიდრე სკოლაში და უფრო მოწადინებულებიც“; „გვქონდა ელექტრონული ტესტირებები“; „მასწავლებლების მიერ ელექტრონული პრეზენტაციების ხშირი გამოყენება“; „დავალებების (განსაკუთრებით თემების, ნარკვევების, ესეების) ელექტრონულად გადაგზავნა“; „ანიმაციებით, ფილმებით კონკრეტული საკითხის შესწავლის შესაძლებლობა“; „მასწავლებლები გვთავაზობდნენ პრეზენტაციებსა და სხვა თვალსაჩინოებებს“; „ნაკლები ზეწოლა გამოკითხვისას (ზეწოლაში არ იგულისხმება რაიმე სერიოზული, უბრალოდ არის ზოგჯერ შემთხვევები, როდესაც სტრესული ხდება მუდმივი გამოკითხვა)“; „მეტი ზოგადსაგანმანათლებლო ინფორმაციის მოწოდება (ეს ყველაფერი არის ის, რაც დისტანციურ სწავლებას მეტად სასიამოვნოს ხდის)“; „მასწავლებლებმა დაუღალავი შრომა გასწიეს (ვგულისხმობ მათ, ვინც არ იყვნენ მიჩვეულნი კომპიუტერთან, ინტერნეტთან მუშაობას, ყველაფერი გააკეთეს ამ მოკლე დროში, რომ აეთვისებინათ პროგრამა)“.

უარყოფითი მხარეები

„ბავშვების ნაწილი არ/ვერ ერთვებოდა საგაკვეთილო პროცესში“; „ვერ მივიღეთ ისეთი ცოდნა, როგორიც გვჭირდებოდა“; „ძალიან

გთხოვთ, მიუთითოთ სწავლების საფეხური



დისტანციური სწავლის პროცესში ჩართული ვიყავი

დამღლელია და დიდხანს გვიწევს მობილურთან კონტაქტი, რაც თავისთავად უარყოფითად მოქმედებს ადამიანის თვალებზე, ტვინზე და ა.შ.“; „ხანგრძლივი დროის გატარება კომპიურეტთან, მობილურთან“; „ინტერნეტისა და შუქის პრობლემები (ამის გამო გავაცდინე რამდენიმე გაკვეთილი)“; „ტექნიკური სირთულეები; დროის სიმცირე (20-25 წუთი) არ არის საკმარისი“; „ბევრი ბავშვი თავს აჩვენებდა, თითქოს გაკვეთილზე იყო, მაგრამ სინამდვილეში სადღაც იყვნენ გასულნი“; „ყველას არ აქვს ინტერნეტი და მოწყობილობა; არ გვაქვს მეგობრებთან ურთიერთობა“; „ცუდი ინტერნეტი და მოუწესრიგებელი ელექტროსისტემა (შუქი ხან იყო, ხან – არა); მასწავლებლები უფრო ბევრ დავალებას გვაძლევენ, ვიდრე სკოლაში“; „მასწავლებელთა ნაწილმა კარგად არ იცოდა პროგრამის გამოყენება“; „გაკვეთილის მოყოლის საშუალება არ გვქონდა“; „დისტანციური სწავლებისას თითქოს რაღაც თვალსაზრისით ბარიერია მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ეკრანი და ისე ეფექტურად ვერ ხდება აზრების გაცვლა“; „ჩვენ არ ვიყავით მზად ამგვარი სწავლებისთვის“.

ერთ-ერთი პასუხი ეხება ტრადიციულ სკოლაში მიყოლებით ჩანიშნულ გაკვეთილებს.

„სკოლაში ისეა აწყობილი ცხრილი, რომ ამოსასუნთქი დრო არ გვრჩება. 5-წუთიანი დასვენებები და ერთი დიდი დასვენება არაფერია. დისტანციური სწავლების დროს ხანდახან ერთსაათიანი თავისუფალი დრო გვქონდა. ამ დროის განმავლობაში ვისვენებდი და შემდეგი გაკვეთილისთვის მოტივაციაც მეზრდებოდა. ახლა ვფიქრობ – რა იქნება, ჩვეულებრივ სკოლაშიც რომ გვქონდეს თუნდაც 45-წუთიანი თავისუფალი დრო?“

ეს მოსწავლე გულახდილად საუბრობს მისი თვალით დანახულ პლუსებსა და მინუსებზეც:

„პირველ რიგში, ვიტყვი, რომ ძალიან გაგვიმართლა, რადგან სწავლის გაგრძელება ონლაინ მაინც შევძელით. ეს იყო რაღაც ახალი, რამაც თავიდან ძალიან დამაინტერესა, მაგრამ შემდეგ თითქოს მოტივაციამ იკლო. რატომ? უმეტესწილად გვესმოდა მხოლოდ მასწავლებლისა და მოსწავლეების ხმა, რაც მოსაბეზრებელია. აჯობებდა, ეთქვათ ჩვენთვის, რომ კამერები ჩაგვერთო, ასე ერთმანეთს დავინახავდით და უფრო საინტერესო გახდებოდა გაკვეთილი. იყო ხოლმე დენის პრობლემა, როცა თიშავდნენ და ვერ ვახერხებდი შესვლას, ასევე ხანდახან ინტერნეტი ჭედავდა. იყო შემთხვევები, როდესაც მასწავლებლის ხმა არ ისმოდა. ყველაზე მეტად ვბრაზდებოდი, როცა იტყოდნენ მასწავლებლები გაკვეთილის დაწყების დროს, ხან 10 წუთის მერე რეკავდნენ, ხან ნახევარი საათის და ხანაც ერთი საათის მერე, რაც ძალიან მოქმედებდა ჩემს ნერვებზე. კიდევ შემიძლია ვთქვა, რომ თიმსით არ ვარ კმაყოფილი, რადგან როცა ტელეფონით ხარ შესული, არ ჩანს, ვინაა შემოსული გაკვეთილზე. ვყოფილვარ გაკვეთილზე და მასწავლებელს ხან მერეღა შევუმჩნევივარ, რადგან ეტყობა ჩემი და სხვა კლასელის ხმა ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ჰო, სხვა რა შეიძლება ვთქვა? – წესით, გაკვეთილი რომ უნდა ჩატარებულიყო მაქსიმუმ 30 წუთი, ზოგი 1 საათი გვიტარებდა, ზოგი – საათ-ნახევარი და შემდეგ გაუსაძლისი ხდებოდა მასწავლებლის მოსმენა. იყო შემთხვევები, რომ თავის ტკივილიც კი გამოუწვევია და შემდეგ იმის სურვილიც და ძალაც აღარ მქონია, დავალება შემესრულებინა. მანაღვლებს ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა საგანი (პროგრამა) ვერ ჩავამთავრეთ და არ გვაქვს ის ცოდნა, რაც, წესით, უნდა გვქონოდა. მაგრამ, იმედია, ეს გამოსწორდება. მაინც კარგია, რომ აკადემიურ წლად არ გამოაცხადეს ეს წელი და კიდევ ტელეგაკვეთილები ძალიან მომეწონა, მით უმეტეს, ქართულის მასწავლებელი უფრო მრავალფეროვანი იყო და უფრო საინტერესო, ვიდრე მანამდე, სკოლაში. მართლა, რამხელა მნიშვნელობა ჰქონია – ვინ გასწავლის!“

მონაცემების დამუშავებისას ჩემი ყურადღება მიიქცია ისეთმა დადებითმა მხარეებმა, როგორებიცაა სიმყუდროვე/კომფორტი, მოსწავლეებზე მორგებული გრაფიკი და ნაკლები დატვირთვა, ხოლო უარყოფით მხარეებად ძირითადად

> აუცილებელია, ვისწავლოთ ბავშვების მოსმენა დღეს – ეჭვგარეშეა, ხვალ მომავლის უკეთესობისკენ შეცვლას შევძლებთ.

დასახელდა ცუდი ინტერნეტი, არასრულფასოვანი განათლება, მოწყობილობასთან გატარებული ბევრი დრო და ეკრანი როგორც ბარიერი.

მოსწავლეებს ვთხოვე, კითხვარში დაეკონკრეტებინათ და ემსჯელათ, რა განსხვავება დაინახეს სახლიდან სწავლასა და ტრადიციულ საგაკვეთილო პროცესს შორის. გთავაზობთ ამონარიდებს მათი პასუხებიდან:

> განსხვავებულია ის, რომ გაკვეთილი მეტად საინტერესო გახდა, რადგან მასწავლებლები გაკვეთილისას იყენებენ საინტერესო და შემეცნებით პრეზენტაციებს.

> ტრადიციულ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეები მეტად ჩართული ვიყავით. დისტანციური სწავლების დროს კიდევ ტექნიკური ხარვეზები ამაში ხელს გვიშლიდა.

> მასწავლებლები უფრო მეტ პრეზენტაციას ატარებდნენ, ვიდრე სკოლაში. ასევე, ვუყურებდით ვიდეოებს, ანიმაციებს და დოკუმენტურ ფილმებს. სკოლაში ამის საშუალება, უბრალოდ, არ არის.

> განსხვავება გაკვეთილების ხანგრძლივობაშია და ვფიქრობთ, სკოლაში საკმაოდ დატვირთული ვართ.

> გაიზარდა ჩვენი პასუხისმგებლობა საშინაო დავალებებისა და საკონტროლოების თვალსაზრისით.

> გარდა ამისა, დავალებების ელექტრონულად გადაგზავნა განასხვავებს დისტანციურს, ტრადიციული გაკვეთილისგან.

დამაინტერესა, მოახერხეს თუ არა ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა და ათვისება. გამოკითხული მოსწავლეების ნაწილმა დისტანციური სწავლების დაწყების შემდეგ თვითონვე დაიწყო რესურსების შექმნა. მოსწავლეებს ვთხოვე, აღეწერათ, რა გამოცდილება შეიძინეს დისტანციური სწავლების პროცესში/რომელი პროგრამები შეისწავლეს/რომელ პროგრამებში დაიწყეს მუშაობა ამ ხნის განმავლობაში:

გამოკითხული მოსწავლეების დიდი ნაწილი შეკითხვის პასუხად ასახელებდა დავალების Word-ში დაწერას, Power Point-ში პრეზენტაციის აწყობას და, ზოგადად, Teams აპლიკაციას.

დისტანციური სწავლების დაწყებიდანვე პრობლემა იყო მოსწავლეთა ჩართულობა. ამას ადასტურებს მათი პასუხებიც კითხვაზე: „თქვენი კლასელების დაახლოებით რამდენი პროცენტი იყო ჩართული დისტანციური სწავლების პროცესში?“

ჩვენ არ ვიცით, რა იქნება ხვალ. აქედან გამომდინარე, დავინტერესდი, მომავალში რა ფორმით ისურვებდნენ მოსწავლეები სწავლის გაგრძელებას. 207 გამოკითხულიდან მხოლოდ თხუთმეტმა ისურვა სამომავლოდ დისტანციურ სწავლებაში ჩართვა. ამ ნაწილის მიგნება ის არის, რომ გამოკითხულთა 55% ნაწილობრივ მზადაა, ჩაერთოს დისტანციურ საგაკვეთილო პროცესში. ალბათ გაინტერესებთ, რომელი კომპონენტის/ნაწილის გამოყენებას მიიჩნევენ შესაძლებლად მომავალში

ქვემოთ მოცემული ქულების მიხედვით, როგორ შეაფასებდით საკუთარ საქმიანობას ონლაინ სწავლების პროცესში?



თქვენი კლასელების დაახლოებით რამდენი პროცენტი იყო ჩართული დისტანციური სწავლების პროცესში?



„დავალებების და ტესტების ინტერნეტში წერას, რადგან შეიძლება, ამით უფრო ცოტა ქაღალდი გამოვიყენოთ და უფრო ცოტა ხე მოიჭრება“

„მაგალითად, ქართულში კვირის განმავლობაში გვაქვს ხუთი გაკვეთილი, აქედან ერთი შეიძლება იყოს ონლაინ. ასევე, კარგი იქნება, შუა კვირაში, მაგალითად ოთხშაბათს, თუ ვიქნებით სახლში და დისტანციურად ჩავატარებთ გაკვეთილებს“.

„საინტერესო იქნებოდა, შემაჯამებლების ფორმის შეცვლა, რომელიც, რატომღაც ჯერ კიდევ ძველ დროშია ჩარჩენილი და მოსწავლეებს სტრესულ ფონს უქმნის. ნიშნების არდაწერა, ჩემი აზრით, კარგი პუნქტია მომავალში გასათვალისწინებლად“.

„ჩემი აზრით, დისტანციური სწავლების გამოყენება მომავალში დაგვჭირდება დამატებითი მეცადინეობისთვის, პრეზენტაციებისა და ღონისძიებების დასაგეგმად“.

საგაკვეთილო პროცესის პარალელურად. მოდი, გავეცნოთ მათ პასუხებს:

- დავალების ელექტრონულად ჩაბარება და ონლაინ ტესტირების ჩატარება
- პროექტების შესრულება და ელექტრონული რესურსების შექმნა
- ელექტრონული წიგნების გამოყენება
- სიუჟეტების მომზადება და დავალების სახით წარდგენა (მაგ. სამოქალაქო განათლებაში)
- გაკვეთილის მოყოლის ნაცვლად მისი ანიმაციების, ვიდეოების ან პოსტერების სახით ჩაბარება

„ჩემი აზრით, მასწავლებლებს შეუძლიათ, გამოიყენონ შეძენილი ცოდნა და საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას მომავალში ყოველ გაკვეთილზე წარადგინონ საინტერესო ფოტო/ვიდეო მასალა. მოკლედ რომ ვთქვათ, უფრო საინტერესო გახადონ გაკვეთილები და ასევე უფრო გასაგები, მათ შორის, დავალებებიც. დავალებების ონლაინ გადაგზავნა თუ მომავალშიც დარჩება, ძალიან კარგი იქნება. ბევრად მოსახერხებელიცაა და ბევრად ერგება თანამედროვე ცხოვრებას“.

ცხადია, არიან ისეთი მოსწავლეებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ სამომავლოდ არც ერთი კომპონენტის გამოყენებას არ ისურვებდნენ. სასიამოვნოა, რომ გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი საკუთარ საქმიანობას ონლაინსწავლის პროცესში დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს.

პასუხების ანალიზმა მაჩვენა, რომ ჩვენი ახალგაზრდები ზედმიწევნით აცნობიერებენ არსებულ რეალობას. გადაწყვეტილებათა მიმღებ პირებს საინტერესო მიგნებები ელით.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ბავშვებს აზრს არ ეკითხებიან, არ ხდება მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არც მათი მოსმენის კულტურა გვაქვს. გადაწყვეტილებათა მიმღები პირები (მშობლებით დაწყებული, სამინისტროებით დამთავრებული) ხელმძღვანელობენ პრინციპით: „ჩვენ უკეთ ვიცით“, ბავშვებს რა სჭირდებათ. ამ მცირე გამოკითხვამ დამანახა, როგორი მოაზროვნეთაობა გვყავს, როგორ უნდათ, მათ ვინმე რამეს ეკითხებოდეს. მათი პასუხების გაცნობის შემდეგ დასკვნა თქვენთვის მომინდია. **მთავარია, ვისწავლოთ მათი მოსმენა დღეს – ეჭვგარეშეა, ხვალ მომავლის უკეთესობისკენ შეცვლას შევძლებთ.**

ანა ღვინიანიძე

დაკვირვება – დაბრუნება გაუცხოებულთან

როგორ განვუვითაროთ დაკვირვების უნარი მოსწავლეებს

> დაკვირვების ბედნიერება ის არის, რომ შეგიძლია, უცნობი რამ აღმოაჩინო. აჩქარებულ სამყაროში, რომელშიც ერთი გამღიზიანებელი საოცარი სისწრაფით ცვლის მეორეს, თითქოს, არც დრო გვაქვს და არც ფუფუნება, ჩვენსავე გარემოს დავაკვირდეთ.

ჩემს შავ კატას სარკის ანარეკლებით ვეთამაშებოდი, როდესაც მის ქცევაში უცნაური რამ შევნიშნე. მიუხედავად იმისა, რომ მანამდეც უამრავი კატა მყოლია, არასდროს შემიმჩნევია ის, რაც მაშინ აღმოვაჩინე. არც იმას შევსწრებივარ ოდესმე, როგორ ნადირობს კატა ჩიტზე, თორემ, აუცილებლად მივაქცევდი ყურადღებას: დრუნჩი აღელვებით მოძრაობს, თვალები ერთ წერტილსაა მიშტერებული, გუგების ზომა იცვლება, თავი დახრილია და წინ წაწეული, სხეული თითქმის მთლიანად ეკვრის ზედაპირს, რომელსაც ეყრდნობა, კუდი და ტანის უკანა ნაწილი დროდადრო მოძრაობს. ამ ყველაფერს კი ნახტომი მოსდევს. კატა უცნაურ, წყვეტილ ხმებს გამოსცემს. ეს ყველაფერი თითქოს სასურველის ხელში ჩაგდებამდე, მონადირებამდე შესასრულებელი რიტუალია. თუმცა ამ ქცევის ზუსტი დანიშნულება დღემდე არ ვიცი, განსაკუთრებით – ხმის.

დაკვირვების ბედნიერება ის არის, რომ შეგიძლია, უცნობი რამ აღმოაჩინო. აჩქარებულ სამყაროში, რომელშიც ერთი გამღიზიანებელი საოცარი სისწრაფით ცვლის მეორეს, თითქოს, არც დრო გვაქვს და არც ფუფუნება, ჩვენსავე გარემოს დავაკვირდეთ.

ემოციური ინტელექტისა და სოციალური ინტელექტის მნიშვნელობის გაცნობიერება და მათ შესახებ ადამიანების ცოდნის გამდიდრება კი იმაზე გვაფიქრებს, რომ ისევ და ისევ ვაღიარებთ იმ საწყისების მნიშვნელობას, საიდანაც მოვდივართ.

დაკვირვების უნარი ძირძველი და კეთილშობილური უნარია. როგორ მოახერხებდა ადამიანი გარეულ ცხოველებთან თანაცხოვრებას, მათზე დაკვირვება რომ არ შეძლებოდა? წარმოიდგინეთ, რომ ცხოვრობთ გარემოში, რომელშიც მტაცებლები არიან. თქვენი ყოველდღიური ამოცანაა, ამ გარემოში გადარჩეთ. ხოლო გადარჩენა, ერთი მხრივ, მათგან თავის დაცვას გულისხმობს, მეორე მხრივ – საკვების მოპოვებაზე ზრუნვას. მხოლოდ საფრთხისგან განრიდებით დიდხანს ვერ იცოცხლებთ. სხვა უნარების განვითარებაც უნდა სცადოთ ამ გარემოში თავის გადასარჩენად. როგორ გაართმევთ თავს ამ ორ ამოცანას მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ გამოცალკევებიხართ გარემოს, რომელშიც სხვადასხვა თავისებურების მქონე მრავალი არსება ცხოვრობს?

ეს ჩვენი განვითარების ის ხანაა, რომელიც, ერთი შეხედვით, შორეული წარსულია. რაში სჭირდება თანამედროვე ადამიანს დაკვირვების უნარი? ჩვენ ირგვლივ თითქმის აღარ არის საფრთხეები, რომლებიც შორეულ წარსულში გვემუქრებოდა, აღარც ისე გვჭირდება შენიღბვა, როგორც მაშინ, როდესაც გარემოსთან უნაკლოდ შერწყმაზე უნდა გვეზრუნა. სუპერმარკეტის თაროებზე თვალწარმტაცად შეფუთული სურსათი სულ რამდენიმე წუთში თქვენს სახლში აღმოჩნდება, იმაზე მეტად დამუშავებული და დანაწევრებული, ვიდრე ოდესმე. ადამიანების უმრავლესობას აღარ სჭირდება ქოქოსის პალმაზე აცოცება ნაყოფის მოსაწყვეტად, აღარც საათობით ჩასაფრება

ცხოველის მოსანადირებლად. **ჩვენ გაცილებით მეტს ვფიქრობთ იმაზე, როგორ გამოვიმუშაოთ, ვიდრე იმაზე, როგორ მოვიპოვოთ.**

რა დარჩა დაკვირვების უნარისგან დღეს?

ფსიქოლოგების ნაწილს მიაჩნია, რომ ემოციების ამოცნობის უნარი იმისთვის განვითარდა, რომ გარემოს შევგუებოდით. მაგალითად, ჩვენ უნდა გვეცნო არა მხოლოდ ადამიანის ემოციები და მათი შესაბამისი ქცევები, არამედ იმ არსებათა ემოციები და მათგან გამომდინარე ქცევებიც, რომლებიც ან საფრთხეს გვიქმნიდნენ, ან საკვებად გვჭირდებოდა. შესაბამისად, უნდა შეგვძლებოდა არა მხოლოდ ჩვენგან განსხვავებული არსებების ემოციებისა და შესაბამისი ქცევების ცნობა, არამედ სწორი ემოციებით გამოხმაურება და შესაბამისი ქცევების დაგეგმვა და შესრულებაც.

მაგალითად, ცხოველების ქცევაზე დაკვირვების უნარი?

როგორც აღმოჩნდა, არათუ უსარგებლო არ არის, ზოგჯერ იმაზე მეტად საჭიროც კია, ვიდრე წარმოგვიდგენია.

მაგალითად, იმისთვის, რომ ვირუსული დაავადებისგან თავი დავიცვათ, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია გვირჩევს, ვისწავლოთ და ბავშვებსაც ვასწავლოთ იმ ცოცხალი არსებების ქცევაზე დაკვირვება, რომლებიც, შესაძლოა, ამა თუ იმ ვირუსული ინფექციის გამავრცელებლები იყვნენ. მაგალითად, ვიცოდეთ და გავითვალისწინოთ, რა შემთხვევაში როგორ იქცევა ძაღლი. რითია ეს მნიშვნელოვანი? თუ ვაღიარებთ, რომ პრევენცია ყველაზე გონივრული გზაა, სხვადასხვა არსების ქცევაზე დაკვირვებაც მნიშვნელობას შეიძენს.

დღესდღეობით ემოციების ამოცნობის უნარი უმთავრესად მისი სოციალური მნიშვნელობის გამო გვჭირდება, ანუ ისევ და ისევ იმისთვის, რომ ჩვენივე სახეობის წარმომადგენლებთან ჩვენთვის და მათთვის ნაყოფიერი და სასარგებლო ურთიერთობა დავამყაროთ.

მაგრამ ნამდვილად ასე დავშორდით დაკვირვების საწყის მნიშვნელობას? რამდენად უსარგებლოა, იმისთვის, რომ ჩვენს ოთხფეხა მეგობრებთან მშვიდი და ბედნიერი თანაცხოვრება შევძლოთ, მათ ქცევაზე დაკვირვებაც უნდა შეგვეძლოს. თუ გვსურს, ცხოველის კბენას გადავურჩეთ, სწრაფად უნდა ამოვიცნოთ მის ქცევაში ნიშნები, რომლებიც გვამცნობს, რომ ცხოველს ჩვენთან ურთიერთობა არ სურს და მასთან დაახლოებისგან თავის შეკავება ჯობია.

ემოციური ინტელექტისა და სოციალური ინტელექტის მნიშვნელობის გაცნობიერება და მათ შესახებ ადამიანების ცოდნის გამდიდრება იმაზე დაგვაფიქრებს, რომ ისევ და ისევ ვაღიარებთ იმ საწყისების მნიშვნელობას, საიდანაც მოვდივართ.

დაკვირვების უნარის განვითარება ფსიქიკურ ჯანმრთელობაზეც ახდენს გავლენას. არსებობს არაერთი მიდგომა, მაგალითად, მღვიძარებაზე დაფუძნებული დაკვირვების უნარის გამომუშავება გულისხმობს, რომ დღეში სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში დავაკვირდეთ ჩვენს შეგრძნებებს და გარემოს. ამ მიდგომის მომხრეები გვათავაზობენ, „ჩაურევლად", დასკვნის სწრაფად გამოტანის გარეშე დავაკვირდეთ ფოთლის ფერს, მის ფორმას. დაკვირვება თავს იმ მთელის ნაწილად გვაგრძნობინებს, რომლისგან განცალკევებაც დიდი ხნის წინ დავიწყეთ. დაკვირვება იმაშიც გვეხმარება, ხელახლა გავუუცხოვდეთ იმ წარმოდგენებს, რომლებიც ოდესღაც გავიშინაგანეთ. მაგალითად, შესაძლოა, მეზობლად მდგომი თუთის ხისთვის დიდი ხანია არც კი შეგვიხედავს, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ წელს, მთელი თვის განმავლობაში, მაყვლისფერი ნაყოფი ხმაურით ცვივა მეზობლის მანქანაზე.

დაკვირვების უნარის განვითარება აფართოებს ემოციურ და სოციალურ ინტელექტში ნაგულისხმევ უნარებს. მაგალითად, ადამიანები, რომლებსაც განვითარებული აქვთ დაკვირვების უნარი, გაცილებით მეტ ცოდნას აგროვებენ სხვა ადამიანების ქცევაზე. **დაკვირვების უნარი ავითარებს ქცევისა და ქცევის მამოძრავებლების შესახებ ვარაუდების გამოთქმის უნარს.** გარდა ამისა, ის საშუალებას გვაძლევს, სწრაფად შევამჩნიოთ ისეთი ემოციებიც, როგორიცაა ბრაზი, უკმაყოფილება, სევდა და სხვა, რაც შესაძლოა დიდად დაგვეხმაროს ახლობელზე ზრუნვაში, საკუთარი მდგომარეობის გაცნობიერებაში და ა. შ.

როგორ განვუვითაროთ დაკვირვების უნარი მოსწავლეებს?

შესთავაზეთ რამდენიმე მოსამზადებელი საფეხური, რათა დაკვირვების უნარის განვითარების ხელშემწყობი სავარჯიშო წარმატებით შეასრულონ.

დაკვირვების წარმოებამდე შესთავაზეთ საკითხის შესახებ მოკლე წარდგენის მომზადება – მაგალითად, თუ თქვენი გაკვეთილის თემა რომელიმე სახეობის ცხოველის ქცევის თავისებურებებია, შეგიძლიათ, მოსწავლეებს სთხოვოთ ამ საკითხის შესახებ მოკლე, ხუთწუთიანი პრეზენტაციის მომზადება. ეცადეთ, პასუხი გასცენ ძირეულ კითხვებს, მაგალითად, *რომელი სახეობის წარმომადგენელია ცხოველი?* ან *რომელი ქცევა განასხვავებს მას სხვა სახეობის წარმომადგენლებისგან?*

სთხოვეთ მოსწავლეებს, დაკვირვების დაწყებამდე გათავისუფლდნენ ხელის შემშლელი ნივთებისა და გამღიზიანებლებისგან – დაკვირვების დროს ჩვენ ვერ შევძლებთ, დაკვირვების ობიექტს ქცევა გავამეორებინოთ. მაგალითად, შესაძლოა, ჩვენი კატა მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ განეწყოს სანადიროდ. შესაბამისად, თუ მის ქცევას არ ჩავიწერთ, გაგვიჭირდება, აღვწეროთ ჩვენი დაკვირვების მონაცემებში ყველაზე მნიშვნელოვანი წუთი. მოსწავლის ყურადღება ერთ, კონკრეტულ აქტივობაზე უნდა იყოს კონცენტრირებული.

სცადეთ, გაზარდოთ მშობლების მონაწილეობა – სთხოვეთ მათ, შვილებთან ერთად გააკეთონ ჩანაწერი დაკვირვების სამიზნე ქცევის შესახებ. მაგალითად, თუ მოსწავლეს დაავალეთ, დააკვირდეს, როგორ იქცევა მისი ლეკვი დილის, შუადღის და საღამოს საათებში და დღის თითოეულ მონაკვეთში 5-10-წუთიან დაკვირვებაზე შეთანხმდით, სთხოვეთ მის მშობელს, ვიდეოს ჩაწერა უზრუნველყოს. ვიდეოჩანაწერი მოსწავლეს დაეხმარება, დაკვირვების ჩანაწერები შეადაროს ვიდეოზე აღბეჭდილ ქცევებს. ჩვენ ხშირად მცდარ მნიშვნელობას ვანიჭებთ დაკვირვების მონაცემებს. მაგალითად, შესაძლოა, სხვადასხვა ქცევა ერთსა და იმავე კატეგორიაში გავაერთიანოთ.

აუხსენით მოსწავლეს დამკვირვებლის ქცევის მნიშვნელობა – უთხარით, რომ დაკვირვებისას კონკრეტული წესები უნდა დაიცვას. დაუსვით რამდენიმე კითხვა და სთხოვეთ, ამ კითხვებზე გაცემული პასუხები დაკვირვების დაგეგმვისას გაითვალისწინოს:

ა. **როგორ ფიქრობ, სად უნდა იმყოფებოდეს დამკვირვებელი დაკვირვების დროს?**
ბ. **როგორ ფიქრობ, შეძლებ ისეთი ადგილის შერჩევას, საიდანაც ცხოველს დააკვირდები?**
გ. **როგორ ფიქრობ, შეიძლება თუ არა, შენმა სიახლოვემ შეცვალოს შენი დაკვირვების ობიექტის ქცევა? რატომ?**
დ. **რომელ სიტყვებს გამოიყენებ დაკვირვების შედეგების ჩასაწერად?**

2. **როგორ ფიქრობ, არსებობს სიტყვები, რომელთა გამოყენებაც დამკვირვებელს ხელს შეუშლის სწორი დასკვნის გამოტანაში? რომელი სიტყვებია ასეთი?**
3. **როგორ ფიქრობ, შეუძლია თუ არა დამკვირვებელს, მიუახლოვდეს დაკვირვების ობიექტს? შეგიძლია დაასაბუთო შენი აზრი?**

ეს კითხვები მოსწავლეს უბიძგებს, დაფიქრდეს იმაზე, როგორ აწარმოოს სანდო დაკვირვება,



როგორ იპოვოს **შესაბამისი სიტყვები ქცევის აღწერისთვის და თავი შეიკავოს მისი შეფასებისგან.**

შეაქეთ მოსწავლის ძალისხმევა, მაგრამ, საჭიროებისამებრ, განუმარტეთ, რისი გაუმჯობესება იქნებოდა სასურველი – ხშირად ადამიანებს სურვილი გვძლევს, კი არ აღვწეროთ ქცევა, არამედ შევაფასოთ. მაგალითად, ვთქვათ არა ის, რომ ჩვენი მოსწავლე ხელს ან კალამს ურტყამს მერხს, არამედ ის, რომ ჩვენი მოსწავლე გონებაგაფანტული ან აგრესიულია. ქცევის დასაწყისშივე ასეთი შეფასება ნაჩქარევად გამოტანილი დასკვნაა. დაკვირვების უნარის განვითარება მსგავსი მიკერძოებისგან რამდენადმე მაინც გვიცავს. მაგალითად, შესაძლოა, მოსწავლემ რომელიმე ცხოველის ქცევა შეაფასოს როგორც ნადირობისთვის მზადება, სინამდვილეში კი ის, უბრალოდ, თამაშობდეს ან ნადირობაში „ვარჯიშობდეს“. ასეთი მიკერძოებული დასკვნები ჩვენი გონების ბუნებრივი მიდრეკილებების შედეგია, მაგრამ აუცილებელია, მოსწავლეებს ავუხსნათ, რომ

დასკვნის სწრაფად გამოტანისკენ მიდრეკილებას ზოგჯერ მცდარ დასკვნამდე მივყავართ.

ვიდეოზე აღბეჭდილ ქცევაზე ან მოვლენაზე დაკვირვება – შესთავაზეთ მოსწავლეებს ვიდეოჩანაწერის ნახვა. სასურველია, მას არ ახლდეს გამხმოვანებლის სიტყვები, რომლებიც ხშირად დაკვირვების მონაცემების შეფასებას გვთავაზობს. თქვენი მიზანი ის კი არ არის, მოსწავლემ ქცევის შეფასება მოისმინოს, არამედ ის, რომ დაკვირვების საფუძველზე თავად შეძლოს ვიდეოჩანაწერზე აღბეჭდილი ქცევის სწორად დასახელება. შეგიძლიათ შესთავაზოთ მოსწავლეებს იმის დათვლა, რამდენჯერ ასრულებს დაკვირვების ობიექტი ერთსა და იმავე ქცევას. **ეცადეთ, მისცეთ ქცევის ან მოვლენის შეძლებისამებრ ზუსტი, ორაზროვნების გამომრიცხავი აღწერა. სასურველია იმის გათვალისწინებაც, რომ ქცევის აღწერა უნდა მოიცავდეს ერთ, განცალკევებულ ქცევას და არა ქცევათა ჯაჭვს.** მაგალითად, თუ აღრიცხავთ, რამდენჯერ მიაწოდეს მონაწილეებმა ბურთი ერთმანეთს, დაკვირვებისთვის ქცევის განსაზღვრა შემდეგ საკითხებზე იქნება დამოკიდებული:

ა. **რა გაინტერესებთ კონკრეტულად?** – ვიდეორგოლის ყველა მონაწილე თუ ვიდეორგოლის მონაწილე გოგონები რამდენჯერ აწვდიან ერთმანეთს ბურთს?
ბ. **როგორ ისვრიან მონაწილეები ბურთს?** – ერთმანეთს ხელებში აწვდიან თუ ფეხებისკენაც ისვრიან? თუ ასეა, მაშინ სცადეთ, არჩევანი ერთი სახის ქცევაზე შეაჩეროთ. მაგალითად, იმაზე, რამდენჯერ აწვდიან ბურთს ვიდეოში ერთმანეთს გოგონები.
გ. **გაითვალისწინეთ სხვა ცვლადები** – მაგალითად, თუ ვიდეოში რამდენიმე სხვადასხვა ფერის ბურთია, ეს დამატებითი ცვლადი იქნება. სასურველია, მოსწავლეებთან შეათანხმოთ, მონაწილის ყურადღება რომელიმე ფერის ბურთზე უნდა იყოს კონცენტრირებული თუ ბურთის ფერს მნიშვნელობა არ აქვს. **რაც უფრო მეტ ცვლადს შეიტანთ პირობაში, მით უფრო რთული იქნება დაკვირვების პროცესი, რადგან მოსწავლეებს ერთდროულად რამდენიმე პირობის დამახსოვრება და მათ მიხედვით ამოცანის შესრულება დაევალებათ.** ამდენად, დასაწყისისთვის, შეგიძლიათ, მხოლოდ ერთი ცვლადის მიხედვით დაკვირვების წარმოება სთხოვოთ მოსწავლეებს. მაგალითად, რამდენჯერ აწვდიან ბურთს გოგონები (თუ ვიდეოჩანაწერში ბიჭებიც მონაწილეობენ) ერთმანეთს.
ასეთი სავარჯიშო იმის გამოვლენაში დაგეხმარებათ, რამდენად ურთიერთგანსხვავებული მნიშვნელობა მიანიჭეს მოასწავლეებმა ვიდეოში ნაჩვენებ ქცევებს, მერე კი შეძლებთ განიხილოთ, რატომ შეიძლებოდა, სხვადასხვა მოსწავლეს სხვადასხვა მნიშვნელობა მიენიჭებინა ერთი და იმავე ქცევისთვის.
დ. **გაიზიარეთ აღმოჩენის სიხარული** – ხშირად დაკვირვება სწორედ იმიტომაა სასიამოვნო, რომ ვგრძნობთ კავშირს, რომელიც ჩვენსა და გარემოს შორის მყარდება: ჩვენ არ ვცვლით დაკვირვების შედეგებს შეფასებებით, არ ვერევით მოვლენების მიმდინარეობაში, არც რომელიმე ადამიანისა თუ სხვა არსების ქცევაში, მხოლოდ აღვიქვამთ. შესაბამისად, დაკვირვებას თან ახლავს ცნობისმოყვარეობისა და დაკვირვების შედეგებთან დაკავშირებული სიხარულის გაზიარების სურვილი. ქიმიური ნივთიერებების ურთიერთქმედების შედეგად შექმნილი სანახაობაც, ალბათ, ამის გამო აღგვაფრთოვანებს: რაღაც მოულოდნელი ხდება ჩვენ თვალწინ, ჩვენ კი ზოგჯერ მხოლოდ ის გვევალება, ამ სანახაობას დავაკვირდეთ.

დაკვირვება მანძილზე სწავლების დროს

მანძილზე სწავლების დროს შეგვიძლია, მოსწავლეებს მარტივი დავალება მივცეთ, მაგალითად, დააკვირდნენ მცენარეს, რომელიც თავად დარგეს ან დათესეს – როგორ იზრდება, როგორ ისრუტავს ნიადაგი წყალს, როგორ მოქმედებს წყლის ნაკლებობა მცენარეზე და ა. შ. ამ სახის დაკვირვებაში მოსწავლე თანამონაწილეობს და, შესაბამისად, გარემოზე ზრუნვასაც სწავლობს.

ვისაც შინაური ცხოველი ჰყავს, შეგვიძლია ვთხოვოთ, მათი კვება შეისწავლონ, მერე კი ამ ცოდნის მოშველიებით დააკვირდნენ ცხოველის ქცევას – რამდენჯერ სვამს წყალს? როგორ მივხვდეთ, რომ შია ან სწყურია? რაზეა დამოკიდებული მისი კვების თავისებურებები? ეს ყველაფერი მოსწავლეს თანაგანცდისა და ზრუნვის უნარებსაც გაუძლიერებს.

იქნებ სწორედ დამკვირვებლის გაღვიძება გვჭირდება იმისთვის, რომ გაუცხოებულთან დაბრუნება შევძლოთ?

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

თამარ გეგეშიძე

საზოგადო და საკუთარი

რამდენიმე წლის წინ პარიზში, სენის სანაპიროზე, ნაჭრის ჩანთა ვიყიდე წარწერით „სენის ბუკინისტები“ და ხანში შესულ, ჭაღარა ბუკინისტს, – „ტიპს ტიპურ გარემოში“, – ვთხოვე, ჩემთან ერთად ფოტო გადაეღო. სიამოვნებით დამთანხმდა, რომელიღაც ძველი ფრანგული გამოცემა აიღო, ხელი გადამხვია და გაიღიმა. ის ფოტო ახლაც მაქვს. მე ვდგავარ თვითკმაყოფილი გამომეტყველებით და სახეზე მაწერია, რომ ყველაფერი კარგადაა, ხოლო მას – რომ ამაში არაფერია ნამდვილი. შემწყნარებლური მზერით მაგრძნობინებს, რომ საკუთარი ილუზიების ტყვე ვარ, მორიგი ტურისტი რუკით ხელში, რომელიც სადაცაა ქუჩას გადაჭრის და კუთხის წითელ ბულანჟერიაში დალევს ფინჯან ყავას კრუასანთან ერთად, რადგან ყველგან წერია, რომ პარიზში ასე უნდა მოიქცე. მეც საკუთარ თავს იმედს არ ვუცრუებ და ვიქცევი ისე, როგორც ათასობით ადამიანი ჩემამდე და ჩემ შემდეგ. ყავა გემრიელია, კრუასანი – ახალი, პარიზი – მომნუსხველი. თავადაც ვერ ვხვდები, რომ ეს სხვების გათელილი გზაა, მე კი ჩემი უნდა ვიპოვო და ჩავუსაფრდე მომენტებს, როცა ნამდვილი ვარ, მაგალითად, როცა ქუჩებში ხეტიალისას მოულოდნელად წავაწყდები წარწერას „სენტ ჟენევიევ“ და გონებაში ამოტივტივდება ფრანგი მწერლის წიგნში ბავშვობაში ამოკითხული და აკვიატებული ნევ-სენტ-ჟენევიევის ქუჩა. შევყვირებ კიდეც და რამდენიმე გამვლელს ჩემკენ მოვახედებ. არ შემიძლია, მათ ჩემი სიხარული გავუზიარო. არადა, თითქოს ძველ მეგობარს შევხვდი და ხელი მოვხვიე.

ცხოვრებაშიც ასე ხდება – ვიცით, რომ რაღაც უნდა გავაკეთოთ, რაღაც აუცილებლად უნდა ვთქვათ და ნაცნობ გზას მივყვებით მაშინ, როცა შეიძლება რაღაც მართლა მნიშვნელოვანი დაგვავიწყდეს ან გამოგვეპაროს.

– ქაოსია კლასში! – შევძახებ ენერგიულად (ყველა ხვდება, რომ გაკვეთილის დაწყებამდე რამდენიმე წამიღა დარჩა, კლასში აქეთ-იქით და წრეზე სირბილი უნდა შეწყდეს და იმის მიუხედავად, გრძელი ფეხები აქვს თუ მოკლე, მერხთან შეიყუჟოს).

– მხოლოდ მე მიყურებთ! (ეს სიტყვები ნიშნავს, რომ ნებისმიერი დიალოგი და დისკუსია დასრულდა და ახალი მასალის ახსნას ვიწყებ, რაც მაქსიმალურ ყურადღებას მოითხოვს).

– ყველამ საკუთარი თავი გააჩუმოს! (ადეკვატური რეაქცია გვქონდეს შენიშვნაზე და სხვაზე არ მივუთითოთ: მე რატომ, მას? ისიც ლაპარაკობდა!).

– გელოდებით! (ვგულისხმობ, რომ სანამ ჭამა, ხითხითი, ფხუკუნი და საჭირბოროტო ცხოვრებისეული საკითხების განხილვა არ დასრულდება, გაკვეთილს ვერ დავიწყებ, თუნდაც ზარი დაირეკოს).

ვინ იცის, თავადაც რამდენჯერ გამიგონია ეს სიტყვები! ალბათ, ამიტომ მეჩვენება, რომ არა უშავს, თუკი თავადაც გავიმეორებ, ორჯერ, ათჯერ, ოცჯერ, გავცვეთ თუ გავამრავალფეროვნებ, ისევ ავურევ ერთმანეთში „საზოგადოსა“ და „საკუთარს“.

შესაძლოა, სწორედ იმისთვის, რომ გავექცეთ საზოგადოს, დამკვიდრებულსა და გათელილს და ვიპოვოთ ჩვენი, პირადი და განსაკუთრებული, რაც ასე ძნელია, ვიწყებთ რაღაცის შექმნას, გამოგონებას, აგებას. ხანდახან ვჯდები და უბრალოდ ვწერ. შესაძლოა, არც კი ვიცოდე, რაზე უნდა ვწერო, ან აქვს თუ არა აზრი იმას, რასაც ვწერ, მაგრამ თითქოს ვალდებული ვარ, დავჯდე და აღვწერო ყოველდღიურობის თითოეული დეტალი, ყველა ადამიანი, რომელმაც გვერდით ჩამიარა და კვალი დატოვა ჩემში, ან სულაც ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. მაგალითად, ლამაზად ჩაცმული ბავშვი ძვირად ღირებული სათამაშოების მაღაზიასთან, რომელსაც ვერ გადაუწყვეტია, რომელი სათამაშო უნდა, რადგან ისედაც უამრავი აქვს, მაგრამ რამდენიმე წამიც და მაინც მოითხოვს რომელიღაც კოლექციის რომელიღაც მანქანის განსხვავებული ფერის ბოლო მოდელს, რადგან ჩვენ ყველანი სტერეოტიპების, ტენდენციების, წარმოდგენების მსხვერპლი ვართ და გვჯერა, რომ არსებობს ნივთები, რომლებიც აუცილებლად უნდა გვქონდეს, საქმეები, რომლებიც აუცილებლად უნდა ვაკეთოთ და იდეები, რომლებმაც ყოველგვარ ეჭვს გარეშე უნდა გაგვინათონ გონება. მე კი ასეთ დროს ვფიქრობ აუცილებლად წასაკითხ წიგნებზე, რომლებიც ნამდვილად მეგულება, რადგან ზოგ წიგნს მართლა შეუძლია, ჩვენს კითხვებს პასუხი გასცეს და რაღაც შეცვალოს ჩვენში, აუცილებელ ხურდა ფულზე, რომელსაც ჯიბეში ვიყრით, რომ კუთხეში მიმჯდარი რომელიმე თავდახრილი მოხუცისგან ერთი ცალი ლიმონი ვიყიდოთ და ჩემს ნაცნობზე – ცნობილ, გემოვნებიან, „ბომონდში“ გარეულ ფოტოგრაფზე, რომელიც პარასკეობით სოფელში მიდის, რომ მიწა ბაროს, რადგან ყველაზე მეტად იქ ემსგავსება საკუთარ თავს.

„მეტისმეტად ნუ შეიყვარებ საკუთარ გამარჯვებებს. ნებისმიერ შემთხვევაში, პროაქტიულად უნდა გააგრძელო იმის ძიება, რამაც შესაძლოა მომავალში ბოლო მოგიღოს“.

„ადაპტაციის უნარი AQ ყველა ჩვენგანისთვის საჭირო უნარია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიო ძალიან სწრაფად ვითარდება. ცვლილებებთან შეგუება კი ისე გვჭირდება, როგორც არასდროს კაცობრიობის ისტორიაში“.

ნატალი ფრატო

ᲪᲘᲠᲐ ᲑᲐᲠᲑᲐᲥᲐᲫᲔ

ᲐᲓᲐᲞᲢᲐᲪᲘᲐ

ᲐᲜᲣ „ᲡᲮᲕᲐ ᲒᲖᲐ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ

დღეს სამყარო ახალი გამოწვევების წინაშე დგას. ეს არ არის საუკუნის ან ათწლეულის გამოწვევები. მესამე ათასწლეული სრულიად განსხვავებულ რეალობას გვთავაზობს. უფრო სწორად, გვთავაზობს გაურკვეველ რეალობას. დღეს ბევრია დაბნეული: არ იცის, რა იქნება ხვალ, ამიტომ ვერ გადაუწყვეტია, რა გააკეთოს დღეს, რომ ხვალესთან თავსებადი იყოს.

იცვლება მსოფლაღქმა, ცხოვრების პარადიგმა... და რა შეგვიძლია ჩვენ ამ ვითარებაში? პარადიგმის შიგნით ცვლილებებს და გადაწყობას აზრი არ აქვს. ძველ სამყაროს თითქოს საყრდენი გამოეცალა... სწორედ ეს ქმნის წინაპირობას, რომ ადამიანები ჩვეული მდგომარეობიდან გამოვიდნენ და ყველაფერს უცხო თვალით შეხედონ. უცხოპლანეტელებივით დააკვირდნენ საკუთარ ქცევას. ალბათ რამდენ გაუცნობიერებელ და გაუაზრებელ საქციელს აღმოაჩენენ... ავტომატურ ქმედებებს, რუტინას, უსიხარულობას... ალბათ საკუთარ თავზეც გაბრაზდებიან... რატომ... რატომ... რატომ ამდენი მექანიკა და ნაკლები შემოქმედებითობა? ყველა ადამიანი ხომ დაბადებით შემოქმედია?

ჰოდა, სწორედ ის დროა, ახალი შესაძლებლობები, ახალი უნარები აღმოვაჩინოთ. და როგორ მოვახერხოთ ეს? პირველ რიგში, სტერეოტიპული ხედვისგან უნდა გავთავისუფლდეთ! რამდენჯერ გვითქვამს, რომ რაღაც „არ შეიძლება!“, „ეს როგორ შეიძლება?!“, „ასე არ გამოვა!..“ ამ სიტყვა-რწმუნებებით კი საკუთარი კარი ჩაგვიკეტავს, ცხრა ბოქლომი დაგვიდვია და შიგნით შევყუჟულვართ, რომ უფრო დაცულად გვეგრძნო თავი. ახალმა სამყარომ კი ყველა კარი შემოაღო და ახლა ან შიშით მოვიკუნტებით, ან კარებს ფართოდ გავაღებთ და „გარეთ“ გავიხედებით – ჩვენი შესაძლებლობების კვანტურ ველს დავათვალიერებთ.

მთავარი ფრაზა იქნება „სეზამ, გაიღე!“ – და თუ ეს ნამდვილად გვინდა, ჩვენ წინაშე განუმეორებელი პერსპექტივა გადაიშლება.

ადამიანს კვანტური ცნობიერება აძლევს უნარს, სუპერპოზიციაში ჩადგეს და ყველა შესაძლებლობა ერთად დაინახოს. ბუნებრივია, ყველა შესაძლებლობით ვერ ვიცხოვრებთ, მაგრამ შეგვიძლია, არჩევანი გავაკეთოთ და, ამავე დროს, ყოველთვის დავიტოვოთ გზა, ხელახლა დავბრუნდეთ სუპერპოზიციაში ახალი არჩევანისთვის – ცვლილებები ხომ სპირალისებურია და არასდროს სრულდება. ჩვენ კი ჩაკეტილ სივრცეში კი არა, ღია სივრცეში უნდა ვიმოძრაოთ, წრეზე კი არა – სპირალზე!

ადაპტაციის უნარი მეტაფორულად შეგვიძლია განვიხილოთ როგორც სუპერპოზიციაში ყოფნა – როცა სტერეოტიპებისგან თავისუფლდები და უამრავ გზას ხედავ.

ადაპტაციის უნარი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს შესაძლებლობების დანახვას, ცვლილებების მიღებას, გამბედაობას, ყველაფერი დაიწყო თავიდან, ყველაფერი დაიწყო ნულიდან, და რწმენას, რომ „ნული“ საუკეთესო ადგილია მშენებლობისთვის. მაგრამ... ამ წერტილში ვერ მოვხვდებით, სანამ მყარი დისკიდან ძველ ცოდნას არ წავშლით. ჩვენს დისკს თავისი შესაძლებლობები აქვს და ძველი ინფორმაციის წაუშლელად მასზე ახალი ვერ ჩაიწერება. სანამ ჭიქაში წყალი ასხია, ღვინოს ვერ ჩაასხამ – ჭურჭელი ჯერ უნდა დაიცალოს და შემდეგ აივსოს სხვა სითხით.

მაგრამ რა უყოს ადამიანმა ამდენ „ნაგროვებ“ ცოდნას და გამოცდილებას, რომელიც გუშინ შესაძლოა მუშაობდა, მაგრამ ახალ სამყაროში სრულიად გამოუსადეგარია, რადგან სხვა მსოფლხედვა, სხვა კანონები და კანონზომიერებები მოქმედებს? მე მზად ვარ, ყველაფერი მოვნიშნო, delete-ს დავაჭირო თითი და კოსმოსის სანაგვეზე გავისტუმრო ცოდნა და გამოცდილება, რომელიც უკვე აღარ მუშაობს. თქვენ?

ადაპტაციის უნარი თანამედროვე სამყაროს მნიშვნელოვანი უნარია, რომელიც ყველას აქვს – როგორც ჩაწერილი, მაგრამ გაუაქტიურებელი პროგრამა. ის დროა, პროგრამა ამოქმედდეს და ჩვენში განუსაზღვრელი შესაძლებლობების სივრცეში გაგვიყვანოს.

ნატალი ფრატო Tedx-ზე ადაპტაციის უნარის შესახებ გვიყვება: ადაპტაციის უნარი AQ ყველა ჩვენგანისთვის საჭირო უნარია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიო ძალიან სწრაფად ვითარდება. ცვლილებებთან შეგუება კი ისე გვჭირდება, როგორც არასდროს კაცობრიობის ისტორიაში.

ადაპტურობის გასაზომად ის 3 ხერხს გვთავაზობს.

პირველი: სამსახურებრივ გასაუბრებაზე, როგორც წესი, სხვადასხვა ვარიაციით სვამენ კითხვას: „მიამბეთ იმ დროზე, როცა...“

ადაპტურობის გასაზომ ინტერვიუში კი აქცენტი წარსულის ნაცვლად მომავალზე დაისმის. ასეთ დროს **„რა მოხდება, თუ...“** ტიპის შეკითხვებს ვსვამ. მინდა, მან, ვისაც ვესაუბრები, მომავლის სხვადასხვა შესაძლებლობა დაინახოს. სხვადასხვა სცენარის დანახვის უნარი ძალიან სასარგებლო ინფორმაციას მომაწვდის ამ ადამიანზე. თავისუფლად შეიძლება, ეს ხერხი მასწავლებელმაც გამოიყენოს ლიტერატურის გაკვეთილზე, მაგალითად, მოსწავლეებს მივცეთ ასეთი დავალება:

- რა მოხდებოდა, „ოთარაანთ ქვრივში“ გიორგი რომ არ მომკვდარიყო?
- რა მოხდებოდა, ლუარსაბ თათქარიძეს სიზარმაცე რომ დაეძლია?
- რა მოხდებოდა, წითელქუდა მგელს რომ არ გადაეყლაპა?

- რა მოხდებოდა, ხევისბერ გორჩას შვილი რომ არ მოეკლა?
- რა მოხდებოდა, ჯაყოს მარგო რომ ვერ დაეპყრო?

და ასე შემდეგ.

ტექსტების მსგავსი ინტერპრეტაციები მოსწავლეებს მრავალმხრივი ხედვის და ადაპტაციის უნარს განუვითარებდა.

IQ ტესტი გცდის, რა ინფორმაციას იღებ და როგორ იმახსოვრებ მას, ხოლო AQ გამოცდა ამოწმებს, განსაზღვრულ ჩარჩოში მოქცევისას როგორ მოახერხებ სიტუაციით მანიპულირებას კონკრეტული მიზნის მისაღწევად.

მეორე ხერხია ადამიანის იმ თვისებაზე დაკვირვება, რომელსაც შეგვიძლია ძველი ცოდნის დაკარგვისა და ახლით შევსების პროცესისთვის მზაობა ვუწოდოთ. ჩვენი ტვინის ახალი ინფორმაციით შევსება ძალიან მნიშვნელოვანია. ხანდახან მასაც კომპიუტერის დისკივით სჭირდება გასუფთავება.

რაც შეეხება მესამე ხერხს, ეს არის ადამიანში აღმოჩენის სურვილის აღმოჩენა.

ის, რაც ცოტა ხნის წინ შეუძლებელი გვეჩვენებოდა, შესაძლებელი აღმოჩნდა. მაგალითად, პანდემიამდე ვერ ვიფიქრებდით, რომ სკოლები და უნივერსიტეტები ასე სწრაფად გადავიდოდნენ ონლაინპლატფორმაზე. მიუხედავად ტექნიკური ხარვეზებისა, ეს გზა ეფექტური აღმოჩნდა იმ პირობებში, როდესაც მსოფლიო „შინ შეიკეტა“. პრობლემური სიტუაციები ერებსაც და კონკრეტულ ადამიანებსაც აიძულებს, იფიქრონ და ყველაფერს „სხვა თვალით“ შეხედონ, „სხვა სამყარო“ აღმოაჩინონ, „სხვა კანონზომიერებები“ შეიცნონ და აირჩიონ „სხვა გზა“, რომელიც ყოველთვის არსებობს, მაგრამ ვერ ვხედავთ.

ზვიად კვარაცხელია

ცდუნება

თავს ალბათ ვერავინ დადებს, რომ ეს არ შეხებია. სადღაც გულის ფსკერზე ამწუთასაც ვგრძნობ მიძინებული მხეცის მშვიდ სუნთქვას. თითქოს სძინავს, მაგრამ მგონია, რომ უფრო მოლოდინით გაყურებულა. სულ ერთი წამი უნდა, რომ გამოფხიზლდეს, თავი წამოსწიოს, ამოყვინთოს ზედაპირზე და მერე ყველაფერი მისი სუნით/სუნთქვით აივსება.

თორნიკე შენგელია რომ მოსკოვის ცსკა-ში გადავიდა, ეს ამბავი ერთდროულად საწყენიც იყო და ალბათ მოსალოდნელიც. ჩვენ მონსტრებსა და დიდ პოლიტიკურ თამაშებს შორის გამოკიდებული ქვეყანა ვართ, რომელიც აქამდე მსხვერპლით მოვიდა – მსხვერპლისუნარიანობით, მაგრამ ზზადაგზა ათას ბოროტებას, მოღალატეს და გამცემს წაუყრუა. ეს რომ დაგროვდებოდა და ზნეობრივი ლპობაც შემოგვეპარებოდა, მაშინ იყო, ერთი ვინმე გამოირჩეოდა ხალხისგან და ის გამოასუფთავებდა ბევრი თაობის ჭუჭყისა და კომპრომისებისგან აყროლებულ სახლს და სხეულებს. მერე კი – ისევ იგივე... ისევ იმავე წრეზე...

ეს ცდუნება ყოველთვის ჩვენს თავს ზემოთ იქნება დაკიდებული. ხან წარმატება დაერქმევა, ხან – კარიერული წინსვლა, ხან – მერე რა, იმანაც ხომ ისქნა, ხან – შიში და ხათრი, ხანაც – დიდი ფული, ხან კიდევ – მტერთან დაზავებული სილაჩრე, რომელსაც რატომღაც ახალი დროის პატრიოტობადაც მონათლავენ.

ეს ცდუნება არ აგვცდება არავის, ათი წლისები ვიქნებით თუ ოთხმოცისა. აქედანვე უნდა შევეგუოთ, რომ იმპერია, რომელმაც ასეულათასობით ჯარისკაცის სისხლი და აუწონავი სიმდიდრე დახარჯა თავისი საზღვრების ჩვენს მიწაზე გადმოსადებად, ჩვენი მოსყიდვისთვის არაფერს დაიშურებს.

ყველას ვერ დაგვხოცავენ – საუკუნეებია, ეს არ გამოუვიდათ, მაგრამ ბოროტების იმპერიებს სჯერათ, რომ ყველას ყიდვა შეიძლება, ამისთვის კი არსებობს ყოფა და პრობლემები, რომლებსაც, თუკი იდეალები მოშორდა, იოლად შეუძლია უბადრუკ არსებებად გვაქციოს. თქვენი არ ვიცი, მე კი ასეთად ბევრჯერ მიგრძნია თავი და ახლა არ ვიტყვი, მაშინ რა ძალამ გამომაღწევინა იქიდან... არ გავამხელ, ჯობია, ჩემთვის ვიცოდე.

თორნიკე შენგელიას, რა თქმა უნდა, ეცოდინება ურდოში მარტო, თავისი ფეხით წასული დემეტრე II-ის ამბავი, ყაენის მუქარას საკუთარი სიცოცხლე რომ შეაგება და ქვეყანა აოხრებას გადაარჩინა. სხვათა შორის, დემეტრე თავდადებული სიცოცხლის დიდად მოყვარული კაცი იყო და ამქვეყნიური სიამენი ჩვენზე მეტადაც ეძვირფასებოდა, მაგრამ მის გადასარჩენად დიდებულების/ხალხის მოყვანილი არცერთი არგუმენტი არ გაიზიარა და ურდოში გამარჯვებული, შიშსა და სიხარბეზე მაღლა მდგომი წავიდა.

დემეტრე თავდადებულმა იცოდა, რომ ურდო ერთხელაც ყველას დაუძახებს, უბრალოდ, ზოგი იფიქრებს, საჩემოდ მიბარებენო და წყალობას შეიშვნევს, ზოგს კი ეცოდინება, რომ მის უკან მოოხრებული ან მოსაოხრებლად განწირული მისი ხალხი დგას და მხოლოდ იმისთვის ეწვევა ურდოს, რომ იმ ხალხის გამოტყორცნილი ისარი იყოს და არა დამპყრობლისთვის გამზადებული ძღვენი.

ნასტასია არაბული

მოგზაურობა სახლიდან მსოფლიოს გარშემო

არსებობს გადასარევი ქართული საბავშვო წიგნი **„მხიარული ოჯახი“**, რომელზეც მასწავლებლის ჟურნალშიც დაგვიწერია და თუ მის შესახებ მეტის გაგებას მოისურვებთ, შეგიძლიათ, მაკა ლდოკონენის **ორი წლის წინანდელ სტატიას გაეცნოთ.** მე მხოლოდ მის ერთ-ერთ გმირზე, ტარტალინა კუზინეზე, და მისით შთაგონებულ მოგზაურობებზე მოგიყვებით, რომლებმაც შინ ყოფნის უსასრულო დღეები ცოტათი უფრო საინტერესო გახადა, ფანტაზიაც გაგვივარჯიშა და სამყაროს შესახებ ცოდნაც გაუმდიდრა ბავშვებს.

ტარტალინა კუზინე ბურთივით მრგვალი ქალია, რომელსაც თავზე ჩიტუნების გუნდი ისე ახვევია, თითქოს ყვავილების გვირგვინი ადგასო. თხა ჰყავს, რომელიც ხელზე გამობმული დაჰყავს, ეს თხა კი მის ჩემოდანს დაატარებს, რომლითაც ქალს სოფლიდან ქალაქში ჩიტების დასაპურებლად ჯანსაღი საკვები დააქვს. წიგნის გმირები, პატარა ბავშვები, ტარტალინა კუზინეს მატარებელში ხვდებიან, როცა ის ქალაქიდან შინ, სოფელში ბრუნდება. ეს მსუნაგი, მხიარული და ენერგიული ქალი ბავშვებს აჩვენებს თავისი საყვარელი რეცეპტების წიგნს, რომელიც, მისი აზრით, ყველაფერზე საინტერესოა – „სიყვარულიან წიგნზეც, თავგადასავლების წიგნზეც და დეტექტივზეც“. ტარტალინა კუზინეს რეცეპტების წიგნი იმისთვის კი არ სჭირდება, რომ მის მიხედვით კერძები მოამზადოს – არამც და არამც. ეს წიგნი მისთვის ამბების გამოგონების და წარმოსახვითი მოგზაურობის ინსტრუმენტია. წევს ტარტალინა კუზინე დივანზე და წარმოიდგენს, როგორ მიდის „ნიგვზიანი მინდვრის მხლის“ მომზადებამდე ნაძვებისა და ფიჭვების ტყეში, როგორ მიაბიჯებს რბილ, წიწვებით მოფენილ მიწაზე, სადაც ხეების ქვეშ სოკოები ფშვინავენ და ტოტებზე კუდფართხუნა ციყვები დახტიან, როგორ აგროვებს ნაძვის კეკს და როცა ტყე მთავრდება, როგორ ადის თოვლიან მთაზე, ქარსა და სიცივეში. მერე როგორ დადის მდელოზე, სადაც ბაბუაწვერები და გვირილებია და, ბოლოს და ბოლოს, იწყებს მხლისთვის ბალახბულახის მოგროვებას. ოღონდ მართლა კი არა, ისევ წარმოსახვით.

„თუ გაზაფხულია, ვაგროვებთ იის, ენძელის და ფურისულის ფოთლებს, უჰ! რა სურნელია და ამაზეც რამდენი რამის წარმოდგენა შეიძლება! ოჰ! თუ შემოდგომაა, ვაგროვებთ ნაცარქათამას, დანდურს და ამაზეც რამდენი რამის წარმოდგენა შეიძლება. უჰ! და ყოველთვის ვაგროვებთ ჭინჭარს! აბა, რას წარმოვიდგენთ ამ დროს? რა თქმა უნდა, ზაფხულს, სოფელს და მეზობლის ხეხილის ბაღს, საიდანაც უგემრიელესი ვაშლები, მსხლები თუ ბლები გვეძახიან, გინდა თუ არა, მოგვიპარეთო. ჩვენც მეტი რა გზა გვაქვს? ღობეზე ვხტებით ხილის მოსაპარად და ამ დროს ღობის ძირას ამოსულ ჭინჭარში ვვარდებით შიშველი ფეხებით! უუუჰ! რა მწარეა, მაგრამ არა უშავს, სამაგიეროდ, მოპარული ხილია გემრიელი. ოღონდ მარტო ხილი და არაფერი სხვა! ხომ გასაგებია?!

ახლა მხლისთვის ყველანაირი ბალახბულახი გვაქვს: იის ფოთოლი, ენძელის ფოთოლი, ფურისულის ფოთოლი, ნაცარქათამა, ჯიჯილაყი, დანდური, ჭინჭარი... და რა გვჭირდება? კა-კა-ლი! ოო, ვეებერთელა კაკლის ხეა, ფუღუროიანი, ფუღუროში ბუების ოჯახი ცხოვრობს...“ – უყვება ტარტალინა კუზინე ბავშვებს და ისინიც თვალებდახუჭულები უსმენენ, ხედავენ ყველაფერს, რაზეც ეს უცნაური ქალი ლაპარაკობს, ესმით, როგორ ზუზუნებს ქარი მწვერვალზე ასვლისას და ცხვირში ულიტინებთ ბაბუაწვერას წიპწები მდელოზე სირბილისას.

„შინ რომ დავბრუნდებით, ბებიას რეცეპტების რვეული უნდა წავიკითხო, დარწმუნებული ვარ, იმდენ რამეს წარმოვიდგენ, შეიძლება წიგნიც კი დავწერო. უი, მწერალი ხომ არ გამოვსულიყავი?“ – ფიქრობს პატარა ბიჭი მას შემდეგ, რაც ტარტალინა კუზინე ემშვიდობება მათ და მატარებლიდან ჩადის.

ჩვენ წიგნი არ დაგვიწერია, მაგრამ ასე მოგზაურობის იდეა მოგვეწონა. ამიტომაც დავთქვით, კვირაში ერთხელ, სადილობისას, ჩვენი სამზარეულო რომელიმე ქვეყანა იყოს, სადაც სიამოვნებით ვიმოგზაურებდით, მოვუსმინოთ იმ ქვეყნის მუსიკას, ვჭამოთ იმ ქვეყნის საჭმელი, წავიკითხოთ იმ ქვეყნის სახელოვანი ქალებისა და კაცების ამბები, გავიგოთ, როგორი ამინდია, რა აცვიათ, რა ადარდებთ და რა უხარიათ... და ასე ვიყავით ვენეციის კარნავალზე, ბუდისტურ ეკლესიებში, ჩრდილოეთის ციალს ვუყურეთ მუმინების ხეობიდან და სპილოებზე ამხედრებულებმა ვიმგზავრეთ ინდოეთში.

ლიტერატურა და ფანტაზია, ცოდნა და მოგზაურობაც ხომ იმისთვის არსებობს, რომ სამყარო უკეთ გაიცნო და რთული დღეები მარტივად გადააგორო.

თამთა ჯოღიძე

მშობელი საკლასო ოთახში

ძვირფასო მშობელო, ძალიან მომეწონა შენი თხზულება „ჩემი დედულეთი“. როგორ მივხვდი, ვინ არის მისი ნამდვილი ავტორი? ვფიქრობ, შენს პატარას ჯერ გალაკტიონის სახელიც კი არ გაუგონია და ვერც ცვრიანი ბალახის სიყვარულის ძალას იგრძნობდა ამ ასაკში... თან, მასწავლებლის გარდა, მეც შენისთანა მშობელი ვარ – ორმაგად გამოცდილი მკითხველი. მე მესმის შენი, მეტიც, მეც დამიწერია დავალებები შვილისთვის, არაერთხელ გამომიყენებია ეს უმოკლესი ბილიკი საწოლამდე დროულად მისაღწევად. ამიტომ, გთხოვ, ეს პატარა წერილი საყვედურად არ ჩამითვალო.

ყველა მშობელი ოდესღაც თავად იყო მოსწავლე და როცა სკოლას ახსენებენ, თვალწინ უცოცხლდება რამდენიმე ათეული წლის წინანდელი რუხი კედლები, მძიმე მერხები, ზარის მჭექარე ხმა, სახაზავმოღერებული მასწავლებლები, წითელი კალმები, პირველი იმედგაცრუება, წარუმატებლობის შიში... ამიტომ არ მიკვირს, წლების შემდეგ შვილების სკოლებში დაბრუნებული მშობლები ასე მონდომებით რომ ცდილობენ საკლასო ოთახებში შემოხედვას. მათ ეშინიათ საკუთარი გამოცდილების გამო. ჰგონიათ, მათი შვილებიც საყვედურს მიიღებენ შეცდომების საზღაურად და ურჩევნიათ, გამოცდილება რჩევების სახით კი არ გაუზიარონ შვილებს, ხელმეორედ გაიარონ სკოლის გზა და თავიანთი პირმშო გადამეტებულად ხარისხიანი დავალებებით აღჭურვონ.

არავინ დავობს იმაზე, რომ თანამშრომლობითი ჯაჭვი „მოსწავლე-მშობელი-მასწავლებელი“ სასწავლო პროცესების მართვის მექანიზმის უმნიშვნელოვანესი დეტალია, თუმცა შემიძლია ვთქვა, რომ შუა რგოლთან თანამშრომლობას გარკვეული სირთულეები ახლავს თან.

პანდემიის გამო საკლასო ოთახმა მოსწავლეთა სახლებში გადაინაცვლა და მშობელი სასწავლო პროცესის აქტიურ მონაწილედ აქცია. აქ ზოგი მათგანი ძველი ეჭვების დამადასტურებელი „ფაქტების“ შეგროვებას შეეცადა, ზოგმა კი საგაკვეთილო პროცესზე დასაკვირვებლად და ახალი აღმოჩენებისთვის მოირგო პასიური მსმენელის როლი. თუმცა აზრადაც არ მოსვლიათ, რომ დისტანციური სწავლების მოდელი განსხვავდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებისგან. აქედან გამომდინარე, აქტიური მშობლების უმეტესობას არ აკმაყოფილებდა არც გაკვეთილების სიხშირე და არც დავალებების ფორმატი თუ რაოდენობა, თუმცა შვილის შესაძლებლობების შელამაზების ან, უბრალოდ, დახმარების მიზნით ზედმიწევნით რედაქტირებული დავალებების რიცხვმა ძალიან მოიმატა.

ახლა განვიხილოთ მეორე უკიდურესობა, ანუ ინერტული მშობელი: თუ ბავშვი ონლაინ საკლასო ოთახში იშვიათად შემოდის, შეიძლება, მშობელს შვილის საქმიანობის ორგანიზება უჭირდეს ან ვერ აცნობიერებდეს საშინაო სკოლის საჭიროებას. გარდა ამისა, სასწავლო პროცესში ჩართვა მოითხოვს დღის განრიგის სწორად ორგანიზებას, რაც საკმაოდ რთულია, თუ სახლში ერთზე მეტი მოსწავლე გყავს ან თავადაც ონლაინ მუშაობ. ასეთ

> არავინ დავობს იმაზე, რომ თანამშრომლობითი ჯაჭვი „მოსწავლე-მშობელი-მასწავლებელი“ სასწავლო პროცესების მართვის მექანიზმის უმნიშვნელოვანესი დეტალია, თუმცა შემიძლია ვთქვა, რომ შუა რგოლთან თანამშრომლობას გარკვეული სირთულეები ახლავს თან.

სტრესულ გარემოში ვერავის დაავალდებულებ, მუდმივად დაესწროს ონლაინშეხვედრებს და დავალებებიც დროულად შეასრულოს. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს კი ყველაზე მეტად სჭირდებათ ოჯახის მხარდაჭერა დროის სწორად გასანაწილებლად, რადგან, მოგეხსენებათ, ადამიანს სახლში ყველაზე უკეთ არაფრის კეთება გამოსდის.

რადგან საკლასო ოთახში მშობლის შემოყვანა „დაგვჭირდა", სასურველია, დისტანციური ან საარდადეგებო დავალებების ნაწილი ისეთი აქტივობებით იყოს დატვირთული, რომლებშიც აქტიურ მშობელს თავისი როლი ექნება შესასრულებელი, სასწავლო პროცესში ნაკლებად ჩართულს კი შვილის სასკოლო ცხოვრებით დაინტერესებს. ამასწინათ საინტერესო აქტივობებს წავაწყდი „კარგი სკოლის" საიტზე. ჩემი აზრით, თავისუფლად შეიძლება ამ აქტივობების სასწავლო დისციპლინებზე მორგება და საინტერესო დისტანციურ დავალებებად ქცევა. რამდენიმე მათგანი ჩემს საგანს მოვარგე და თქვენც გაგიზიარებთ:

იმერული ესკიზები, ანუ საოჯახო წარმოდგენა

დღემდე ღიმილით ვიხსენებ უბნის საზაფხულო სპექტაკლებს, რომელთა აქტიური მონაწილეც გახლდით. მახსოვს, ამბებს თავად ვიგონებდით და რომელიმე „მსახიობის" ეზოში სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე ვაცოცხლებდით. მშობლები შეიძლება დაეხმარონ ბავშვებს „პიესის" წერის ან საყვარელი ზღაპრების/მოთხრობების დიალოგებად ქცევის პროცესში. თუ ოჯახში ბევრი ნათესავია ან ახლომახლო ბევრი ბავშვი ცხოვრობს, ეს აქტივობა ბავშვების ერთ-ერთ საყვარელ საზაფხულო საქმიანობად იქცევა. მათ უფროსების დახმარება ასევე დასჭირდებათ ფუნქციების განაწილების, რეკვიზიტებისა და კოსტიუმების შერჩევის დროს. თეატრალური სამზადისის დასრულების შემდეგ „დარბაზის" მოწყობა, ხელნაწერი მოსაწვევების დამზადება და წარმოდგენაზე მეზობლების დაპატიჟებაც არ დაგავიწყდეთ!

ჟურნალის კითხვის საათი

გამოყავით კვირაში თუნდაც ერთი საათი ჟურნალის ან გაზეთის (სტატია, საინფორმაციო ტექსტი) კითხვისთვის. შეარჩიეთ შვილის ასაკისა და ინტერესების შესაბამისი გამოცემა. დაეხმარეთ მას საკითხავი მასალის შერჩევაში. კითხვის დასრულების შემდეგ მოაწყვეთ ერთგვარი ვიქტორინა „იცოდით, რომ..." თუ აქტივობაში რამდენიმე ბავშვს ჩართავთ, შეიძლება, თამაშს შეჯიბრების სახეც მისცეთ და წინასწარ შეთანხმებული ფორმით წაახალისოთ მკითხველი, რომელიც ყველაზე მეტ ფაქტს გაიხსენებს წაკითხული სტატიიდან, მაგრამ ნურც სხვა მკითხველების ჩართულობას დატოვებთ დადებითი შეფასების გარეშე.

„მომაშველე ინსტრუქცია"

სასწავლო პროცესში ბავშვებს გამუდმებით უწევთ დავალებების ინსტრუქციების კითხვა, გაგება და შესრულება. მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს უჭირს ინსტრუქციის სიღრმისეულად გააზრება, რაც შესრულებული დავალების ხარისხზე უარყოფითად აისახება. მშობელს ამ შემთხვევაშიც შეუძლია დახმარება.

ხშირად სთხოვეთ შვილებს, გასწავლონ რამე, მაგალითად, კარისკენ ბურთის დარტყმა, ოღონდ – წერილობითი ინსტრუქციით. თუ მოქმედებათა ჯაჭვს არათანმიმდევრულად ააწყობენ ან რომელიმე რგოლს დააკლებენ, იმიტაციური თამაშის გზით აჩვენეთ, რომ მათი ინსტრუქცია არასრულფასოვანია და კორექტირება სჭირდება. მოსინჯეთ ინსტრუქციის ჩასწორებული ვარიანტები იქამდე, სანამ სრულ ვერსიას არ მოგაწვდიან. ყოველ ჯერზე უფრო და უფრო უკეთესად ჩამოყალიბებულ მითითებებს მიიღებთ. ბავშვებიც მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან წერილობით ინსტრუქციებს და მათი დავალებების ხარისხიც გაუმჯობესდება.

სიტყვების ყულაბა

თუ შვილის ლექსიკური მარაგის გამდიდრება გსურთ, „სიტყვების ყულაბას" გირჩევთ. მუყაოს კოლოფისგან „ყულაბას" ბავშვებიც გააკეთებენ. ყოველ ჯერზე აირჩიეთ ახალი „სიტყვის მორიგე", რომელიც მოიფიქრებს, ლექსიკონში მოიძიებს ან ახლახან წაკითხული წიგნიდან შეარჩევს საინტერესო სიტყვას (ეს არ უნდა იყოს ისეთი ლექსიკური ერთეული, რომელსაც ხშირად იყენებენ მეტყველებაში), რამდენიმე ეგზემპლარად დაწერს ბარათებზე და ოჯახის წევრებს დაურიგებს. „სიტყვის მაძიებლებმა" კი მას უნდა მიუსადაგონ მსგავსი და საპირის-

პირო მნიშვნელობის სიტყვები, დაწერონ თავიანთ ბარათებზე და „სიტყვის მორიგეს“ ჩააბარონ. ის გაეცნობა მონაწილეთა ნამუშევრებს, გადაამოწმებს მისადაგებული სიტყვების შესაბამისობას და სწორი ვერსიის ერთ ეგზემპლარს სიტყვის ყულაბაში ჩააგდებს.

დროდადრო მოაწყვეთ ყულაბის საზეიმო გახსნა და შეამოწმეთ, რამდენად კარგად გახსოვთ მასში მოთავსებული სიტყვები.

წინადადებებს მოიფიქრებს ამ სიტყვის გამოყენებით. თითოეული ბარათის გათამაშების შემდეგ როლები გაცვალეთ და თამაში ყულაბის დაცარიელებამდე გააგრძელეთ.

გირჩევთ, ყულაბა ხშირად გახსნათ, ხოლო სიტყვების რაოდენობა თამაშის დროს ათს არ აღემატებოდეს, რათა აქტივობა მოსაწყენი არ გახდეს და ბავშვებს მოძიებული სიტყვები არ დაავიწყდეთ.

წონდათ დღიურის წარმოება, რას უზიარებდით მას, იმსჯელეთ, რატომ, რა მიზნით შეიძლება წერდნენ ადამიანები დღიურებს. გააცანით მსოფლიოში ცნობილი დღიურები, რომლებიც დღეს ლიტერატურულ შედევრებადაა მიჩნეული (მაგალითად, ანა ფრანკის დღიური). თუ ბავშვობის დროინდელი დღიური შემოგრჩათ, შვილებსაც შეავსებინეთ.

ზოგიერთი ბავშვი თავად იგონებს ანბანს და საკუთარი

შეგიძლიათ, ლექსიკური ერთეულები თამაშების დახმარებით გააცოცხლოთ, მაგალითად, თუ ერთი შვილი სიტყვას წაიკითხავს, დედ-მამა სინონიმ-ანტონიმებს დაასახელებს, და-ძმა კი

პირადი ჩანაწერები

გაქვთ სახლში ძველი მეგობრობის დღიური ან ბავშვობის ჩანაწერები? აჩვენეთ ან მოუყევით თქვენს შვილებს, რატომ მოგ-

დამწერლობის ლაბირინთში კეტავს ბავშვურ სადარდებელსა თუ ოცნებებს. დღიურის იდეას მას ნამდვილად მოაწონებთ. შეიძლება, უფროსკლასელებს „საიდუმლო დღიურის“

> პანდემიის გამო საკლასო ოთახმა მოსწავლეთა სახლებში გადაინაცვლა და მშობელი სასწავლო პროცესის აქტიურ მონაწილედ აქცია. აქ ზოგი მათგანი ძველი ეჭვების დამადასტურებელი „ფაქტების“ შეგროვებას შეეცადა, ზოგმა კი საგაკვეთილო პროცესზე დასაკვირვებლად და ახალი აღმოჩენებისთვის მოიცალა პასიური მსმენელის როლი.

დახმარებით გაუღვივოთ ასომთავრული ან ნუსხური დამწერლობის მიმართ ინტერესი. წარმოიდგინეთ, რომ გაქვთ საიდუმლო, რომლის გამხელაც არავისთვის გინდათ, ან უბრალოდ გრძნობებისგან დაცლა გსურთ. დღიური ამის საუკეთესო საშუალებაა, ძველქართული ან გამოგონილი, საკუთარი ანბანი კი – საიდუმლოს დამალვის საუკეთესო ხერხი.

მოგზაურის დღიური

სასკოლო არდადეგების პერიოდში ბევრი ოჯახი მოგზაურობს. ეს სასიამოვნო პროცესი სასარგებლოც რომ გავხადოთ, შეგვიძლია, შვილებს რეპორტიორის როლის მორგება შევთავაზოთ. ახალბედა ჟურნალისტებმა „მოგზაურის დღიური“ უნდა აწარმოონ. ურჩიეთ, ბლოკნოტებში ჩაიწერონ, რამ დააინტერესათ ყველაზე მეტად მოგზაურობის პერიოდში ან რა მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეიტყვეს ახალი ადგილისა და იქაური მცხოვრებლების შესახებ... თუ ჩანაწერებს თქვენს შთაბეჭდილებებსაც შემატებთ, ბავშვებს მოტივაცია უფრო აუმაღლდებათ.

მსგავსი რეპორტაჟებისთვის მასალის მოძიება სხვა გზითაც შეიძლება. მაგალითად, რომელიმე მოგზაურ ახლობელთან ხართ სტუმრად. თქვენს შვილებს შეუძლიათ, მასპინძელს ინტერვიუ ჩამოართვან - ჰკითხონ, სად უმოგზაურია, რომელი ადგილი იყო მისთვის საინტერესო, რომელი შენობა, ხედი ან კერძი მოეწონა ყველაზე მეტად, დაათვალიერონ მოგზაურობის ამსახველი ფოტომასალა... პასუხების „შენახვა“ ხმის ჩამწერი პროგრამის დახმარებით შეიძლება, მოგვიანებით კი მათი დღიური კიდევ ერთი საინტერესო რეპორტაჟით შეივსება.

„დააძველე ან განაახლე ისტორია“

აქ ბებია-ბაბუების ჩართვა დაგვჭირდება. მოაყოლეთ შვილიშვილებს ახალი ამბები სკოლაზე, მეგობრებთან ერთად გართობაზე, მშობლებთან ერთად სეირნობაზე, მარტო თამაშის სახეობებზე. შემდეგ დააძველეთ მათი ისტორია – მოყევით, თქვენ რომ ასეთივე ამბები გადაგხდომოდათ თავს, რა შეიცვლებოდა, რა მოხდებოდა სხვაგვარად ან ვერ მოხდებოდა საერთოდ. შეგიძლიათ, იგივე თამაში შებრუნებულად გაიმეოროთ, ანუ ბებია-ბაბუების დროინდელი გართობის ხერხები თანამედროვე ეპოქაში გადმოიტანოთ. დარწმუნებული ვარ, თქვენც ძალიან გახალისდებით და ბავშვებიც.

„რას გვეუბნება რეკლამა“

აირჩიეთ ნაცნობი რეკლამა და შვილებთან ერთად იმსჯელეთ, რა მიზანი აქვს მას – რამე უნდა გვაყიდინონ? სადმე წასვლა მოგვანდომონ?.. შემდეგ ნიმუშად მიაწოდეთ რომელიმე ტურისტული კომპანიის სარეკლამო ბუკლეტი და შესთავაზეთ მსგავსი „პროდუქტის“ შექმნა, რომლის მეშვეობითაც რომელიმე ღირსშესანიშნავი ადგილის ნახვას მოგანდომებენ. აქ შეგიძლიათ გამოიყენოთ ჯგუფური მუშაობის ფორმატი. ბავშვებს ალბათ თქვენი დახმარებაც დასჭირდებათ ინფორმაციის მოძიება-დამუშავების, ფოტომასალის შერჩევის, სარეკლამო ტექსტის შედგენის დროს.

ბუკლეტის დასრულების შემდეგ მოაწყვეთ მისი პრეზენტაცია. სარეკლამო ბუკლეტის შემქმნელებმა უნდა სცადონ და დაგარწმუნონ, რომ მათი საექსკურსიო პაკეტი იყიდოთ. თუ რეკლამა დამაჯერებელი გამოვა, ჯილდოდ შეგიძლიათ პრეზენტატორებს ნამდვილი ექსკურსიაც დააგეგმინოთ და გიდის როლის მორგების შესაძლებლობაც მისცეთ.

ქეთევან ოსიაშვილი

სირთულეები პირველკლასელთა დისტანციურ სწავლებაში და მათი დაძლევის გზები

დისტანციურ სწავლებაზე მოულოდნელმა და ამასთან, ექსტრემალურ სიტუაციაში გადასვლამ სერიოზული სირთულეების წინაშე დააყენა, ერთი მხრივ, სკოლა და მასწავლებელი, მეორე მხრივ, მშობელი და მოსწავლე. სირთულეებს შეიძლება შევხვდეთ ნებისმიერ ასაკობრივ საფეხურზე, როგორც დაწყებითი კლასების და მეორე სასკოლო ასაკის, ასევე უფროსი კლასების მოსწავლეებთან ონლაინ სწავლების დროს. ვფიქრობ, არ იქნება გამართლებული იმაზე მსჯელობა, თუ რომელი ასაკის ბავშვებთან მომუშავე პედაგოგს უწევს უფრო მეტ სირთულეებთან გამკლავება. გამომდინარე მოსწავლეთა ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებებიდან, სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე მომუშავე სკოლის პედაგოგი შეიძლება სრულიად განსხვავებულ, მხოლოდ ამ კონკრეტული ასაკისათვის დამახასიათებელ სირთულეებს ხვდებოდეს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ სასკოლო სწავლების პირველი წელი, არათუ სხვა ასაკობრივი პერიოდებისაგან განსხვავდება, არამედ დაწყებით კლასებშიც კი შეიძლება ცალკე იქნეს გამოყოფილი თავისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ადვილი მისახვედრი იქნება, თუ რა პრობლემების წინაშე შეიძლება იდგნენ ის მასწავლებლები, რომლებიც პირველ კლასებში ყოველდღიურად ონლაინ გაკვეთილებს ატარებენ. ერთგვარი შვების მომგვრელი მათთვის მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რომ ონლაინ სწავლებაზე გადასვლა მოუწიათ არა სასწავლო წლის დასაწყისში, სექტემბრის ან ოქტომბრის თვეში, როდესაც სკოლასთან ადაპტაციის და ბავშვის მოსწავლედ ჩამოყალიბების პერიოდი მთელი სიმწვავით მიმდინარეობდა, არამედ სასწავლო წლის მეორე ნახევარში, როცა თითქმის ყველა პირველკლასელი მეტ-ნაკლებად შეეგუა სკოლას, მასწავლებელს და მოსწავლის როლს.

დარწმუნებული ვარ პირველკლასელთა არცერთი მასწავლებელი არ ისურვებდა თავის მოსწავლეებთან პირველ შეხვედრას და მათ გაცნობას ონლაინ გაკვეთილზე. ერთი წუთით თუ წარმოვიდგენთ იმ ბავშვის მდგომარეობას, რომელიც მოუთმენლად ელის სკოლაში წასვლას და თავის პირველ მასწავლებელთან შეხვედრას, დედას კი ვირტუალურ საკლასო ოთახში „შეყავს“, კომპიუტერის მონიტორზე გამოჩენილ მომღიმარ ქალბატონზე მიუთითებს და ეუბნება, რომ ის მისი მასწავლებელია, ადვილი მისახვედრი იქნება, თუ როგორ შეიძლება წარიმართოს მისი სასკოლო სწავლება იმ შემთხვევაშიც კი, თუ 1-2 თვის შემდეგ ის სკოლის შენობაში, რეალურ საკლასო ოთახში გადაინაცვლებს და იქ გააგრძელებს სწავლას. თუმცა, ვფიქრობ, არც იმის თქმა შეიძლება, რომ დღეს, როცა პირველკლასელი, ასე თუ ისე შეგუებულია სასკოლო სწავლებას და მოსწავლის როლს, ონლაინ გაკვეთილებზე მასთან ურთიერთობისას მასწავლებელს ნაკლები სირთულეები ხვდება.

> კარგი იქნება, თუ ონლაინ სწავლებისას ბავშვთან ემოციურ ურთიერთობებსაც გარკვეულ დროს დავუთმობთ. იქნებ ეს უფრო მეტის მიმცემი იყოს მისთვის, ვიდრე კიდევ ერთი ახალი ტექსტის წაკითხვა.

ძირითადი სირთულეები პირველკლასელთა დისტანციურ სწავლებაში:

- იმის გამო, რომ ონლაინ სწავლებისას პირველკლასელის მიერ კომპიუტერთან გატარებული დრო, მაშინაც კი, თუ თითოეული გაკვეთილი მხოლოდ 15-20 წუთი გრძელდება, სრულ შეუსაბამობაშია მეცნიერულად დადგენილ ნორმებთან, ადვილი შესაძლებელია, ბავშვი გადაიღალოს და უარი განაცხადოს საგაკვეთილო პროცესში ჩართვაზე, ან საერთოდ დაკარგოს სწავლის მიმართ ინტერესი;
- ლივი მონაწილეობა საგაკვეთილო პროცესში დიდხანს გაგრძელდება, ადვილი შესაძლებელია რეალურ საკლასო ოთახში დაბრუნებულ ბავშვს გაუჭირდეს სასწავლო პროცესში მშობლის გარეშე ჩართვა;
- პირველკლასელის დიდი სურვილია, რომ მასწავლებელი მხოლოდ მას „ეკუთვნოდეს", მისით იყოს დაკავებული, მას ესაუბრებოდეს. როგორც კი ის სხვა ბავშვისკენ გადართავს ყურადღებას, პატარა ცდილობს შეკითხვების დასმით ისევ თავისკენ „შემოაბრუნოს"



- რადგანაც პირველკლასელი ჯერ კიდევ ისე არ არის დაუფლებული კომპიუტერული ტექნიკის მოხმარებას, რომ დამოუკიდებლად შეძლოს ონლაინ სწავლების პროცესში მთელი რიგი ოპერაციების განხორციელება – ჯგუფში ჩართვა, ჯგუფიდან გამოსვლა, მასწავლებლის მიერ გამოგზავნილი დავალების მიღება, შესრულებული დავალების პედაგოგისათვის გაგზავნა, ამასთან, შეცვლილ სასწალო გარემოში შეიძლება პატარა მთლად კომფორტულად ვერ გრძნობდეს თავს, მშობელი იძულებული ხდება, გვერდით მოუჯდეს და ყოველ საჭირო შემთხვევაში აღმოუჩინოს დახმარება. თუ ასეთი ერთობ-

პედაგოგი. თავისთავად ცხადია, რომ ონლაინ გაკვეთილზე ვერცერთი პედაგოგი ვერ შეძლებს თითოეული ბავშვისთვის იმდენი ყურადღების დათმობას, რამდენსაც ის მოითხოვს მისგან, მით უმეტეს, რომ ამ სასწავლო გარემოში ის არავერბალური საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებაშიც საკმაოდ შეზღუდულია. მასწავლებლის ერთგვარი „უყურადღებობით" განაწყენებულმა ბავშვმა კი შეიძლება უკმაყოფილება იმით გამოხატოს, რომ საერთოდ გამოეთიშოს საგაკვეთილო პროცესს;

- გამომდინარე იქიდან, რომ პირველკლასელის აზროვნება თვალსაჩინო-ხატოვანია, სწავლე-

> არ არის სასურველი, რომ ონლაინ გაკვეთილი ბავშვთან პირდაპირ სასწავლო მასალის გადაცემით დავიწყოთ. გავითვალისწინოთ, რომ პატარა მონატრებულია მასწავლებელთან ურთიერთობას.

ბის პროცესში პედაგოგს, როგორც წესი, უწევს მრავალფეროვანი თვალსაჩინო მასალის გამოყენება. თუმცა, ონლაინ გაკვეთილებზე თვალსაჩინოებების გამოყენებაში ის საკმაოდ შეზღუდულია. ბევრი პედაგოგისთვის ამ დროს საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს Power point-ში მომზადებული საპრეზენტაციო მასალის ან ვიდეოფილმების ჩვენება, მაგრამ, იმის გამო, რომ საპრეზენტაციო მასალის ეკრანზე გამოჩენას თან სდევს ბავშვის მხედველობის არედან მასწავლებლის გამოსახულების გაქრობა, რადგანაც პედაგოგის მითითებით მთელი ყურადღება მან ამ დროს სწორედ საპრეზენტაციო მასალაზე უნდა გადაიტანოს, ბავშვისთვის ამგვარად წარმართული გაკვეთილი, მით უმეტეს, თუ პრეზენტაცია დიდხანს გაგრძელდება, შეიძლება საინტერესო არ აღმოჩნდეს და ვირტუალური საკლასო ოთახიდან გასვლაც კი მოისურვოს.

რეკომენდაციები პირველკლასელთა ონლაინ სწავლებაში არსებული სირთულეების დასაძლევად:

- კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების უარყოფითი გავლენისაგან ბავშვის დასაცავად კარგი იქნება, თუ მას ელექტრონულად შესასრულებელ საშინაო დავალებას არ მივცემთ და არ ვაიძულებთ, რომ გაკვეთილების შემდეგაც კომპიუტერთან იჯდეს. აუცილებელია მშობელმა იზრუნოს, რომ ონლაინ გაკვეთილების დასრულების შემდეგ ბავშვი დაკავდეს მისთვის საინტერესო საქმიანობით – ხატვით, ძერწვით, ვარჯიშით, მშობლებთან ურთიერთობით, მასთან საუბრით, თამაშით, სეირნობით;
- მოვერიდოთ მთელი გაკვეთილის განმავლობაში ბავშვის გვერდით ჯდომას; ვიზრუნოთ მასში დამოუკიდებლად სწავლის, დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. ვასწავლოთ უმარტივესი ოპერაციების (ჯგუფში ჩართვა, ჯგუფიდან გამოსვლა, მიკროფონის, ვიდეო-კამერის ჩართვა-გამორთვა) შესრულება და მივცეთ საშუალება ჩვენგან დამოუკიდებლად, ჩვენი დახმარების გარეშე გააკეთოს ეს ყველაფერი. წარმატების შემთხვევაში კი არ დაგვავიწყდეს შექება და დადებითი კომენტარების გამოყენება ბავშვის მიღწევების დასაფიქსირებლად და აღსანიშნად;
- არ არის სასურველი, რომ ონლაინ გაკვეთილი ბავშვთან პირდაპირ სასწავლო მასალის გადაცემით დავიწყოთ. გავითვალისწინოთ, რომ პატარა მონატრებულია მასწავლებელთან ურთიერთობას. კარგი იქნება, თუ გაკვეთილის დასაწყისში რამდენიმე წუთს დავუთმობთ ბავშვს, რომ მან თავისი წინა დღის შთაბეჭდილებები გაგვიზიაროს. მართალია, ასეთ საუბარზე დროის დაკარგვამ შეიძლება მასწავლებელს სასწავლო მასალის სრულყოფილად გადაცემაში ხელი შეუშალოს, მაგრამ გავითვალისწინოთ, რომ ამის აღდგენა მომავალში რეალურ სასკოლო გარემოში ჩატარებულ გაკვეთილზეც შეიძლება. პედაგოგთან და თანატოლებთან ურთიერთობის დეფიციტის პირობებში სოციალურ და ემოციურ განვითარებაში დაფიქსირებული გართულებების დაძლევა კი მომავალში მერწმუნეთ ბევრად უფრო რთული იქნება. ამასთან, ისიც გავითვალისწინოთ, რომ სკოლის უმთავრესი მიზანი სწავლის სწავლებაა და არა უზომო ინფორმაციით ბავშვის გონების ამოვსება, მით უმეტეს, რომ ბავშვის მეხსიერება ყველაფერს მაინც ვერ დაიტევს, გამომდინარე იქიდან, რომ მისი მოცულობა ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე მოზრდილი ადამიანის მეხსიერების მოცულობა. ამდენად, კარგი იქნება, თუ ონლაინ სწავლებისას ბავშვთან ემოციურ ურთიერთობებსაც გარკვეულ დროს დავუთმობთ. იქნებ ეს უფრო მეტის მიმცემი იყოს მისთვის, ვიდრე კიდევ ერთი ახალი ტექსტის წაკითხვა. ვფიქრობ, მასწავლებელიც დაცული უნდა იყოს იმისაგან, რომ დროში ისედაც შემცირებულ გაკვეთილზე ასეთი გადახვევების გამო მშობლების და ხელმძღვანელობის რისხვას და საყვედურებს არ დაიმსახურებს. თუმცა, როცა დისტანციურ სწავლებაზე გადავდიოდით, ალბათ ყველამ კარგად ვიცოდით, რომ მთელი რიგი მიზეზების გამო, ონლაინ გაკვეთილები ეროვნული სასწავლო გეგმით გაწერილი პროგრამის სრულყოფილად გავლის საშუალებას არ მოგვცემდა და ის გარკვეულ ადაპტირებას საჭიროებდა.

ვფიქრობ, ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება და გამოყენება ოდნავ მაინც შეამცირებს იმ სირთულეებს, რომლებიც პირველკლასელთა მასწავლებლებს ყოველდღიურად ხვდებათ ონლაინ რეჟიმში სწავლების პროცესში.

ნინო ღომიძე

ზადიანი არგუმენტების შესახებ

საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირება საჭირო, მნიშვნელოვანი უნარია.

თუ გვსურს, დამაჯერებლად, ნათლად, მკაფიოდ, არგუმენტირებულად გამოვხატოთ თვალსაზრისი, აუცილებლად უნდა მოვიშველიოთ არგუმენტები.

ზოგჯერ განზრახ (როდესაც მსჯელობა დემაგოგიურია) ან უცოდინრობის გამო იყენებენ ე.წ. დეფექტიან (მცდარ, ზადიან) არგუმენტებს.

მცდარი, უმართებულო, დეფექტიანი მსჯელობა, ერთი შეხედვით, დამაჯერებლად გამოიყურება, თუმცა რეალურად ზედაპირული, არასარწმუნო და ზადიანია.

განვიხილოთ მცდარი არგუმენტირების ნიმუშები, რათა მათი ამოცნობა და გაბათილება შევძლოთ.

მცდარი მაგალითი, ანალოგია, ასოციაცია, პარალელი

პარალელის გავლება, ანალოგიის მოშველიება, ასოციაციურად მსგავსი სიტუაციის/ობიექტის დასახელება გავრცელებული პრაქტიკაა არგუმენტირებისას.

ორი ობიექტის/სიტუაციის რაიმე ტიპის მსგავსების წარმოჩენით ან ხაზგასმით გარკვეული დასკვნის გამოტანა არ არის საკმარისი, თუ ამ ორ მოცემულობას შორის განსხვავება უფრო მეტია, ვიდრე მსგავსება. სიტუაციის, კონტექსტის, საკითხის სიმწვავის გათვალისწინების გარეშე, მხოლოდ ზედაპირული მსგავსების საფუძველზე გამოტანილი დასკვნა, როგორც არგუმენტი, არ გამოდგება.

მაგალითად, თუ ვამბობთ, რომ მოწევა მავნებელია და იწვევს ნაადრევ სიკვდილს, პასუხად შესაძლოა მოვისმინოთ, რომ „ბაბუაჩემი 100 წლამდე ეწეოდა და ჯანმრთელი მოკვდა“. ამ შემთხვევაში ერთი კონკრეტული მაგალითის კონტრარგუმენტად მოყვანა არარელევანტურია და საპირისპიროს არ ამტკიცებს.

ან სხვა მაგალითი – თუ ვინმეს ადანაშაულებენ კოლაბორაციონიზმში, მტრისადმი მაამებლურ დამოკიდებულებაში, ოპონენტმა შესაძლოა მაგალითად მოიყვანოს იმ მოღვაწეთა ბიოგრაფიები, ვინც შორეულ წარსულში იმავე ქვეყანაში ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ და ვისი შემოქმედება/მოღვაწეობაც ყველასთვის ძვირფასია.

ამ შემთხვევაში კონტექსტის, საკითხის სიმწვავის გაუთვალისწინებლად ორი ბიოგრაფიის შედარება, ნიმუშად სხვა მოღვაწის წარმოჩენა მცდარია და კონტრარგუმენტად არ გამოდგება.

მცდარი დასკვნა

Non sequitur – „არ გამომდინარეობს“ – მსჯელობისას განსაზღვრული მოსაზრებების იმგვარად განზოგადება ან ისეთი დასკვნის გამოტანა, რომელიც არ/ვერ გამომდინარეობს წინაპირობიდან, მცდარი მიმართულებაა. ამ პრიმიტიულ მეთოდს კარგად იყენებდა, მაგალითად, საბჭოთა პროპაგანდა. ნათელი მაგალითია ლოზუნგი: „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მოწინააღმდეგეა“. საზოგადოდ, რადიკალური, ანგაჟირებული, ტენდენციური მხარეები ხშირად მიმართავენ არგუმენტირების ამ მეთოდს.

> საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირება საჭირო, მნიშვნელოვანი უნარია. თუ გვსურს, დამაჯერებლად, ნათლად, მკაფიოდ, არგუმენტირებულად გამოვხატოთ თვალსაზრისი, აუცილებლად უნდა მოვიშველიოთ არგუმენტები.

„თუ აკრიტიკებ ხელისუფლების ინიციატივას, ე.ი. განვითარების წინააღმდეგი ხარ“, „იმდენი უცხოტომელი შემოვიდა ქვეყანაში, მალე გადავშენდებით“...

იმისთვის, რომ მსგავს მცდარ განზოგადებებს კონტრარგუმენტი დავახვედროთ და გავაბათილოთ, აუცილებელია, მოვთხოვოთ ოპონენტს მტკიცებულებები - რის საფუძველზე გამოაქვს კონკრეტული დასკვნა.

მცდარი განზოგადება

Fallacia fictae universalitatis – „ყველა კაცი ერთნაირია“, „ყველა ქალი ერთნაირია“. ეს და ამ ტიპის განზოგადებები მცდარია, რადგან მთქმელი კონკრეტულ გამოცდილებას აზოგადებს და მცდარი დასკვნა გამოაქვს. საზოგადოდ, მსჯელობისას ყოველთვის საფრთხილოა სიტყვების „ყველა“ და „ყოველთვის“ გამოყენება.

ტრადიციის ფეტიში

Argumentum ad antiquitatem – „ოდითგანვე ასე მოგვდგამს“, „ჩვენი მამა-პაპა ასე ცხოვრობდა, ჩვენც ასე უნდა ვიცხოვროთ“, „ხალხი ბრძენია“, „ჭეშმარიტია ის, რაც საუკუნეებითაა გამოცდილი“.

საკუთარი პოზიციის გასამყარებლად ტრადიციაზე აპელირება არ არის სწორი. საუკუნეების განმავლობაში ბევრი რამ იცვლება. პროგრესი სხვადასხვა მიმართულებით (მეცნიერება, ტექნოლოგიები, მორალური ნორმები, კანონი...) შეუქცევადია და ძველი დროის იდეალიზება, რომანტიზება უსაფუძვლოა. უკან მაცქერალი ადამიანი თვალს ვერ უსწორებს აწმყოს და რეალური გამოწვევების წინაშე მდგარი უკან, წარსულისკენ მიიწევს. ის, რაც მართებული (ჭეშმარიტი, კარგი, სწორი) იყო წინათ, პროგრესისა და სხვადასხვა სფეროში მიღწეული განვითარების დონის გათვალისწინებით, შესაძლოა, აღარ მიიჩნეოდეს ასეთად.

ერთადერთი მიზეზი

რაიმე მოცემულობის მიზეზად ერთადერთი ფაქტორის დასახელება და იმის მტკიცება, რომ შედეგი ამ ერთადერთი ფაქტორითაა განპირობებული, უმეტესად მცდარია, ამგვარი მსჯელობა კი დემაგოგიურია. მაგალითად, იმის მტკიცება, რომ მოზარდებში აგრესიის მატების ერთადერთი მიზეზი კომპიუტერული თამაშებია,



> ჩაიმე მოცემულობის მიზეზად ერთადერთი ფაქტორის დასახელება და იმის მტკიცება, რომ შედეგი ამ ერთადერთი ფაქტორითაა განპირობებული, უმეტესად მცდარია, ამგვარი მსჯელობა კი დემაგოგიურია.

მცდარი მსჯელობის ნიმუშია. დისკუსიის დროს ხშირად ვაწყდებით მოკამათეებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დასახული პრობლემის ერთადერთი მიზეზი არის ის, რაც მათ მიაჩნიათ მიზეზად. „დამიჯერე, ასეა!“ ან „საყოველთაოდ ცნობილია, რომ ასეა“. მსგავსი განაცხადები საფრთხილოა და ოპონენტმა მთქმელს უფრო საფუძვლიანი დასაბუთება, უფრო დამაჯერებელი არგუმენტები უნდა მოსთხოვოს.

REDUCTIO AD HITLERUM

არგუმენტის ნაცვლად ჰიტლერის ან ნაცისტურ-ფაშისტური იდეოლოგიის მაკომპრომეტირებელი ფაქტორების ხსენება მსჯელობას მცდარი მიმართულებით წარმართავს. ამგვარი არგუმენტი პრიმიტიულ, დეფექტიან საბუთად მიიჩნევა. ჰიტლერი საყოველთაოდ აღიარებული ოდიოზური ფიგურაა. ყველაფერი, რაც მას უკავშირდება ან შეიძლება დაუკავშირდეს, ასევე მიუღებლად მიიჩნევა. ამ მარტივ მოცემულობაზე დაყრდნობით მსჯელობის დროს ზოგჯერ იშველიებენ გარკვეულ მონაცემებს, რათა შექმნან ნეგატიური განწყობა-დამოკიდებულება განსახილველი საკითხის მიმართ.

მაგალითად, N-ი ამტკიცებს, რომ X დებულება სწორია.

ჰიტლერი ასევე ეთანხმებოდა X დებულებას.

ამიტომ X დებულება მიუღებელია და უნდა გაბათილდეს.

იგივე შეიძლება ითქვას მეთოდის შესახებ, როდესაც პოლიტიკური ჯგუფი ან პარტია დაუღალავად და განუწყვეტლივ ახსენებს ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფის „ცოდვებსა“ და შეცდომებს. „მართალია, ახლა რთული სიტუაციაა, მაგრამ N-ის მმართველობის დროს უარესი იყო“.

ამ პოზიციის გამომთქმელს უნდა მოვთხოვოთ არსებული სიტუაციის, კონკრეტული მოცემულობის ფარგლებში მსჯელობა და არა „წარსულის ცოდვების“ მუდმივი შეხსენებით აწმყო რეალობის უმართებულოდ წარმოჩენა ან პრობლემების გადაფარვა.

გიტა თვალაბეიშვილი

თამაშით ნასწავლი კითხვა და საშინაო დავალების გამარტივება დამწყები მკითხველისთვის

> ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება კითხვაა. „კითხვის უნარის განვითარება წიგნიერების საფუძველია, რაც სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს“.

რამდენიმე წლის წინ ჩემს კლასთან ერთად (IV კლასი) მონაწილეობა მივიღე საერთაშორისო კვლევაში „PIRLS-2016“, რომლის მთავარი მიზანი მეოთხეკლასელებში წიგნიერების დონის შემოწმება/განსაზღვრა იყო. ჯგუფსა და საკუთარ თავზე დაკვირვებით აღმოვაჩინე, რომ ამ მიმართულებით ბევრი მაქვს სამუშაო, რათა ბავშვებს უკეთესი შედეგები ჰქონდეთ. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე სწავლებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია წიგნიერებას როგორც გამჭოლ კომპეტენციას, რომლის განვითარებაც სასკოლო განათლების პრიორიტეტადაა ქცეული.

გარდა ამისა, ზედა საფეხურის კოლეგები დაკვირვების შედეგად ხშირად ამბობდნენ, რომ მაღალ საფეხურებზე უკეთესი მიღწევები აქვთ იმ მოსწავლეებს, რომლებმაც დაწყებით კლასებში კარგად ისწავლეს კითხვა, და პირიქით, მოსწავლეები, რომლებიც დაბალ კლასებში ამ უნარის დეფიციტს განიცდიდნენ, ვერც შემდგომ აღწევენ წარმატებას. ამას მრავალი კვლევაც ადასტურებს.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება კითხვაა. *„კითხვის უნარის განვითარება **წიგნიერების** საფუძველია, რაც სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეს მიმართულება ემსახურება მშობლიურ და მსოფლიო ლიტერატურასთან ზიარებას, ამასთანავე, ნაირგვარი წერილობითი ტექსტის წაკითხვის, მათში მოცემული ინფორმაციის გაგების, გააზრებისა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სწავლის პროცესში მოსწავლემ უნდა გამოიყენოს კითხვის ძირითადი სტრატეგიები, რათა შეძლოს ტექსტის შერჩევა, მასში სასურველი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება, კრიტიკული კითხვა“*, –წერია ეროვნულ სასწავლო გეგმაში. წიგნიერების განვითარება კი პირდაპირ კავშირშია ისეთი კომპლექსური უნარების განვითარებასთან, რომლებსაც წერისა და კითხვის უნარი ჰქვია.

კითხვის სწავლების საწყის ეტაპზე (საანბანო პერიოდის დასრულების შემდეგ, განსაკუთრებით კი მეორე კლასიდან) ქართული ენის მასწავლებლის საზრუნავია, რამდენად გამართულად და უშეცდომოდ კითხულობს მოსწავლე ამა თუ იმ სირთულის ტექსტს, რამდენად მოქნილია მისი კითხვის პროცესი.

პირველ კლასში, როგორც ქართული ენის ყველა სხვა მასწავლებელი, მთავარ აქცენტს მოსწავ-

ლეებში ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარებაზე ვსვამდი. წლის ბოლოს მოსწავლეთა უმრავლესობა კარგად ფლობდა მათ, თუმცა რამდენიმე ბავშვთან სასურველ შედეგს ვერ მივაღწიე. დავიწყე პრობლემის იდენტიფიცირება. ჯერ საკითხის ირგვლივ არსებულ ლიტერატურას გავეცანი.

აღმოჩნდა, რომ კითხვა, განსაკუთრებით – ადრეულ ასაკში, დიდ გავლენას ახდენს ბავშვის შემეცნებითი უნარების განვითარებაზე, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენად ბევრს კითხულობს ბავშვი.

ბავშვები კითხვის უნარის ფლობის თვალსაზრისით ერთმანეთისგან განსხვავდებიან. ამაზე დიდ გავლენას ახდენს ის, თუ რამდენად ადრეული ასაკიდან იწყებს კითხვას, რამდენად წიგნიერ გარემოში იზრდება ბავშვი და ა.შ. სწორედ ეს განაპირობებს კითხვის მიმართ მისი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

მკვლევრები ხშირად აღნიშნავენ, რომ კითხვის უნარის განვითარების შეფერხების მიზეზი ზოგჯერ არასაკმარისი ან არასათანადო სწავლებაა, ამიტომ მასწავლებელს დიდი როლი ეკისრება მის სრულყოფაში.

დაწყებით საფეხურზე კითხვის უნარის განვითარება ძალიან რთული და შრომატევადი პროცესია, რადგან ბავშვი სწორედ ამ დროს სწავლობს ასო-ბგერებს, მათ აკუსტიკურ ხატს და ბგერებთან შესაბამისობას, გამთლიანებას, გამოყოფას, კითხვის მოქნილობას, გამომსახველობას და ა.შ.

ადრეულ ასაკში კითხვის უნარის განვითარების შეფერხება და სიტყვის აღქმისა და გაშიფვრის სირთულე ბავშვს კითხვის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას უჩენს, რის გამოც კითხვის ავტომატიზაციის პროცესი ფერხდება, ეს კი ბავშვის ფრუსტრაციას, დაბალ თვითშეფასებასა და დემოტივაციას იწვევს, ამიტომ მასწავლებელსა და ოჯახს ძალიან დიდი როლი აკისრიათ მოსწავლის კითხვის უნარის განვითარებაში.

სტანდარტის მიხედვით, გამართული კითხვის უნარი განვითარებულია, თუ მოსწავლეს შეუძლია:

- სხვადასხვა სირთულის ტექსტის ხმამაღლა, გამართულად და გაბმით წაკითხვა;
- სხვადასხვა სირთულის ტექსტის ჩუმად გამართულად წაკითხვა;

რაც, თავის მხრივ, მოიაზრებს შემდეგ ინდიკატორებს:

- მოსწავლე კითხულობს ტექსტს უშეცდომოდ;
- კითხულობს ტექსტს გაბმულად;
- კითხულობს შესაფერისი სირთულის ტექსტს;
- კითხულობს ზომიერი სიჩქარით;
- კითხულობს გამომეტყველებით (ხმამაღლა);
- ხმამაღლა კითხვისას ინტონაციით გამოხატავს ტექსტში ასახულ ემოციებსა და განწყობას.

ე. ი. კითხვის მოქნილობის მახასიათებლებია: სწრაფად, უშეცდომოდ, გაბმითა და გამომეტყველებით კითხვა. საწყის ეტაპზე კითხვის ტემპი შედარებით დაბალია, რადგან მკითხველის მთავარ ამოცანას სიტყვების დეკოდირება წარმოადგენს. კითხვის სწრაფი ტემპის მიღწევა იმითაა მნიშვნელოვანი, რომ განაპირობებს გაბმულ, სწორი ინტონაციებით კითხვას და ხელს უწყობს წაკითხულის გააზრებას.

კითხვის მოქნილობაზე გავლენას ახდენს ტექსტის რაგვარობა. მოქნილობა მცირდება მაშინ, როცა წასაკითხი ტექსტი ასაკისთვის შეუფერებელია. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სწორად შერჩეულ ტექსტს, არამედ მეთოდებსაც, რათა კითხვა გაწაფული და გამართული გახდეს.

ლიტერატურის გაცნობის შემდეგ სწორ ნაბიჯად მშობელთა გამოკითხვა მივიჩნიე, რათა გამეგო, შინ კითხვის პროცესში რა სირთულეები იჩენდა თავს.

მშობლები წერდნენ:

„მათემატიკა ძალიან მოსწონს, მაგრამ, აი, როგორც კი კითხვას ვუხსენებ, მაშინვე ხან წყალი უნდა, ხან მუცელი ასტკივდება, ხანაც საპირფარეშოში გასვლას ითხოვს. ვატყობ, რომ მისთვის ეს ნამდვილად არ არის სასიამოვნო პროცესი და თავს არიდებს“;

„ჩემს შვილს არ უყვარს კითხვა, რადგან უჭირს სიტყვების ამოცნობა, რაც მას ბევრ დროს ართმევს. ამის გამო ხშირად მაქვს მასთან კონფლიქტი, მაგრამ ვერაფერს გავხდი“;

„ნელა კითხულობს, ამიტომ უჭირს ტექსტის შინაარსის გაგება“;

„ასო-ასო კითხულობს, ამის მერე კი უჭირს სიტყვებად წაკითხვა“;

„ქართული ენის საშინაო დავალებას თითქმის მთელ საათს ვანდომებთ“.

მშობელთა გამოკითხვის შედეგებით მივხვდი, რომ საჭირო იყო საშინაო დავალების მოდიფიცირება.

დავიწყე პრობლემის მოგვარების გზების ძიება. დღეს უკვე მრავლად მოიძებნება მეთოდი თუ აქტივობა, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეებში გაწაფული კითხვის უნარის განვითარებას. ამგვარი რესურსებით დახუნძლულია G-PriDe-ის დამხმარე სახელმძღვანელო წერისა და კითხვის უნარების განვითარებისთვის, ასევე – პორტალი „კარგი სკოლა“, რომელიც უმრავ მასალას გვთავაზობს, რათა კითხვა თითოეული მოსწავლისთვის უფრო მოქნილი გავხადოთ. ბევრ სხვა საინტერესო აქტივობასთან ერთად, სწორედ ამ პროექტიდან შევარჩიე რამდენიმე თამაში, მოვახდინე მათი მოდიფიცირება, მოვარგე საშინაო დავალებებს და სასწავლო პროცესში ისე გამოვიყენე.

ეს გახლდათ თამაშები „ბინგო“ და „ვიბსი“ (სახელები თავად შევურჩიე).

რატომ თამაშები?

იმიტომ, რომ, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს ასაკობრივ თავისებურებებს, სახალისოა მოსწავლეებისთვის, იწვევს მაქსიმალურ ჩართულობას, მოტივაცია ამ დროს მაღალია და სწავლაც – გაცილებით უმტკივნეულო, სპონტანური და ავტომატიზებული.

თამაშების ინსტრუქტაჟი ასაკისთვის მორგებული ტექსტის მიხედვით:

ასახსნელი ტექსტიდან ამოვკრიბე თითქმის ყველა სიტყვა და პატარა ფურცლებზე ორ ეგზემპლარად დავწერე. შეგიძლიათ ეს კომპიუტერშიც გააკეთოთ – გაცილებით მარტივია და ბავშვის თვალიც ეჩვევა ნაბეჭდ ტექსტს.



თოჯინა

– რა კარგი ღილი ვიპოვე! – ხტუნვა-ხტუნვით მიირბინა სოფომ ბებოსთან და დიდი, თეთრი ღილი უჩვენა.

– მაგისთანა დიდი და ლამაზი ღილებისაგან ჩემს პატარაობაში თოჯინას ვაკეთებდით ხოლმე, – თქვა ბებომ.

– როგორ, ბები, როგორ აკეთებდით, მითხარი, იქნებ მეც გავაკეთო!

– როგორ და, ავიღებდით ორ ჯოხს, ერთს გრძელს, მეორეს – ცოტა მოკლეს და ერთმანეთზე გადავაკვარედინებდით. მერე ღილს ვიპოვიდით და გრძელი ჯოხის ბოლოზე დავამაგრებდით: თოჯინა იყო და თოჯინა, პირისახეც ჰქონდა და ხელებიც!

– მაგას ხომ მეც გავაკეთებ! – წამოიძახა გოგონამ.

მართლაც, იმ ღილითა და ორი ჯოხით სოფომ თოჯინა გააკეთა. მერე კი გადაწყვიტა, რომ მისთვის ლამაზი კაბაც შეეკერა.

დაიწყო ჩითის ნაჭრების ქექვა, ამოარჩია ყველაზე ლამაზი ნაჭერი, გამოჭრა, დაჯდა ტახტზე და კერვას შეუდგა. ხან ნემსი იჩხვლიტა თითში, ხან ძაფი გამოუძვრა ყუნწიდან, მაგრამ ბოლოს მაინც შეკერა კოხტა, წელში გამოვანილი კაბა, ჩააცვა თოჯინას და შეთვალიერა.

მერე წაბლისფერი, ხუჭუჭა ბატკნის მატყლი ამოირჩია, თოჯინას თავზე დააკერა, ნაწნავი გაუკეთა და ზედ ბაფთა შეაბა.

თოჯინა ძალიან გაალამაზა თმამ, პირდაპირ კალმით ნახატს დაემსგავსა.

– ბები, ბები, შეხედე, რა კარგია!

– ჟოჩაღ, ეგ რა ლამაზი გამოგსულია! – შეაქო გოგონა ბებომ, - ნახე, შენი გაკეთებული მაინც სულ სხვაა, ქვეყნის მაღაზიებიც რომ შემოიარო, მაგისთანა თოჯინას ვერსად იშოვი!

ნინო ბეზარაშვილი

ჯერ ვუკითხავ ახალ ტექსტს ნელა, ტექსტისთვის დამახასიათებელი ემოციურობით (მოდელირებული კითხვა). მოსწავლეებს ვთხოვ, თითი გააყოლონ.

ბინგოს სიტყვები

ღილი ქვეყანა მიირბინა თეთრი თოჯინა ავიღებდი გრძელი გავაკეთებ გადაწყვიტა გამოჭრა შეათვალიერა ბატკანი ბაფთა გამოყვანილი მატყლი ნაწნავი შემოიარო წამოიძახა იჩხვლიტა ხუჭუჭა დაემსგავსა ბატკანი გაკეთებული გამოუძვრა ყუნწი ამოარჩია ნაჭრები შეაქო თქვა

დაფაზე მოსაძებნი ვიბსის სიტყვები

ჯოხი ხელები კალამი ახალგაზრდობაში ლამაზი გრძელი მოკლე ჩითი ტახტი კოხტა მაღაზიები თითი მითხარი გავაკეთო დიდი ბებო ხტუნვა ბოლო შეაბა ნახატი ნემსი ძაფი ყოჩაღ თმა წელი პატარაობაში კაბა დიდობაში სიბერეში უმნო

არეულ სიტყვებში იპოვეთ მსგავსი სიტყვები / სინონიმები;

არეულ სიტყვებში იპოვეთ საპირისპირო სიტყვები/ანტონიმები;

ღილი	ავიღებდი	შეათვალიერა	შემოიარა
ქვეყანა	გრძელი	ბატკანი	წამოიძახა
მიირბინა	გავაკეთებ	ბაფთა	იჩხვლიტა
თეთრი	გადაწყვიტა	გამოყვანილი	ხუჭუჭა
თოჯინა	გამოჭრა	მატყლი	დაემსგავსა

ნაწნავი	ბატკანი
გამოუძვრა	გაკეთებული
ყუნწი	ამოარჩია
ნაჭრები	შეაქო
თქვა	ჰქონდა

ჯოხი	ხელები
კალამი	ახალგაზრდობაში
ლამაზი	გრძელი
მოკლე	ჩითი

ამის შემდეგ ჩემ მიერ ამოკრებილი სიტყვების თითო ეგზემპლარს ვაკრავ (ან ვწერ) დაფაზე. სასურველია, ეს გაკვეთილის დაწყებამდე გააკეთოთ, რათა არც დრო დაკარგოთ და არც მოსწავლეებს აღუძრათ ცნობისმოყვარეობა. მეორე ეგზემპლარის ბარათებს კი ვკეცავთ და ვათავსებთ „სიტყვების სკივრში“, რომელიც შეგიძლიათ ბავშვებისთვის საინტერესოდ გააფორმოთ.

მერე მოსწავლეთა დახმარებით, დაფაზე გაკრულ ყველა სიტყვას ხმამაღლა ვკითხულობ.

ამის შემდეგ თითოეული მოსწავლე თაბახის ფურცელს გადაკეცვით 8 ნაწილად ყოფს. დაფაზე დაწერილი სიტყვებიდან მოსწავლეები ირჩევენ 8 სიტყვას (სურვილის მიხედვით) და თითოეულ მათგანს ფურცლის თითო მერვედში წერენ.

ბოლოს „სიტყვების სკივრში“ ჩაყრილი ფურცლებიდან, ლოტოს პრინციპით, თითო-თითოს იღებენ, სიტყვებს ხმამაღლა კითხულობენ და დამთხვევისას ბარათზე შესაბამის სიტყვას გადახაზავენ, რაზეც „ბინგოს“ დაძახებით მიუთითებენ, ხოლო როცა ბარათი მთლიანად შეივსება, ამბობენ: „სუპერბინგო!“. იღბლიანად ჩაითვლება ის ათი მოსწავლე, რომლებიც ბარათს მთლიანად შეავსებენ.

ტ[illegible]ტი	მაღ[illegible]ები
კ[illegible]ტა	თ[illegible]ი
მი[illegible]არი	გავ[illegible]თო
დ[illegible]ი	ბ[illegible]

გადავდივართ თამაშზე **„ვიბსი“** (ვინ **ი**პოვის **ბ**ევრ **ს**იტყვას), რომელიც დაფაზე გაკრული სიტყვების სწრაფად მოძებნას გულისხმობს.

მოსწავლეებს ორ ჯგუფად ვყოფ. თითოეულ ჯგუფში დგება წყვილები – **„წამკითხველები და მპოვნელები“**. ამ თამაშში მცირე სპორტულ აქტივობასაც ვრთავთ. თითოეული ჯგუფი დგება დაფის საპირისპირო კედელთან. ინიშნება დრო – 3 წუთი. ამ ხნის განმავლობაში მოსწავლეები წყვილებად გამორბიან დაფისკენ. წამკითხველს ევალება, „სიტყვების სკივრიდან“ ამოიღოს ბარათი, რომელზეც სიტყვა წერია და წაუკითხოს მეწყვილე მპოვნელს, ხოლო მპოვნელი იღებს მისი ჯგუფისთვის განკუთვნილი ფერის მარკერს, დაფაზე გაკრული სიტყვებიდან შესაბამისს პოულობს და შემოხაზავს. ამის შემდეგ წყვილი ჯგუფს უბრუნდება და გამორბის მომდევნო წყვილი. თამაში დროის ამოწურვამდე გრძელდება. ბოლოს ჯამდება ნაპოვნი სიტყვების რაოდენობა.

ამ თამაშის დასრულების შემდეგ, თუ დრო დაგრჩათ (გაწაფვის შემდეგ ნამდვილად დაგრჩებათ), შეგიძლიათ, ჯგუფებს ასეთი რამ დაავალოთ: ერთმა ჯგუფმა დაფაზე გაკრულთაგან მოძებნოს და დაალაგოს მნიშვნელობით მსგავსი სიტყვები (სინონიმები), ხოლო მეორემ – მნიშვნელობით საპირისპირო სიტყვები (ანტონიმები).

შეგიძლიათ, გაკვეთილი დაასრულოთ შეკითხვით: „მოგეწონათ თუ არა ქართული ენის გაკვეთილი?“. შეფასებისთვის გამოიყენეთ „ცერების“ მეთოდი (ან სხვა ალტერნატივა). მერწმუნეთ, ყველა მოსწავლე ცერა თითს მაღლა ასწევს მოწონების ნიშნად, რაც იმას ნიშნავს, რომ გაკვეთილი შედგა.

აღწერილი თამაშების შედეგები და კავშირი საშინაო დავალებასთან:

- გაკვეთილი იქნება პოზიტიური და ხალისიანი;
- გაიზრდება მოსწავლეების ჩართულობა და მოტივაცია;
- მოსწავლეები გაიწაფებიან სიტყვების ჩაწერაში (როცა მოუწევთ დაფიდან სიტყვის „ბინგოსთვის“ გადაწერა);
- შეძლებენ სიტყვების დეკოდირებასა და წაკითხვას. მათ გაკვეთილის განმავლობაში ერთი და იმავე სიტყვის წაკითხვა, სულ ცოტა, 4-ჯერ მოუხდებათ: დაფაზე, ყუთიდან ამოღებისას, „ვიბსის“ თამაშისას, სიტყვების დალაგებისას;
- კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები ისე მწვავედ აღარ იჩენს თავს საშინაო დავალების (ტექსტის კითხვა) შესრულებისას – ტექსტში არსებული სიტყვების ამოკითხვა და გაშიფვრა ფაქტობრივად გაკვეთილზევე მოასწრეს, ასე რომ, დავალების შესასრულებლად უფრო ნაკლები დრო დასჭირდებათ.



> ადრეულ ასაკში კითხვის უნარის განვითარების შეფერხება და სიტყვის აღქმისა და გაშიფვრის სირთულე ბავშვს კითხვის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას უჩენს, რის გამოც კითხვის ავტომატიზაციის პროცესი ფერხდება, ეს კი ბავშვის ფრუსტრაციას, დაბალ თვითშეფასებასა და დემოტივაციას იწვევს.

- გაკვეთილი აღარ არის მონოტონური და ფიზიკურ აქტივობასაც მოითხოვს (გარბენი), რაც ერთგვარი განტვირთვის საშუალებასაც აძლევს 6-7 წლის მოსწავლეებს.

რეკომენდაციები მასწავლებლებს:

- ნუ ეცდებით ყველა თამაშის ერთ გაკვეთილზე გამოყენებას. მოსინჯეთ სხვადასხვა გაკვეთილზე და როცა მოსწავლეები ისე გაიწაფებიან, რომ თქვენგან ზედმეტი ინსტრუქტაჟი აღარ დასჭირდებათ, ნამდვილად მოახერხებთ, ეს ყველაფერი ერთ გაკვეთილში (40 წთ) ჩაატიოთ.
- ეცადეთ, თამაშს არ მისცეთ შეჯიბრების სახე, რადგან ამ ასაკის ბავშვები მძაფრად რეაგირებენ წაგება-მოგებაზე.
- ნუ გამოიყენებთ თამაშებს ინტენსიურად. მათთვის შეგიძლიათ დააწესოთ კვირის ან თვის ერთი დღე. მოსწავლეებსაც გარკვეული მოლოდინი ექნებათ და თქვენც უკეთ შეძლებთ რესურსების მომზადებას.

აღნიშნული თამაშების გამოყენება უცხო ენების მასწავლებლებსაც შეუძლიათ. ერთ-ერთი გაკვეთილის გეგმა, რომელზეც ეს თამაშებია გამოყენებული, შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე **გაკვეთილის გეგმა** https://docs.google.com/document/d/1i0LLxl72Wk5-hmEwmGUUhfz-R7CCVYX6Z/edit

ნინო კაპანაძე

აქტივობები სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის სწავლებისთვის

სამოქალაქო განათლების/ მოქალაქეობის საგნობრივ სტანდარტში მეცხრე კლასის სავალდებულო თემის, „ცენტრალური ხელისუფლების“, ერთ-ერთ მკვიდრ წარმოდგენად მოიაზრება „სახელისუფლებო შტოების დანაწილება და ბალანსი სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი პირობაა“.

წერილის მიზანს ამ სავალდებულო თემის ფარგლებში სამიზნე ცნება „დემოკრატიაზე“ ორიენტირებული კომპლექსური დავალებისა და მასთან დაკავშირებული აქტივობების შემოთავაზება წარმოადგენს.

სამიზნე ცნებასა და მის მკვიდრ წარმოდგენებზე გასასვლელ საკითხად „ხელისუფლების დანაწილება“ შევარჩიეთ. სამიზნე ცნების ერთ-ერთ მკვიდრ წარმოდგენად დემოკრატიის პრინციპების არსში წვდომაც მოიაზრება. მოსწავლეს მოუწევს, გაერკვიოს ხელისუფლების დანაწილების არსში, ცალკეული შტოების ფუნქცია-მოვალეობებსა და მათ ურთიერთმიმართებაში. შერჩეული საკითხის სწავლებას საკმაო რაოდენობის გაკვეთილი დასჭირდება. გამოცდილებით, ხელისუფლების სამი შტოს ხსენება მაშინვე აღძრავს ცნება „მეოთხე ხელისუფლების“ ასოციაციას, ამიტომ მართებულად მივიჩნიეთ, ეს საკითხიც აქვე გაგვეაქტიურებინა. ამით მოსწავლეებს საშუალებას მივცემთ, ჩაუღრმავდნენ „მეოთხე ხელისუფლების“ განსხვავებას ხელისუფლების სამი შტოსგან და აღიქვან მედია როგორც ხელისუფლების სამივე შტოს გარედან მაკონტროლებელი ბერკეტი.

კომპლექსური დავალების შედგენისას გასათვალისწინებელი იყო რამდენიმე კრიტერიუმი. უნდა გვქონოდა მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მიზნად უნდა დაგვესახა გასაგები პროდუქტის შექმნა და ამ პროდუქტზე მუშაობას ხელი უნდა შეეწყო სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში. დავალების პირობას კავშირი უნდა ჰქონოდა საკითხებთან და შემსრულებელი ახალი ცოდნის აგებისა და უნარების განვითარების პროცესში ჩაება.

სწავლების შუალედური მიზანი აისახა საკვანძო კითხვებში: „რატომ და როგორ განაპირობებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი დემოკრატიული სახელმწიფოს გამართულ მოქმედებას? როგორ აკონტროლებს მედია ხელისუფლებას?“

კომპლექსური დავალება

წარმოიდგინე, რომ სამოქალაქო განათლების მასწავლებელი ხარ და მეცხრეკლასელებს დემოკრატიის პრინციპის – ხელისუფლების დანაწილების – არსი და ხელისუფლების შტოები უნდა გააცნო. შექმენი შესაბამისი სლაიდშოუ, რომელზეც ვიზუალურად (სქემების სახით) წარმოადგენ ხელისუფლების სხვადასხვა შტოს და მათ ურთიერთმიმართებას.

> უპირველესი დავალების პირობის გაცნობა და გააზრებაა. მოსწავლე თავიდანვე უნდა გაერკვეს, რა პროდუქტი უნდა შექმნას, რას უნდა მიაქციოს ყურადღება, როგორი უნდა იყოს შინაარსი და ტექნიკური მხარე.

ნაშრომის წარმოდგენისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- ხელისუფლების დანაწილების პრინციპის არსი და მნიშვნელობა (მოიყვანე არგუმენტები/მაგალითები);
- ამ პრინციპის დაცვის მექანიზმები (დოკუმენტები, ინსტიტუციები...);
- კავშირი ხელისუფლების დანაწილებასა და ადამიანის უფლებების დაცვას შორის;
- „მეოთხე ხელისუფლების" ადგილი და დანიშნულება.

პრეზენტაციის შემდეგ იმსჯელე:

- რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობისას?
- რა გაგიიოლდა და რა გაგიძნელდა?
- რა ცოდნა და უნარები შეგძინა დავალების შესრულებამ? რა დასკვნები გამოიტანე?
- ხელახლა რომ ასრულებდე დავალებას, რას გააუმჯობესებდი?

უპირველესი დავალების პირობის გაცნობა და გააზრებაა. მოსწავლე თავიდანვე უნდა გაერკვეს, რა პროდუქტი უნდა შექმნას, რას უნდა მიაქციოს ყურადღება, როგორი უნდა იყოს შინაარსი და ტექნიკური მხარე. სასწავლო პროცესი მისთვის კარგად ნაცნობი კონტექსტია, მაგრამ არის სიახლეც – ამ პროცესში ახალი როლის (მასწავლებლის) გათავისება მოუწევს და ეს ინტერესს აღძრავს. სლაიდშოუს მომზადებაც არ უნდა იყოს უცხო. დეტალების დასაზუსტებლად შეგვიძლია მივუთითოთ წიგნის „სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ. განათლება დემოკრატიისათვის (წიგნი I)" 66-69-ე გვერდებზე განთავსებული რჩევები.

მთავარ მიზანს რომ მივაღწიოთ, მოსწავლემ უნდა გაითავისოს, როგორ აბალანსებს ხელისუფლების სხვადასხვა შტო ერთმანეთს და როგორია ურთიერთკონტროლისა და შეკავების მექანიზმები, მედიის როლი ამ მექანიზმების ამოქმედებასა და გაძლიერებაში. გააზრების შემდეგ ეს მიმართებები მან სლაიდებზე სქემებში უნდა ასახოს და სიტყვიერად აუხსნას „მოსწავლეებს". ამისთვის ის ჯერ ხელისუფლების ცალკეული შტოების ფუნქციამოვალეობებზე, შიდა სტრუქტურებზე უნდა ფლობდეს ინფორმაციას.

სხვადასხვა კლასში ამ ცოდნის აგებისა და გააზრების პროცესი სხვადასხვა დროსა და მიდგომას მოითხოვს, რასაც მასწავლებელი თავად განსაზღვრავს. აქ მხოლოდ ზოგიერთ აქტივობას შემოგთავაზებთ, რომლებიც, ჩვენი აზრით, მოსწავლეს ახალი ცოდნის აგებაში შეუწყობს ხელს.

ა. კითხვა-პასუხი, მცირე დისკუსია

- გავიხსენოთ უახლესი ვითარება. ახალი კოვიდ 19-ის პანდემიის მართვის პროცესში როგორ ხდებოდა გადაწყვეტილებების მიღება, ვინ მონაწილეობდა?
- რას აკეთებდა პარლამენტი?
- რას აკეთებდა მთავრობა?
- სასამართლო?

ბ. საკითხის შეჯამება ან ინტერაქციული დექცია „ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე".

გ. საშინაო დავალება

მოსწავლეები უნდა გაეცნონ სახელმძღვანელოში მოცემულ რესურსებს, საქართველოს კონსტიტუციის მესამე, მეოთხე, მეხუთე თავებს.

დ. ჯგუფური სამუშაო (იქმნება 3 ან 6 ჯგუფი)

ინსტრუქცია: თითო ან ორ-ორმა ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს: თითო სახელისუფლებო (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) შტოს ფუნქცია-მოვალეობები (რესურსად იყენებენ სახელმძღვანელოს, **საქართველოს კონსტიტუციის** შესაბამის თავებს). ჯგუფებმა უნდა მოიფიქრონ ამ ფუნქციათა განხორციელების მაგალითები.

ე. პრეზენტაციების შემდეგ იმართება **დისკუსია და შეჯამება.**

ვ. ინდივიდუალური დავალება

ელექტრონულად (ვორდის ან სლაიდშოუს ფაილებში) შექმენი ხელისუფლების თითოეული შტოს შიგნით მოქმედი სტრუქტურების ამსახველი სქემები. გამოიყენე insert SmartArt-ის შესაბამისი გრაფიკები.
ეს დავალება დაეხმარება მოსწავლეებს, სტანდარტის შესაბამისად, განივითარონ ისეთი გამჭოლი კომპეტენცია, როგორიცაა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, რაც შემდგომში კომპლექსური დავალების შესასრულებლადაც დასჭირდებათ.

ზ. კითხვა-პასუხი „მეოთხე ხელისუფლების" თემაზე (მთელი კლასი)

- რატომ უწოდებენ მედიას „მეოთხე ხელისუფლებას"?

- რა ფუნქცია აკისრია მედიას ხელისუფლებასთან მიმართებით?
- ხელისუფლების რომელი შტოს კონტროლსა და დაბალანსებას ემსახურება მედია?
- ხომ ვერ დაასახელებთ კონკრეტულ შემთხვევებს, როდესაც მედიამ ამხილა ან ხელი შეუშალა ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას?

I ეტაპი

მასწავლებელი ჯგუფებს ურიგებს ინსტრუქციას: „გაეცანით სიტუაციას: „სასამართლოს განცხადებით მიმართა ქუჩაში მცხოვრები ბავშვების ჯგუფმა. განცხადებაში ნათქვამია, რომ ირღვევა მათი უფლებები – საცხოვრისის ქონებისა და განათლების მიღებისა. სახელმწიფო არ ილებს პასუხისმგებლობას მათთვის თავშესაფრის მიცემასა და განათლების უფლების რეალიზებაზე“.

- რას გეგმავთ მომავალში ამ პრობლემის მოსაგვარებლად?
- სხვა რომელი შტოს ბრალეულობას ხედავენ ამ სიტუაციაში?

(თითოეულ ჯგუფს ეძლევა 3-4 წუთი პოზიციის გამოსახატავად)

„ჟურნალისტების“ ჯგუფი ამზადებს კითხვებს, რომელთა მოდიფიცირებასაც ახდენს წინა სამი ჯგუფის მიერ ბრიფინგზე წარმოდგენილი ინფორმაციის



ამ კითხვებზე პასუხების მიღების შემდეგ მასწავლებელი ახდენს უკუკავშირსა და შეჯამებას.

9) სიმულაციური თამაში – ბრიფინგი

კლასში მოსწავლეთა სურვილისამებრ (საჭიროების შემთხვევაში ვაბალანსებთ) იქმნება 4 ჯგუფი: „პარლამენტარები“, „მთავრობა“, „მოსამართლეები“, „ჟურნალისტები“.

ჯგუფი უნდა მოემზადოს ბრიფინგზე ინფორმაციის წარმოსადგენად. ინფორმაცია უნდა პასუხობდეს შემდეგ კითხვებს:

- როგორია თქვენი შტოს პასუხისმგებლობა ამ საკითხზე?
- რომელი სტრუქტურაა ამ პრობლემაზე პასუხისმგებელი?
- რა გააკეთა ამ სტრუქტურამ პრობლემის მოსაგვარებლად?

II ეტაპი. იმართება ბრიფინგი. პირველი სამი ჯგუფი რიგრიგობით წარადგენს თავის ინფორმაციას. „ჟურნალისტები“ სვამენ კითხვებს. მასწავლებელი არეგულირებს დროის რეგლამენტს. „ჟურნალისტების“ ჯგუფი ამ დროს ინიშნავს ინფორმაციას, ანალიზებს, ამზადებს ინფორმაციას, ანალიზებს, ამზადებს ინფორმაციას, ანალიზებს, ამზადებ

მენტს „მიკროფონის“ გადაცემის საშუალებით.

დასასრულ, ყველას ეძლევა ნახევარი წუთი დასკვნისთვის.

მასწავლებელი ახდენს უკუკავშირს და შეჯამებას. ყურადღებას ამახვილებს მედიის როლზე – რომ ის ხელისუფლების ყველა შტოსთვის წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის, ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთობის პლატფორმას.

> დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს.

პარალელურად, მედია აკონტროლებს ხელისუფლების სამივე შტოს და მათ ამცნობს საზოგადოებრივ აზრსაც.

ამ მოსამზადებელი აქტივობების დასრულების შემდეგ დგება კომპლექსური დავალების შესრულებისა და წარდგენის ეტაპი. პრეზენტაციების დროს მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად შეიძლება, მასწავლებელმა კლასს „მსმენელის დღიურის“ წარმოება შესთავაზოს, რისთვისაც ერთობლივად შეიმუშავებენ კრიტერიუმებს (რა გაიგეთ ახალი? რამ დაგაინტერესათ? რას დაამატებდით?).

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი კომპლექსური დავალება პირდაპირ ორიენტირებულია სამიზნე ცნებაზე **დემოკრატია** (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის **პრინციპები) (შედეგები: 3, 4, 13) და მის მკვიდრ წარმოდგენებზე:**

- ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით;
- **ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს;**
- **დემოკრატიულ საზოგადოებაში/ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;**
- **დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს** (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), **რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს.**

თუმცა ირიბად ის სხვა სამიზნე ცნებებსაც უკავშირდება.

ნესტან რატიანი

სა-ჟირ-ო ლიტერატურა

„ბედნიერი მომავალი თაობები, ჟამიანობის გამო ყოვლისმომცველი წუხილი რომ არ შეხებიათ და ამიტომაც ჩვენი მონათხრობი მათთვის მხოლოდ ამბავი იქნება“.

ფრანჩესკო პეტრარკა

ჟამიანობა იგივე ჭირიანობაა, მაგრამ, ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, ამ სიტყვას მეც ფართო მნიშვნელობით გამოვიყენებ. ჭირი, როგორც მკვლევრები ამბობენ, ბერძნული სიტყვისგან მომდინარეობს - დამშეული შავ-ლურჯი სისხლისმსმელი კერები ელვარე კბილების ღრჭენით დაძრწიან საკბილოს საძებრად. დღეს „ჭირიანს“ ირონიულად სუსტი ჯანმრთელობის ადამიანს უწოდებენ, „ჭირი“ კი მხოლოდ ზედსართავ „შავ“-თან წყვილში მიუთითებს კონკრეტულ დაავადებაზე. ქართულმა ენამ, შესაძლოა, ბერძნულიდან შეითვისა სიტყვა „ჭირი“, მაგრამ მისგან უამრავი ახალი სიტყვა აწარმოა, მაგალითად „ჭირიმე“, „გაჭირვება“, „საჭირო“, „ჭირნახული“, „ჭირვეული“... დღეს ეს სიტყვები იმდენად მშობლიურია, რომ მათ გარეშე ქართული ენა წარმოუდგენელია. ახლა - რაც შეეხება მეორე სიტყვას. ეთნოგრაფებმა და ფოლკლორისტებმა იციან, რომ „ჟამი“ კონკრეტულ დაავადებას აღნიშნავდა „უჟმურ“-თან ერთად. დღეს „უჟმური“ უხასიათოს ნიშნავს, ჟამისგან ნაწარმოებ „მოჟამულს“ კი მოღუშულ ამინდსა და უხასიათო ადამიანზე იტყვიან. სიტყვა „ჟამიანობას“, როგორც ეპიდემიის აღმნიშვნელ სიტყვას, პოპულარობა წლევანდელმა პანდემიამ მოუტანა. მანამდე, ამ უკანასკნელი მნიშვნელობით, მას მხოლოდ მწერლები და მთარგმნელები იყენებდნენ (მაგალითად, მარკესის რომანის მოხდენილად შერჩეული სათაური „სიყვარული ჟამიანობის დროს“ ორიგინალის ენაზე „სიყვარული ქოლერის დროს“ გახლავთ). ენამ შემოგვინახა ისეთი ფორმები, როგორიცაა „ჟამის გადავლა“, „ჟამისგან შემუსვრილი“ და დღეს, როცა მსოფლიო დაავადების არნახული მასშტაბის პირისპირ აღმოჩნდა, ჩნდება კითხვა: ოდესღაც ეს ენობრივი ფორმები დროით განადგურების კვალდაკვალ სასტიკი ეპიდემიის შედეგებსაც ხომ არ აღნიშნავდა? ჟამის როგორც დროის აღმნიშვნელი სიტყვის ეპიდემიის მნიშვნელობით გაფორმებას ალბათ მისმა შინაარსმაც შეუწყო ხელი, თუმცა მანამდე მისი შემოტანა სომხურიდან რელიგიური ტექსტების თარგმანმა განაპირობა. ბერძნული ენის დარად, ქართულსაც უნდა განესხვავებინა ცნებები „ხრონოს/ქრონოს“ და „ჰოროს“, ამიტომაც ბიბლიის მთარგმნელებმა ერთმანეთისგან გამიჯნეს „დრო“ და „ჟამი“. ფაქტია, რომ ქართულმა ენამ ვერ იგუა ტერმინოლოგიური განსხვავება და ეს ორი სიტყვა სინონიმებად აქცია. ის კი არა, „დრო-ჟამი“ დღეს უკვე ერთი ცნებაცაა. ენამ დროთა განმავლობაში „ჟამს“ ახალი დატვირთვა მოუძებნა. როგორც აღვნიშნე, მიზეზი სიტყვის შინაარსიც გახდა – ადამიანის სიკვდილს ხშირად ეპიდემიების პერიოდულობა, ანუ ჟამიანობა აჩქარებს. არ გამოვრიცხავ, ამ ცნებებზე მსჯელობისას სხვა მომენტებიც იყოს გასათვალისწინებელი, მაგრამ ეს ენათმეცნიერთა საქმეა. ჩემს წერილს სულ სხვა მიზანი აქვს.

გაზაფხულზე უცხოური საიტები ხშირად ბეჭდავდნენ ნარკვევებს ეპიდემიების თემაზე, ქართულმა მედიასაშუალებებმაც დაუთმეს დრო ჟამიანობის ლიტერატურის განხილვას. აღმოჩნდა, რომ მწერლები, ხშირ შემთხვევაში, ოდენ ფაქტის კონსტატირებას კი არ ახდენდნენ, იმას კი არ ცდილობდნენ, დაემუშავებინათ საკითხი და წარმოეჩინათ ჟამიანობის გამანადგურებელი შედეგები, არამედ ეძებდნენ მისი აღმოცენების მიზეზებს, ეძებდნენ გზებს და მხატვრულ ხერხებს, რომელთა საშუალებითაც ეპიდემიებს ახლებურ სიცოცხლეს მიანიჭებდნენ. შევეცადე, ამ წერილში ლიტერატურისთვის საინტერესო ასპექტები გამომეკვეთა:

1. ლიტერატურა განგვიმარტავს ეპიდემიის მიზეზებს. სხვადასხვა ავადმყოფობის აფეთქების შესახებ ცნობები ჯერ კიდევ ანტიკურ ლიტერატურაში გვხვდება. ჭირი (ლოიმოსი) ღმერთების მოვლენილია გაბუდაყებული ადამიანების დასასჯელად, რათა ზვაობრობა (ჰიბრისი) დაასრულოს. **ჰომეროსის „ილიადაში“** აღწერილია, როგორ დაუშინა აპოლონმა ჭირის ისრები აქაველ მეომრებს, რადგან მათმა წინამძღოლმა აპოლონის ტაძრის ქურუმი შეურაცხყო. ჭირი შეეყრება თებეს მოსახლეობასაც ოიდიპოსის დანაშაულის გამო. **სოფოკლეს ტრაგედიაში „ოიდი-**

პოს მეფე“ მაყურებელი/მკითხველი პროტაგონისტთან ერთად იძიებს შემზარავი ჭირიანობის მიზეზს და არანაკლებ შემზარავი ამბის მოწმე ხდება.

ეპიდემიით დარღვეული წესრიგის აღსადგენად სენის გამომწვევი მიზეზის გამოცნობაა საჭირო, დასადგენია, რომელი ღმერთია მოსალმობიერებელი. მაგალითად, ლიტერატურა გვიყვება, როგორ ჩამოიყვანეს კრეტიდან ათენელებმა ჭირიანობასთან გასამკლავებლად ბრძენი ეპიმენიდე. აკროპოლისისკენ მიმავალი ეპიმენიდე გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებულ ქანდაკებებს აკვირდებოდა. დადარდიანებულ უხუცესებს ეგონათ, ეპიდემიის მიზეზად მასაც რომელიმე ამ ღმერთთაგანი მიაჩნდა. „ყველას სათითაოდ შევწირეთ მსხვერპლი, მაგრამ საშველი მაინც არ არისო“. ეპიმენიდემ კი, თითქოს მათი სიტყვები არ გაჰკვირვებია, დილაუთენია ცხვრის მორეკვა მოითხოვა. უხუცესებს ეგონათ, მშიერი ცხვრები ბალახის ძოვას დაიწყებდნენ, მაგრამ შეცდნენ – სხვადასხვა ფერის რამდენიმე ცხვარი მორჩილად გაწვა ბალახზე. ღმერთმა მსხვერპლი შეარჩია! „რა დავაწეროთ ბომონს, რომელი ღმერთის სახელი?“ – გამოცოცხლდნენ უხუცესები. „სწორედ ესაა თქვენი პრობლემა, შეუცნობელი ღმერთის სახელს ითხოვთო“, – მოუჭრა ეპიმენიდემ. ბომონს ასეც დააწერეს – „შეუცნობელ ღმერთს“. გამოხდა ხანი. განკურნებულ ათენელებს დაავიწყდათ უსახელო ღმერთი. ბომონი მიწით დაიფარა. ალბათ სწორედ შეუცნობელი ღმერთის ბომონმა შთააგონა პავლე მოციქული, სანამ არეოპაგში ათენელი უხუცესების წინაშე წარდგებოდა, რადგან წარმოთქმულ სიტყვაში მიანიშნა, რომ იმ შეუცნობელი ღმერთის საქადაგებლად იყო ჩამოსული, რომელიც ათენელებს მივიწყებული ჰყავდათ. ამ ამბის დასაწყისი **დიოგენე ლაერტელთანაა** აღწერილი, გაგრძელება – **მოციქულთა საქმეებში.**

განრისხებული ისარმომართული ღმერთის სახე ქრისტიანულ ლიტერატურაშიც გვხვდება. **ჯონათან ედვარდსი ქადაგებაში „ცოდვილნი განრისხებული ღმერთის ხელში“** წარმატებით იყენებს ღმერთის ხელის მეტაფორას, რომელსაც მოზიდული მშვილდი უპყრია ხელთ ცოდვილი ადამიანებისთვის ისრების დასაშენად. მხოლოდ მისი კეთილი ნებაა, კიდევ ერთი შანსი მისცეს ცოდვილებს, გამოსწორდნენ და ჭეშმარიტების გზას დაადგნენ. მართლმადიდებელი ავტორებიც იცნობენ ამ მოტივს, როცა ღვთაებრივი სასჯელი სხვადასხვა ფორმით ვლინდება ცოდვილთა თავზე. მაგალითად, **დავით გურამიშვილი** წერს: „...ცოდვა მათი უმეტესი ესმა, მოეხსენა ღმერთსა, აღმოსავლით მტერი აღძრა, მოუწოდა კვლა სამხრეთსა...“ როგორც ვხედავთ, მწერლისთვის ცოდვილი ადამიანების ღვთაებრივი სასჯელია ის უბედურება, რაც საქართველოს დაატყდა თავს: გარეშე მტერთან ბრძოლა, კინკლაობა, შიმშილობა და სხვ. იმ პერიოდში ეპიდემია ან მიწისძვრაც რომ დართვოდა ამ მდგომარეობას, მიზეზი იგივე იქნებოდა – ადამიანთა ცოდვებით გამოწვეული ღვთაებრივი რისხვა. სწორედ ასე უყურებდა **თუკიდიდე „პელოპონესის ომში“** ტიფის ეპიდემიას, ომს და მიწისძვრას – როგორც ღვთაებრივ სასჯელს. ლიტერატურა მეტეოროლოგიურ თუ ეპიდემიოლოგიურ მოვლენებზე უკეთეს მხატვრულ საშუალებას ვერც იპოვიდა იმ კატასტროფის გამოსახატავად, რაც ადამიანთა ცოდვებს და ჰიბრისს სდევდა თან. სხვათა შორის, შექსპირის ეპოქაშიც ამბობდნენ, რომ ლონდონის შავი ჭირის მიზეზი ადამიანთა ცოდვები იყო, ცოდვები კი... თეატრში ბუდობდა. მადლობა ღმერთს, რომ **უილიამ შექსპირმა** ნაყოფიერად გამოიყენა იზოლაციის პერიოდი და სამი ბრწყინვალე ტრაგედიით გაამდიდრა მსოფლიო ლიტერატურა. როგორ შეიძლებოდა, ის, რაც საკუთარი გამოცდილებით იცოდა მწერალმა, ნაწარმოებებში არ გადაეტანა? ცხადია, მას შემდეგ, რაც ეპიდემიოლოგიურ კონტექსტს გავითვალისწინებთ, შექსპირის ტრაგედიებს სხვა თვალით წავიკითხავთ, მაგრამ ახლა სულ სხვა მომენტზე შევჩერდები.

2. **ლიტერატურა გვიყვება ეპიდემიის შედეგებზე.** ჟამიანობის პერიოდი სხვადასხვა აკრძალვას უკავშირდება. ერთ-ერთი ასეთია კარანტინი და იზოლაცია. თავად შექსპირმა სამწერლობო საქმიანობისთვის იზოლაციის პერიოდი გამოიყენა, მაგრამ კარანტინმა მისი ტრაგედიის **„რომეო და ჯულიეტას“** პერსონაჟების ბედზე მოახდინა ტრაგიკული გავლენა. ჯულიეტა შიკრიკს რომეოსთან ატანს წერილს, რომელშიც უხსნის, რომ სინამდვილეში თავს არ იკლავს და საწამლავის მოქმედება დროებითია. საუბედუროდ, შიკრიკს ქალაქში შესვლისთანავე იჭერენ და კარანტინში ათავსებენ. დიახ, კარანტინი რომ არა, რომეო არ დალევდა საწამლავს, რადგან ეცოდინებოდა, რომ ჯულიეტა ცოცხალია. ჩვენ, კარანტინგამოვლილი მკითხველები, უკვე სხვაგვარად აღვიქვამთ ტრაგედიას და გვიჩნდება კითხვა: ნუთუ კარანტინი მხოლოდ სიუჟეტის განმავითარებელი ელემენტია? ეგებ შექსპირი კარანტინის ორ მხარეზე გვაფიქრებს? კარანტინი ერთგვარი აკრძალვაა, რომელიც საზოგადოების სასიკეთოდაა მოგონილი. მაგრამ სასარგებლო აკრძალვაც შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს. აღარაფერს ვამბობ ბოროტი განზრახვით გამოცემულ აკრძალვაზე, რომელიც **ალესანდრო მანძონის „დანიშნულთა“** სიუჟეტის ერთ-ერთი ელემენტია. ნაწარმოებში შეყვარებულების ქორწილს წინ აღუდგება ადგილობრივი წარჩინებული, მაგრამ მის მზაკვრულ ჩანაფიქრს შავი ჭირი ჩაშლის. ეპიდემია მავნე პერსონაჟს იმსხვერპლებს, ხოლო დანიშნულ ქალწულს, მიუხედავად იმისა, რომ ისიც დაავადდება, არ კლავს. თითქოს ადვილი გასაგებია მწერლის ჩანაფიქრი, აჩვენოს ეპიდემიის დადებითი და უარყოფითი მხარეები. მისთვის ეპიდემიაა ღვთაებრივი სამართლის ფორმა. და, რაც მთავარია, ეპიდემიამ მკითხველი აუცილებლად უნდა დააფიქროს შემდეგ საკითხზე: გახდებიან კი ადამიანები იმაზე უკეთესები, ვიდრე თავს დატეხილ განსაცდელამდე იყვნენ? თუმცა ამ ჩანაფიქრთან ერთად მანძონის სხვა ჩანაფიქრზეც საუბრობენ მკვლევრები. მათი აზრით, მანძონის მიერ აღწერილი შავი ჭირის ეპიდემია ლომბარდიაში ავსტრიელი დამპყრობლის მეტაფორა უნდა ყოფილიყო. დიახ, არ მოგესმათ! შავი ჭირი ავსტრიელი და არა ესპანელი დამპყრობლის მეტაფორაა! ნაწარმოებს სწორად ადარებენ **დანიელ დეფოს „ჟამიანობის დღიურს“** და, აი, რატომ:

3. **ლიტერატურა ეპიდემიების აღწერით გვაჩვენებს ა) ადამიანის ბუნებას და ბ) დამპყრობლის ბუნებას.** ცხოვრებისეულ დაბრკოლებებს სხვადასხვა რამ ქმნის: რომელიმე დონ როდრიგო, რომელიც მანძონის ნაწარმოებში წინ ეღობება რენცოსა და ლუჩიას სიყვარულს, ომი, შიმშილობა თუ ეპიდემია. დაბრკოლებები წარმოაჩენს ადამიანის ნამდვილ ბუნებას, რომელსაც მანამდე არ

ეძლევა სრულად გამოვლენის საშუალება. მანძონის „დანიშნულებში“ ესპანელთა ბატონობის პერიოდი ემთხვევა ჭირიანობას და ეს ავტორს ხელს აძლევს, ალეგორიულად წარმოაჩინოს ავსტრიის იმპერია. ესპანელთა ბატონობა და შავი ჭირის ეპიდემია მეჩვიდმეტე საუკუნის ლომბარდიაში გადაკრულად მიუთითებს ავსტრიელთა ქმედებებზე მეცხრამეტე საუკუნის იტალიაში.

ჩანს, რომ ესპანელები ცუდი მმართველები არიან, თუ ეპიდემია ასე შორს წასულა. მილანს ჟამიანობის გადავლის შემდეგ ხელახალი აღორძინების ხანა უდგება, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოსახლეობა განახევრებულია. დანიშნულები, ლუჩია და რენცო, ახალ ცხოვრებას იწყებენ. დანიელ დეფოც ცდილობს, „ჟამიანობის დღიურში“ ღმერთის ნება დაანახოს მკითხველს. ნაწარმოების პერსონაჟი ღვთაებრივ ნიშნებს ემორჩილება და ჭირის ეპიცენტრში რჩება. ის ბიბლიომანტიასაც კი მიმართავს –ალალბედზე გადაშლის ბიბლიას და იქ ამოკითხული არწმუნებს, რომ ქალაქი არ უნდა დატოვოს (იონაც ხომ ვერ დაემალა ღმერთს ვეშაპის მუცელში?!). ასე ხდება პერსონაჟი ლონდონის ტრაგედიის თვითმხილველი. ის გაოცებულია ფაქტით, რომ ეპიდემია ისევე მოულოდნელად წავიდა ქალაქიდან, როგორც მოვიდა, ამიტომაც დარწმუნებულია, რომ ამაში ღვთაებრივი ხელი ურევია. მას დაავადებული ქალაქი რომაელებით გარშემორტყმულ ბიბლიურ იერუსალიმს აგონებს პასექის დროს. ამ შედარების გამო ფიქრობენ მკვლევრები, რომ დეფომ დასაბამი დაუდო გზას, რომელიც შემდეგ მანძონიმ გააგრძელა –დეფომ რომაელი დამპყრობლები –შავ ჭირს, იერუსალიმი კი ლონდონს შეადარა, მანძონიმ –ესპანელები და შავი ჭირი ავსტრიელ დამპყრობლებს, რომლებიც ლომბარდიის დედაქალაქ მილანს აოხრებენ. სანამ მკვლევართა ერთი ნაწილი ჯერ კიდევ იკვლევს „ჟამიანობის დღიურის“ გავლენას „დანიშნულებზე“, მეორე ნაწილი დარწმუნებულია, რომ პუშკინმა, სანამ ვილსონის პატარა ტრაგედიას, „ლხინი ჟამიანობის დროს“, თარგმნიდა, დეფოს „ჟამიანობის დღიური“ დედანში წაიკითხა. პუშკინის ნაწარმოები ურწმუნო ადამიანებზეა, რომლებიც, ნაცვლად ცოდვების მონანიებისა, ბოლო ჟამს ლხინს მისცემიან და წარმავალსა და მარადიულზე არ ფიქრობენ.

აქ ჩამოთვლილი ყველა ნაწარმოების ერთ-ერთი მიზანი ალბათ მაინც ადამიანის კათარზისის ჩვენებაა. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ კათარზისი ადამიანს ბუნებას შეუცვლის –როგორც ოდესღაც ათენელებმა დაივიწყეს შეუცნობელი ღმერთი, ისევე დაივიწყებენ ადამიანები შავი ჭირისა თუ ქოლერის პერიოდის ღვთაებრივ სასწაულებს.

დამპყრობელი და მტერი არ არის ყოველთვის უცხო ქვეყანა. ის ზოგჯერ აბსტრაქტულია და საფრთხეს უქმნის ადამიანურ სიქველეებს, შესაბამისად, მის ბუნებასაც. **ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონის“** პერსონაჟებს სწორედ ამ კუთხით განიხილავენ ლიტერატორები. ტაძრიდან გამოსული პერსონაჟები, შვიდი ქალი და სამი ვაჟი, იტალიის ერთ-ერთ ქალაქში გამძვინვარებულ შავი ჭირის ეპიდემიას გაექცევიან და სოფელს შეაფარებენ თავს. სიუჟეტის დასაწყისი შავი ჭირის ეპიდემიაა, ის ფონად გასდევს ამბავს, ალეგორიულად კი შავი ჭირის, ანუ უკეთურების სამიზნე სიქველეებია (ბერძნული „არეტე“ და ლათინური „ვირტუ“), რომლებსაც მორწმუნე ადამიანი უნდა განასახიერებდეს. რომანში შვიდი ქალის სახით პერსონიფიცირებული სიქველეებია სიბრძნე, კეთილგონიერება, სიმამაცე, სამართლიანობა, რწმენა, სასოება და სიყვარული, ხოლო სამი მამაკაცი გონება, გრძნობა და სულიერებაა. ბოკაჩოს პერსონაჟები ათი დღის განმავლობაში ყოველდღიურად თითო ზღაპარს ჰყვებიან, ზღაპრებში კი ადამიანის მანკიერი ბუნებაა წარმოჩენილი.

4. ეპიდემიის წყალობით, ლიტერატურა ავლენს ჩახშულ სურვილებს. არ არის გასაკვირი, რომ ეპიდემია პესიმიზმის საფუძვლად იქცევა ხოლმე. უყურეს გარშემო მყოფი ადამიანების ტანჯვას, სიკვდილს და უიმედობა გიპყრობს. სასოწარკვეთილებას შეუძლია, ადამიანი ღმერთის უარყოფამდეც მიიყვანოს. **იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთეს „ფაუსტი“** ექიმის შვილის მეფისტოფელთან შეხვედრის შესახებ გვიამბობს. ფაქტია, პერსონაჟის ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზი მამის პროფესია იყო, რომელიც შთამომავლობით გადაეცა შვილს. ფაუსტის მამა ეპიდემიას ებრძოდა შვილთან ერთად. და რა დაინახა შვილმა? მამის პროფესია ვერ მოერია ავადმყოფობას, სიკვდილმა გაიმარჯვა. გაწბილებული ფაუსტი თავს რამდენიმე პროფესიაში მოსინჯავს. ამათგან ერთი იურისპრუდენციაა, მეორე –თეოლოგია. პასუხს რომ ვერ მიაგნებს, ფაუსტი თარგმნას მიჰყოფს ხელს. მისი სამიზნე იოანეს სახარების საწყისი სიტყვებია. როგორც ცნობილია, ბიბლიის თარგმნისას უმცირესი ასო იოტაც კი არ უნდა შეცვალოს მთარგმნელმა (ბერძნულ ენაში გრძელი ხმოვნების ო-ს, ე-სა და ა-ს ქვეშ მიწერილი იოტა წერტილივით მცირეა), რაც იმას ნიშნავს, რომ ტექსტში იოტისოდენა ცვლილებაც კი არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველს მისცემს მკითხველს. აი, ფაუსტი, რომელიც არა „სიტყვით“, არამედ ხან „აზრით“, ხან „ძალით,“ ხანაც „საქმით“ აპირებს „ლოგოსის“ თარგმნას, სიტყვას, ღვთაებრივ ლოგოსს, ანუ ღმერთს ებრძვის და ირიბად უარყოფს მას. აღდგომის ღამეს ფაუსტის ჭიდილი წარსულ ეპიდემიასთან უთანასწორო ბრძოლაში განცდილი მარცხის შედეგიცაა –როცა ვერ იღებ ღმერთის მიერ მოვლენილ სიკვდილს, ცდილობ, ნებისმიერი ფორმით გაექცე მას, თუნდაც სატანასთან გარიგებით. გარიგების თანახმად, ფაუსტის ცხოვრების ის წამი შეჩერდება, რომელიც მას მშვენიერი მოეჩვენება. ფაუსტი 50 წლისაა. ამ ასაკში წამის შეჩერება და სამუდამო გაყინვა არც ისე სანატრელია, ამიტომ მეფისტოფელი ფაუსტს ახალგაზრდობას უბრუნებს. ეპიდემიის ფონზე სიკვდილის შემზარავი სურათების ნახვით დაწყებული კრიზისი გათავისუფლებული სურვილის საწინდარი ხდება – ახალგაზრდობაში დაბრუნება და ასე შეჩერებული მშვენიერი წამი გათავისუფლებული ჩახშული სურვილია.

ეპიდემია პესიმიზმის საფუძველია. ადამიანმა ეპიდემიის გარეშეც იცის, რომ მისი სიცოცხლე სიკვდილით მთავრდება, მაგრამ ეპიდემია კიდევ უფრო მძაფრად გვაგრძნობინებს სიცოცხლის წარმავლობას და, რაღაც გაგებით, უაზრობასაც. ამიტომაც ეპიდემია აღმოჩნდება ხოლმე ზოგიერთი ადამიანისთვის მანამდე ჩახშული ვნების გათავისუფლების საწინდარი. როგორც ვიცით, საზოგადოება კრძალავს გარკვეული ტიპის სიყვარულს. რომ არა ეპიდემია, რომელიც ფონად გასდევს **გაბრიელ გარსია მარკესის რომანს „სიყვარული ჟამიანობის დროს“**, გათავისუფლდებოდნენ კი საზოგადოებრივი აზრის მარწუხებისგან, მისცემდნენ კი თავს

უფლებას, დაექირავებინათ ხომალდი და ემოგზაურათ, სიცოცხლის დაისში მყოფი ახალდაქვრივებული ქალი და მისი სიყმაწვილის დროინდელი ასაკოვანი სატრფო? რა თქმა უნდა, პასუხი უარყოფითია. ტაბუდადებული სიყვარული კიდევ იკეტება, როცა მწერალი ხაზს უსვამს პერსონაჟების მოთხოვნას, კაპიტანმა გემზე არავინ ამოუშვას და იცუროს ქოლერის ყვითელი დროშით მანამდე, სანამ... დასასრული უსიტყვოდაც გასაგებია. კაპიტანი ქარონია, გარდაცვლილთა საიქიო მეგზური ბერძნულ მითოლოგიაში, დაქირავებული ხომალდი – ქარონის ნავი, ხოლო კიჩოზე აღმართული დროშა სიკვდილის ნიშანიცაა და მასთან დაზავების სიმბოლოც. რომანის თემა, ხანდაზმულ ასაკში აკრძალული სიყვარულით ტკბობა, სიკვდილით ტკბობის ერთგვარი მეტაფორაცაა. ამგვარი სიყვარული ეპიდემიის დროშის ქვეშ დაცურავს, ნაპირზე მყოფი ხალხისთვის ცხადია მგზავრების საბოლოო დანიშნულების ადგილი.

რა თქმა უნდა, დიდი კოლუმბიელი კლასიკოსი გერმანელ წინამორბედს დაესესხა რამდენიმე სიმბოლოსა თუ ალეგორიას. **თომას მანის მოთხრობის „სიკვდილი ვენეციაში“** პერსონაჟი მწერალია, ხელოვანთა შთამომავალი. გუსტავ ფონ აშენბახს შემოქმედებითი კრიზისი ეწყება, როცა აპორიას აწყდება – მას უჭირს დაწყებული რომანის გაგრძელება. რომანი იმპერატორ ფრიდრიხ პრუსიელზეა. ადვილია ისტორიულ ამბებზე წერა, მაგრამ ძნელია, აღწერო თექვსმეტი წლის ფრიდრიხის სასიყვარულო ისტორია მამის პაჟთან ან სიტყვებით გადმოსცე მისი განცდები, როცა უყურებს, როგორ კვეთენ თავს მის პედაგოგს და საყვარელს. პურიტანულ ტრადიციებზე აღზრდილ მწერალს უჭირს იმაზე წერა, რისი გამოცდილებაც არ გააჩნია. მუზის დასაბრუნებლად ის მოწესრიგებული გერმანიიდან ტურისტებით სავსე, ქაოსად ქცეულ ვენეციაში მიემგზავრება. აქ ხვდება უკანასკნელ სიყვარულს, მოზარდ ტაძიოს. აშენბახი კვდება წყალში მომზირალი ნარცისივით მომაკვდავ ვენეციაში, ვენეციაში, რომელიც ქოლერას ებრძვის. ასაკოვანი მამაკაცის აკრძალული სიყვარული ბიჭის მიმართ ეპიდემიის ფონზე ვითარდება და ეს შესანიშნავი ალეგორიაა. მწერალი, ხელოვანი, სიყვარულის, სილამაზის, მუზის დევნით დაღლილი, ვერ ახერხებს მის მოხელთებას და ხელოვანთა ამაო შრომას მხოლოდ სიცოცხლის უკანასკნელ წამს შეიცნობს. კვდება აშენბახი, ტაძიო კი რჩება და ასე გრძელდება დაუსრულებელი ციკლი – ყოველი ახალი ხელოვანი თავიდან დაშვრება განსხვავებული იდეალების (სიყვარული, სილამაზე, ბედნიერება და სხვ.) ძიებაში. რომანს ფონად უდევს ხრწნის სუნი, რომელსაც სასტერილიზაციო სამუშაოების სუნი ფარავს. რაკი სტერილიზაცია ვახსენე, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ის ლიტერატურული ნიმუშებიც, რომლებშიც ჭირიანობა ბოროტი პოლიტიკური რეჟიმის ალეგორიაა. ასეთ რეჟიმებს სასწრაფოდ სჭირდება სტერილიზაცია როგორც სავალდებულო ჰიგიენური ზომა და როგორც განაყოფიერების უნარის მოსპობის ერთადერთი საშუალება.

5. ეპიდემია ლიტერატურამ მანკიერი პოლიტიკური რეჟიმების მეტაფორად აიქცია. ალბერ კამიუს „შავი ჭირი“ ყველაზე ხშირად ახსენდებოდათ წლევანდელი პანდემიის დროს. რატომ? იმიტომ

> ალმოჩნდა, რომ მწერლები ხშირ შემთხვევაში ოდენ ფაქტის კონსტატირებას კი არ ახდენდნენ, იმას კი არ ცდილობდნენ, დაემუშავებინათ საკითხი და წარმოეჩინათ ჭამიანობის გამანადგურებელი შედეგები, არამედ ეძებდნენ მისი ალმოცენების მიზეზებს, ეძებდნენ გზებს და მხატვრულ ხერხებს, რომელთა საშუალებითაც ეპიდემიებს ახლებურ სიცოცხლეს მიანიჭებდნენ.



კი არა, რომ კამიუ ზედმიწევნითი სიზუსტით ასახავს ეპიდემიის დროს ჩატარებულ ყველა ღონისძიებას, არამედ იმიტომ, რომ რომანში ასახული ეპიდემია ნაციზმის, დაუნდობელი პოლიტიკური რეჟიმის ალეგორიაა. ალბერ კამიუმ რომანს „ჟამიანობის დღიურიდან" ამონარიდი წაუმძღვარა ეპიგრაფად: „ერთი სახის ტყვეობის მეოხებით მეორენაირი ტყვეობის წარმოსახვა ისევე გონივრულია, როგორც რამე რეალურად არსებულის წარმოდგენა არარსებულის მეშვეობით", –ხოლო დაამთავრა გამაფრთხილებელი სიტყვებით: „სიხარულის ყიჟინა ჩაესმოდა, მაგრამ (sc. პერსონაჟს) ახსოვდა, რომ ამ სიხარულს საფრთხე ელოდა, რადგან იცოდა ის, რაც ამ მოზეიმე ბრბომ არ უწყოდა და რაც შეიძლება წიგნებში ამოიკითხო კაცმა. იცოდა, რომ შავი ჭირის ბაცილა არასოდეს კვდება და არც არასოდეს ქრება, რომ მას შეუძლია ათეულ წლობით ეძინოს... მოთმინებით იცადოს ოთახებში, სარდაფებში... და იქნებ ერთი დღეც დადგეს, როცა ადამიანთა საუბედუროდ თუ მათთვის ჭკუის სასწავლებლად შავი ჭირი კვლავ გამოაღვიძებს ვირთხებს და სასიკვდილოდ გამოაგზავნის ბედნიერ ქალაქში". კამიუმ იცის, რომ ყველა ადამიანი ფხიზლად უნდა იყოს, რათა არ დააბრუნოს დაუნდობელი პოლიტიკური რეჟიმის მსახვრალი ხელი. ეს ის დაუნდობელი პოლიტიკური რეჟიმიცაა, რომელიც ცუდი მმართველის პირობებში ანადგურებს ქვეყანას და რომელიც **ამბროჯო ლორენცეტიმ** გამოსახა სიენის ადმინისტრაციული შენობის კედლებზე. ლორენცეტი ნახატზე ასახავს კარგ და ცუდ მმართველობას. კარგი მმართველობის ალეგორიის ცენტრში თავად ქალაქია, მისი თემი, რომელსაც გვერდს უმშვენებს სამართლიანობა სასწორით ხელში, ხოლო სასწორის პინების გასწორებაში მას სიბრძნე ეხმარება. იქვე მშვიდობაა უდრტვინველად წამოწოლილი. კარგი მმართველობის დროს სოფლად და ქალაქად უშიშრად საქმიანობენ ადამიანები. აი, ცუდი მმართველობის ალეგორიის ცენტრში სატანაა, რომელსაც მხარში სისასტიკე და განხეთქილება უდგანან, ხოლო მის ფერხთ სასწორდამსხვრეული სამართლიანობა მისვენებულა. სოფლები გაჩანაგებულია და ქალაქიც –დანგრეული.

დღეს, როცა ადამიანები პანდემიასთან ბრძოლაში ჩაერთნენ, ყველა იმ ასპექტმა წამოიწია წინ, რომლებსაც ლიტერატურა ასახავდა. როგორ ფიქრობთ, აისახება თუ არა თანამედროვე ხელოვნებაში ახალი კორონაინფექცია? ვფიქრობ, აუცილებლად.

დაბოლოს, როგორ შეიძლება, არ გავიხსენო **ვაჟა-ფშაველას წერილი „ფიქრები ხოლერის გამო"**. ვაჟას სნეულებაზე მეტად სხვა ქოლერა აწუხებს და აფიქრებს, ქოლერა, რომელსაც ვერც სისუფთავე შველის და ვერც დეზინფექცია, მკვდრებს კი ამრავლებს. როგორც ვხედავთ, ვაჟასთვისაც, ისევე როგორც მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსებისთვის, ქოლერა მეტაფორაა.

წერილს ერთი ქართული მულტიპლიკაციური ფილმის გახსენებით დავასრულებ. რეჟისორ **დავით თაყაიშვილის მიერ დავით სიხარულიძის სცენარის** მიხედვით გადაღებულ ფილმში **„ჭირი"** ჭირი წარმოდგენილია როგორც შავი ლაქა, რომელიც ჯერ ძაღლს აშავებს, მერე კი ნელ-ნელა მოედება ადამიანებს, ქალაქის ქუჩებს, ფერად შენობებს. რატომ ჯერ ძაღლს? ალბათ იმიტომ, რომ მან ველარ დაიცვას ადამიანები. თუ შავი ფერი თავდაპირველად მოუხერხებლად ეპარება ყველას და ყველაფერს, მერე უკვე ადამიანები ველარ ხვდებიან, რამდენად საშიშია ის და კი არ გაურბიან, თავად მიდიან მასთან გასაშავებლად. უცნაურია, არა? ადამიანები თავს მაშინ გრძნობენ უსაფრთხოდ, როცა მათაც შეეხებათ ჭირის სიშავე. აქ ჭირი მანკიერ პოლიტიკურ რეჟიმებთან თანამშრომლობის, კონფორმიზმის ალეგორიაცაა. ასეთი ჭირი, ადრე თუ გვიან, დამარცხდება. მთავარია, არ დავუშვათ დამარცხებულის მობრუნება. ამისთვის აუცილებელია, **გა-ჭირ-ვებით თუ გაუ-ჭირ-ვებლად**, ვისწავლოთ მისი ამოცნობა და **სა-ჭირ-ო** ზომების დროულად მიღება.

საჭირო ზომების მიღებამდე კი სიტყვის მნიშვნელობასაც დავაკვირდეთ. „საჭირო" ორმაგი მნიშვნელობის მქონე სიტყვაა. ილია აბულაძე მას განმარტავს როგორც „აუცილებელს" და „ძნელს". აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს **სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისა"** –როდესაც ფინეზი უყვება სედრაქს თავის სიზმარს და აჩვენებს ეტრატზე გამოსახულ ლეონს, ვეზირი პასუხობს: „თუცა თვით არ მოვიდეს კაცი იგი, პოვნა მისი საჭირო არს", ანუ ძნელია ამ კაცის პოვნაო. თუმცა ამ კონტექსტში სიტყვა „საჭირო" პირდაპირი მნიშვნელობით სირთულეს გულისხმობს და ირიბად - აუცილებელს, რადგან მკითხველი თანდათან ხვდება, რომ საჭირო (=ძნელი) კი იყო ლეონის პოვნა, მაგრამ მართლაც რომ საჭირო (=აუცილებელი) ყოფილა.

ასე რომ, ეპიდემიისა თუ ცუდი მმართველობის პერიოდებში ზომების დროულად მიღება საჭიროა (ძნელია), მაგრამ საჭირო (აუცილებელი). ჭირის ეპიდემია ან ცუდი მმართველობა რომ არ მობრუნდეს, სიფრთხილეც საჭიროა (ძნელია), მაგრამ საჭიროა (აუცილებელი).

P.S. სანამ წერილს გამოსაქვეყნებლად გავაგზავნიდი, ჩემს მეგობარს წავაკითხე. მას გაუკვირდა, რატომ გამომრჩა **თომას მანის „ჯადოსნური მთა"**, რადგან რომანში ტუბერკულოზიანი პაციენტების იზოლაციის ადგილი –მთა –მეტაფორაა, ისევე როგორც ავადმყოფობაა მეტაფორა. გადამდები ავადმყოფობა, იზოლაცია, საზოგადოება, რომელიც არ აღიარებს, რომ ავადმყოფების განრიდება სიკვდილის ევფემიზმია, რა თქმა უნდა, განხილვის საგნად უნდა ვაქციოთ. უამრავი ნაწარმოებია მსოფლიო ლიტერატურაში, რომელიც ამ თემებს ეხება და მკითხველს, ეჭვი არ მეპარება, ყველა მათგანი გაახსენდება, ჩემგან განსხვავებით. „სახადის ალეგორიაც რომ გეხსენებინა **მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრ კურდღელში"**, ურიგო არ იქნებოდა, რადგან ქართულის მასწავლებლები არიან შენი მკითხველებიო, –შემახსენა მეგობარმა, –ან არ გინდა, შესთავაზო, **ლევან ბერძენიშვილის რომანი „წმინდა წყვდიადი"** ისე წაიკითხონ, თითქოს საბჭოთა ციხის პატიმრები (სსრკ-ს რესპუბლიკებივით 15), რომლებიც თავიანთ ისტორიებს ჰყვებიან, „დეკამერონის" პერონაჟებივით განრიდებიან ციხის გარეთ არსებულ ჭირს? თუ სხვა შემთხვევებში ციხეა ჭირი, პოლიტიკური პატიმრებისთვის კედლების მიღმაც ციხე და ჭირია, ხოლო იზოლაცია, თუნდაც იძულებითი, გათავისუფლების ალეგორიააო".

მოდით, ერთი წერილი ციხესა და საავადმყოფოზე, როგორც საინტერესო მეტაფორაზე – ჩემზე იყოს!

შორენა ცყეშელაშვილი

ბავშვებთან საღაპარაკო ბევრი გვაქვს

> ადამიანები იშვიათად ვწვდებით სამყაროსა და პიროვნებას შორის არსებულ კავშირს და ზოგჯერ ძალიან გვიჭირს სამყაროში საკუთარი ადგილის პოვნა, საკუთარი თავის დანახვა და შეცნობა იმ კონკრეტულ დროსა და სივრცეში, რომელშიც ვიმყოფებით.

გიკითხავთ ბავშვებისთვის, რა აბედნიერებთ მათ? უამრავ პასუხს მოისმენდით: ახალი ველოსიპედი, კომპიუტერული თამაშები, თავგადასავლები, ახალდამეგობრებულ და საერთო ინტერესების მქონე თანატოლებთან ურთიერთობა, ზაფხული და შეუზღუდავი დრო, სასიამოვნო სიახლეები, უცნობი და საინტერესო ადგილების აღმოჩენა...

მაგრამ არის კიდევ რაღაცები, რასაც ასე პირდაპირ არ ან ვერ გვეუბნებიან და გამოცნობა თავად გვიწევს. ამ დროს მათი დამკვირვებლები, მათი პატარა წუხილებისა და სევდების გამომცნობები ვხდებით. ერთი სიტყვით, თუ მათ მოვუსმენთ, მივხვდებით, რა ახარებთ, რა სწყინთ და მივხვდებით იმასაც, რა როლი გვაკისრია ჩვენ.

ზაფხულის გრილ ღამეს, როცა ბავშვებს უნდა ეძინოთ, ჩემმა შვილებმა აივანზე პუფები გაიტანეს და მთხოვეს, დასაძინებლად არ გამეგზავნა. ზაფხულში, როდესაც არდადეგებია, გულის გამაწვრილებელი რუტინის დაცვას რა აზრი აქვს, თან პანდემიამ და ამით გამოწვეულმა ურეჟიმობამ მაინც აგვრია. ჩემს შვილებს უნდოდათ, ვარსკვლავებისთვის ეცქირათ. პლედებში გაეხვივნენ და კაშკაშა ვარსკვლავების თვლა დაიწყეს. არქმევდნენ სახელებს და ზოგჯერ ჩხუბობდნენ კიდეც: არა, ეს ვარსკვლავია ჩემი და არა, ესო. საბოლოოდ შეთანხმდნენ, კამათს მორჩნენ და მათი სახელობის ვარსკვლავები შეემატა ცის კაბადონს.

ნელ-ნელა თხოვნა შემომაპარეს - მეც გავსულიყავი აივანზე და მათთან ერთად მეყურებინა ცისთვის. არ გავაწბილე და მათ გვერდით მოვკალათდი ვარსკვლავების საყურებლად. მომახვიეს თბილი პლედი და თბილისიდან სახელდახელოდ წამოღებული სანთელიც აანთეს. ბევრი ვილაპარაკეთ. რაზე აღარ. ხან – ვარსკვლავებზე, ხან – ჩვენს პლანეტაზე, კარგ და ნათელ დღეებზე, ჩვენს პასუხისმგებლობაზე და უბრალოდ იმ სასიამოვნო განცდაზე, რომელიც იმწუთას სამივეს გვქონდა და ძილი აღარც გვეკარებოდა.

„მივხვდი, ამ სამყაროში მე ვარ მთავარი“, – თქვა საუბრის დასასრულს რვა წლის შვილმა და ბედნიერმა გამომხედა. ზაფხულის გრილი ღამე ვის არ გაანწყობს ფილოსოფიურ თემებზე დასაფიქრებლად, თუმცა ამის მოსმენა მაინც მოულოდნელი იყო ბავშვისგან, რომელიც თვალსა და ხელს შუა გაიზარდა.

ადამიანები იშვიათად ვწვდებით სამყაროსა და პიროვნებას შორის არსებულ კავშირს და ზოგჯერ ძალიან გვიჭირს სამყაროში საკუთარი ადგილის პოვნა, საკუთარი თავის დანახვა და შეცნობა იმ კონკრეტულ დროსა და სივრცეში, რომელშიც ვიმყოფებით. ალბათ, ყველაზე დიდი მხარდაჭერა ის იქნება, თუ უფროსები სწორედ ამ კავშირს აღმოვაჩენინებთ ჩვენს შვილებს, დავეხმარებით, სამყაროში თავიანთი ადგილი იპოვონ, იპოვონ რაღაც ხელჩასაჭიდი და მასზე დააშენონ თავიანთი ცხოვრება.

დიდხანს ვისხედით აივანზე და ვუყურებდით, როგორ ინთებოდნენ და ქრებოდნენ ციცინათელები. გვსიამოვნებდა ცაცხვის სურნელი, რომელიც გრილ ნიავს მოჰქონდა. ჩემმა შვილებმა მითხრეს, რომ იმწუთას ყველაზე ბედნიერები იყვნენ, რაკი მეც მაქციეს თავიანთი თავგადასავლის

თანამოზიარედ. მეც მიხაროდა მათ თავგადასავალში ყოფნა და დაუსრულებლად ვუსმენდი მათ გულამომჯდარ საუბარს.

სწორედ ეს მოსმენა - შეუზღუდავი, როცა არსად გავრბივართ, არსად მიგვეჩქარება, არსად გვაგვიანდება - სჭირდებათ მათ ყველაზე მეტად. მოსმენა ჯადოსნური ინსტრუმენტია ბავშვების გულებთან დასაკავშირებლად, მათი სიხარულისა თუ სევდის ამოსაცნობად. სკოლაშიც ხომ ყველაზე მეტად ღია გაკვეთილები გვიყვარდა, სადაც ზღვარი იშლებოდა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. ის დაძაბულობა, რომელიც სხვა გაკვეთილებზე იყო, ქრებოდა და თავს უფრო ლაღად ვგრძნობდით. საუბარი ხომ მარტო საუბარი არ არის. საყვარელი ადამიანისთვის ნაფიქრალის გაზიარება თერაპიასავით მოქმედებს, გულიდან დიდ დარდს გვაცილებს. ბავშვებთან კი სალაპარაკო მართლაც ბევრი გვაქვს, ან პირიქით, მათ აქვთ ბევრი რამ მოსაყოლი ჩვენთვის. მერე ჩვენც შეგვიძლია ვთხოვოთ, მოგვისმინონ. მთავარია, მოვიცალოთ მათთვის, ბოლომდე მოვუსმინოთ და ისინიც მთლიანად მოგვენდობიან.

> ალბათ, ყველაზე დიდი მხარდაჭერა ის იქნება, თუ უფროსები სწორედ ამ კავშირს აღმოვაჩენინებთ ჩვენს შვილებს, დავეხმარებით, სამყაროში თავიანთი ადგილი იპოვონ, იპოვონ რაღაც ხელჩასაჭიდი და მასზე დააშენონ თავიანთი ცხოვრება.



ახლა, როცა პანდემიის გამო მეტი დრო გამოგვიჩნდა ჩვენი შვილებისთვის, შეგვიძლია ვისაუბროთ ისეთ თემებზე, რომლებზე სასაუბროდაც ვერ მოვიცალეთ, ოღონდ ალბათ ჯობია, მოსმენით დავიწყოთ.